სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #4

ქ. თბილისი **2024 წლის 29 მარტი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1.ნაზირა კაკულია 2. მიხეილ ჩიკვილაძე 3. საბა გოგიბერიძე 4. მარიამ შენგელია 5. ილარიონ ფიფია 6. ლიკა წერეთელი 7. ილია თავხელიძე 8. ლია მაჭავარიანი 9. ნათელა არჩვაძე 10. ამირან ბიბილაშვილი 11. მარიამ ახალკაციშვილი 12. ვასილ ბერიძე 13. მარინა გარიშვილი 14. მაია ივანიძე 15. ბარბარა მახარაძე 16. საბა ქვათაძე 17. თამარ ჯინჭარაძე 18. ავთანდილ ტუკვაძე 19. კახა კუჭუხიძე 20. იზაბელა პეტრიაშვილი 21. ვლადიმერ მარგველაშვილი 22. გიორგი პატარაია 23. ანა ფაშაევა 24. კახაბერ ლორია 25. 26. ინგა სანიკიძე 27. გიორგი არქანია 28. საბა გიორგაძე 29. ლუკა მამალაშვილი 30. ლუკა ნარმანია 31. ზურაბ გაიპარაშვილი 32. ნინო პავლიაშვილი 33. ადა ნემსაძე 34. თამილა ჩალაძე 35. გიორგი მამარდაშვილი 36. ედიშერ ფუტკარაძე 37. მანანა ნიკოლაიშვილი 38. მარინა გურგენიშვილი 39. მარინე ხუციშვილი 40. გვანცა გვანცელაძე 41. ნოდარ ლომიძე 42. ალექსი პაჭკორია (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები:1. ჯაბა სამუშია 2. ზურაბ აბაშიძე 3. ნიკოლოზ ავაზაშვილი 4. ავთანდილ ამირანაშვილი 5. ნათელა ანანიაშვილი 6. მიხეილ ბახტაძე 7. ცისანა გავაშელი 8. ვასილ გონაშვილი 9. მარინე ზაუტაშვილი 10. მაია კოპალეიშვილი 11. ალექსანდრე კუხიანიძე 12. გია ლობჟანიძე 13. ვახტანგ მაღრაძე 14. ავთანდილ სილაგაძე 15. გოჩა ფერაძე 16. ომარ ფურთუხია 17. რამაზ ქურდაძე 18. ალექსანდრე ღონღაძე 19. თამაზ ყარალაშვილი 20. ნუგზარ შავლაყიძე 21. მორის შალიკაშვილი 22. ნინო შარაშიძე 23. მარინე ჩიტაშვილი 24. მანანა ხაჩიძე (დანართი 2)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა დასამტკიცებლად წარმოადგინა სხდომის სავარაუდო დღის წესრიგი შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. წარმომადგენლობითის საბჭოს წევრის, აკადემიური პერსონალის - ლერი თავაძისა და სენატის წევრ სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი ინიციატივის, აკადემიური საბჭოს მონაწილეობით ხელახალი განხილვისა და

მიზანშეწონილებიდან გამომდინარე, შესაბამისი კომისიის შექმნის შესახებ (მომხსენებელი: ვლადიმერ მარგველაშვილი);

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცებისა და აქედან გამომდინარე, მოქმედი დებულების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ (მომხსენებელი: თინათინ მელქოშვილი);
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის ანგარიშის დამტკიცება (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2023 წლის ანგარიშის მოსმენის შესახებ (მომხსენებელი: შოთა ფოთოლაშვილი).

დღის წესრიგის 1-ელ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია. აღინიშნა, რომ საკითის განხილვას დაეთმო არაერთი სხდომა და იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელი სხდომისთვის არ გამოვლენილა საკითხთან დაკავშირებით არანაირი ახალი გარემოება, მისი ხელახალი განხილვის საჭიროება არ არსებობს.

მას შემდეგ, რაც თავდაპირველი სახით წარმოდგენილ დღის წესრიგს, კენჭისყრის შედეგად, მხარი არ დაუჭირა სენატის წევრთა საკმარისმა რაოდენობამ (42 წევრიდან წინააღმდეგ დააფიქსირა ხმა - 3 (სამმა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3 (სამმა) წევრმა) სენატის სპიკერმა კენჭისყრაზე დასვა კორექტირებული დღის წესრიგი, დღის წესრიგი 1-ლი საკითხის გათვალისწინების გარეშე.

საბოლოოდ, დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად შემდეგი სახით:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცებისა და აქედან გამომდინარე, მოქმედი დებულების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ (მომხსენებელი: თინა მელქოშვილი);
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის ანგარიშის დამტკიცება (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2023 წლის ანგარიშის მოსმენის შესახებ (მომხსენებელი: შოთა ფოთოლაშვილი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა, ჯაბა სამუშიამ და ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე. აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის რაოდენობა იზრდება. მიმდინარე სემესტრში გამოცხადდება კონკურსები ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე.

ასისტენტი სასწავლო პროცესის ფარგლებში განახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით. აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტების, მათ შორის, საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციით, უნივერსიტეტის აკადემიური პროცესის მდგრადი განვითარებისთვის, მოწვეულ ლექტორებს თსუ ყველა ფაკულტეტზე ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობას შესთავაზებენ. უნივერსიტეტში შექმნილია კომისია, რომელიც საკონკურსო პირობებსა და პროცედურებზე იმუშავებს. რექტორმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას, აამაღლებს ასისტენტების მოტივაციას და მოაწესრიგებს მათი
აფილირების საკითხს.

თსუ რექტორმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ახალი სახელმძღვანელობი შეიქმნება. გასული წლის ნოემბერში შემუშავებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის თანახმად, 2024 წლის ბიუჯეტში ახალი სახელმძღვანელოების შესაქმნელად გამოიყო 350 ათასი ლარი. შესაბამისად, თსუ სტუდენტებს უახლოეს პერიოდში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელმძღვანელოები ექნებათ.

ახალ სახელმძღვანელოებში მოიაზრება როგორც უცხოური სახელმძღვანელოების თარგმნა, ასევე ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნა. ამ საქმისთვის თსუ-ში შეიკრიბება სპეციალური კომისია, რომელსაც პროფესორი მარინე ჩიტაშვილი უხელმძღვანელებს. კომისიაში თსუ ყველა ფაკულტეტიდან შესული 2-2 წევრი შევა, რომლებიც ფაკულტეტებთან ერთად განსაზღვრავენ პრიორიტეტებსა და საჭირო კრიტერიუმებს: თუ რა ტიპის, რომელი კურსის, რა სახის სახელმძღვანელოები უნდა შეიქმნას, რამდენ სტუდენტს სჭირდება ესა თუ ის სახელმძღვანელო, რა მოცულობის უნდა იყოს ნაშრომი, თარგმანის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე სტანდარტებს, ნაშრომი ლიტერატურულად და სტილისტურად უნდა იყოს გამართული.

სახელმძღვანელოებზე იმუშავებენ თსუ პროფესორები, რომლებიც სამეცნიერო მუშაობისთვის და სასწავლო ლიტერატურის მომზადებისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საათების ფარგლებში შექმნიან მათ და ამ საქმეში დამატებით მიეცემათ ჰონორარი.

თსუ რექტორმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა თსუ სწავლების ხარისხის ამაღლების საჭიროებას, სილაბუსების დახვეწის, სასწავლო კურსების დუბლირების პრობლემის მოგვარების აუცილებლობასა და სხვა. აღნიშნა, რომ ამ კუთხით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. აღინიშნა, რომ დღევანდელ სხდომაზე ხასრისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშით წარსდგება საბჭოების წინაშე 2023 წელს განხორციელებიული საქმიანობის შესახებ.

თსუ რექტორმა განაცხადა, რომ თსუ 1-ელ კორპუსში უახლოეს პერიოდში იგეგმება სასადილოს გახსნა, მოუწოდა სენტის წევრ სტუდენტებს, მაქსიმალურად ჩაერთონ ამ პროცესში... სხდომაზე დამსწრე პირებმა აღნიშნეს, რომ კმაყოფილები არიან მაღლივ კორპუსში არსებული სასადილოს ფუნქციონირებით, სადაც მაღალი ხარისხი და დაბალი ფასებია.

გამოსვლის დასასრულს, თსუ რექტორმა, ჯაბა სამუშიამ კიდევ ერთხელ ისაუბრა, თსუ სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ. აღნიშნა, რომ ეს პროცესი, აკადემიური საბჭოსთან შეთანხმებით იწყება სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოდან. მართალია, მისი რექტორად არჩევის შემდეგ, არსებული 17 პერსონალიდან დღეისათვის დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულია, თუმცა ეს რაოდენობაც არაოპტიმალურია, ვინაიდან არ არსებობს ამ სტრუქტურის ეფექტიანად და გამართულად მუშაობისათვის თუნდაც 7-8 პირის ჩართულობის საჭიროებაც. შესაბამისად, დაიწყება უნივერსიტეტის რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს რეორგანიზაციის პროცესი. რექტორის განმარტებით, იგი წარიმართება შესაბამის პროცედურების დაცვით, რაც თავისთვად მოითხოვს დროის გარკვეულ პერიოდს.

რექტორის სიტყვით გამოსვლის დასრულების შემდგომ, სხდომა გაგრძელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვით.

1. დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება.
როგორც საკითხის მომხსენებელმა, თინათინ მელქოშვილმა აღნიშნა, ახალი დებულების დამტკიცება განპირობებულია არსებული დებულების ბევრ მუხლში შესულ მოცულობით ცვლილებებთან. ამასთან, დეპარტამენტს ემატება ახალი ერთეული - შშმ/სსსმ სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრი, ხოლო ერთ ერთეულს ეცვლება სტატუსი, საკითხი საჭიროებს სტრუქტურულ და საშტატო ცვლილებებს. ახალი დებულების დამტკიცების შედეგად, ძალადაკარგულად უნდა იქნეს ცნობილი დეპარტამენტის ამჟამინდელი დებულება.
სენატის წევრის, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის მიერ საკითხით დაინტერესების საპასუხოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა დეტალურად ისაუბრა და საბჭოს მოახსენა ახალი ერთეულის - შშმ/სსსმ სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრი დამატების აუცილებლობის, საჭიროებისა და აქტუალურობის შესახებ. აღინიშნა, რომ საკითხის კომისიური წესით შესწავლის შედეგად გამოიკვეთა რიგი მნიშვნელოვანი პრობლემებისა, მათ შორისაა პირთა იდენტიფიცირების საკითხი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დაწვრილებით ისაუბრა ინკლუზიური გარემოს შექმნისა და შესაბამისი ინსტრუმენტებით აღჭურვის აუცილებლობაზე, ასევე სხვა მნიშვნელოვან, გასატარებელ ღონისძიებებზე ამ მიმართულებით.
სენატის საბჭოს წევრმა, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ზურაბ გაიპარაშვილმა გამოთქვა კმაყოფილება მსგავსი ცენტრის შექმნის გამო, მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ინიციატივას, ვინაიდან ამ ერთეულის არსებობა ხელს შეუწყობს იმ პრობლემების გადასაწყვეტას, რაც საკმაოდ ხშირად წარმოიშვება მათი საქმიანობისას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1.დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება წარმოდგენილი სახით და გამომდინარე აქედან, შევიდეს შესაბამისი ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურაში, დადგენილი წესით (დანართი #3);
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ადრე მოქმედი დებულება.

2. თსუ ადმინისტრაციის უფროსმა, ლაშა საღინაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს წარუდგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის 2023 წლის ანგარიში, რომელიც მოიცავდა 2023 წელს განხორციელებულ მნიშვნელოვან ღონისძიებებსა და პროექტებს. აღინიშნა, რომ ანგარიში კანონით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში გადაეგზავნათ როგორც აკადემიური საბჭოს, ასევე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს.

თსუ კანცლერის მიერ წარმოდგენილი იქნა ანგარიში პრეზენტაციის სახით. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი მომზადდა პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით.
მომხსენებელმა ისაუბრა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხზე და ამ კუთხით განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე, სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამებზე, სამეცნიერო-კვლევების ხელშეწყობაზე, საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებზე, საბიბლიოთეკო საქმიანობაზე, საინფორმაციო ტექნლოგიების მიმართულებით სიახლეებსა და საგარეო ურთიერთობებზე, უწყვეტ განათლებაზე, კულტურასა და სპორტზე, სამუზეუმო საქმიანობაზე, პროფესიულ განათლებაზე...
აღინიშნა, რომ თსუ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსაქმებელია. ისაუბრა დეტალურად თსუ ასისტენტის პოზიციის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ. აღნიშნა, რომ ამ მიზნით შექმნილია შესაბამისი კომისია, საკონკურსო პირობებისა და კრიტერიუმების შესამუშავებლად. აღნიშნა, რომ 2023 წელს დაიგეგმა შრომის ანაზრაურების ზრდა, რაც განხორცილედა მიმდინარე წელს, ისაუბრა სახელმძღვანელოების შექმნის ხელშეწყობის პროგრამაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.
პრეზენტაციის დასრულების შემდგომ სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში, გაიმართა დისკუსია, მათ შორის ასისტენტის კონკურსთან დაკავშირებულ პროცედურებსა თუ პირობებზე, რის შემდეგაც საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის ანგარიში წარმოდგენილი სახით (დანართი 4);

3.თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, შოთა ფოთოლაშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს წარუდგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2023 წლის ანგარიში.

მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა სამსახურის მიერ 2023 წელს განხორციელებულ პროექტებზე, აქტივობებზე. კერძოდ, ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხზე, როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა, ისაუბრა ინსტიტუციური განვითარების შესახებ გატარებულ ღონისძიებებზე, კომუნიკაციაზე ხარისხის უზრუნველყოფის გარე აქტორებთან და ინსტიტუციებთან, სამსახურის სხვა საქმიანობასა და სამსახურის თვითშეფასებისა და შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე.

საკითხის მომხსენებელმა, სხდომის მონაწილეებს დეტალურად გააცნო ინფორმაცია ჩატარებული კვლევების შესახებ, რომელიც მოიცავდა სტუდენტთა, პერსონალის კმაყოფილების, შრომის/დასაქმების ბაზრის, ასევე შშმ/სსსმ სტუდენტთა საჭიროებების კვლევებს. მომხსენებლის მიერ ასევე დაწვრილებით იქნა წარმოდგენილი თითოეული კვლევის ანალიზის საფუძველზე შემშავებული ზოგადი რეკომენდაციები.

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ილია თავხელიძემ აღნიშნა, რომ გამოცდების დაგეგმილი განრიგი არ არის მისაღები და მოქნილი. მომხსენებელმა განმარტა, რომ ეს პრობლემა დაკავშირებულია საგამოცდო ცენტრის გამტარუნარიანობაზე და აღნიშნა,რომ იმუშავებენ ამ მიმართულებით მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.
წარმომადგენლობითი საბჭომ მიერ ერთმად იქნა მოწონებული წარმოდგენილი ანგარიში და იგი მიღებული იქნა ცნობის სახით (დანართი 5).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გიორგი ოქიტაშვილი

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2024 წლის 29 მარტის, #4 სხდომა)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი

1. ნაზირა კაკულია -
2. მიხეილ ჩიკვილაძე -
3. ნინო ფარესამვილი -
4. ლელა ბახტაძე -
5. მარინა მაისურაძე -

სტუდენტები:

1. დავით ნებიერიძე -
2. საბა გოგიბერიძე -
3. მარიამ შენგელია -

4. ილარიონ ფიფია -

5. ელენე გაჩეჩილაძე -

6. ლიკა წერეთელი-

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ილია თავხელიძე-

2. ლია მაჭავარიანი-

3. ნათელა არჩვაძე-

4. ამირან ბიბილამვილი-

5. მარიამ ახალკაციმვილი-

6. მაკა მურვანიძე-

სტუდენტები:

1. ანა ბოკერია-

2. მარიამ ვარდოსანიძე-

3. ვასილ ბერიძე-

4. დავით მუბითიძე-

იურიდიული ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. მარინა გარიშვილი-

2. მაია ივანიძე-

3. გიორგი თუმანიშვილი-

სტუდენტები:

1. ბარბარა მახარაძე-

2. საბა ქვათაძე-

3. თამარ ჯინჭარაძე-

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ნათუნა მაისაშვილი-

2. ნათია სვანიძე-

3. ავთანდილ ტუკვაძე-

სტუდენტები:

1. ალექსანდრე გაბაშვილი-

2. კახა კუჭუხიძე-

3. ნინო პაქსაშვილი-

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ვლადიმერ გამსახურდია-

2. იზაბელა პეტრიაშვილი-

სტუდენტები:

1. ანი ფურცელაძე-

2. ბარბარე მამაგეიშვილი-

მედიცინის ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-

2. თინა ჭიტუაშვილი-

3. ზურაბ ჩხაიძე-

4. მალვა ფარულავა-

5. გიორგი პატარაია-

სტუდენტები:

1. ასპრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ-

2. ანა ფამაევა-

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. კახაბერ ლორია-

2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. ელისაბედ ბეჟალავა-

4. მანანა რუსიეშვილი-

5. თეა ქარჩავა-

6. ლერი თავაძე-

7. ნიკოლოზ ჯავახიშვილი-

8. ინგა სანიკიძე-

სტუდენტები:

1. გიორგი არქანია-

2. საბა გიორგაძე-

3. ნათია კორამშვილი-

4. გიორგი ლაბაძე -

5. ლუკა მამალამშვილი-

ნ. ლუკა ნარმანია-

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი-

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პავლიაშვილი-

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ციური სუმბაძე-

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ზუციშვილი-

კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი-

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე-

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე-

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე-

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი-

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი

ედიშერ ფუტკარაძე-

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

მანანა ნიკოლაიშვილი-

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

მარინა გურგენიშვილი-

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მარინე ხუციშვილი-

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეთერ კაკულია-

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცა გვანცელაძე-

მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე-

ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეა მავაძე-

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაჭკორია-

დანართი 2 წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 მარტის სხდომის ოქმი №4,

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრთა სია

(2024 წლის 29 მარტი, N4 სხდომა)

1. სამუშია ჯაბა, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
2. აბამიძე ზურაბ
3. ავაზაშვილი ნიკოლოზ
4. ამირანაშვილი ავთანდილ
5. ანანიაშვილი ნათელა
6. ბახტაძე მიხეილ
7. გავაშელი ცისანა
8. გონაშვილი ვასილ
9. ზაუტაშვილი მარინე
10. კოპალეიშვილი მაია
11. კუხიანიძე ალექსანდრე
12. ლობჟანიძე გია
13. ლომიძე გაგა
14. მაღრაძე ვახტანგ
15. მინდაძე ნინო
16. სადრაძე ნინო
17. სილაგაძე ავთანდილ

18. ფერაძე გოჩა

19. ფურთუხია ომარ

20. ქიტიაშვილი ზაქარია

21. ჭურდაძე რამაზ

22. ღონღაძე ალექსანდრე

23. ყარალაშვილი თამაზ

24. შავლაყაძე ნუგზარ

25. შალიკაშვილი მორის

26. შანიძე რევაზი

27. შარაშიძე ნინო

28. შენგელია თემური

29. ჩიტაშვილი მარინე

30. ცისკარიძე ალექსანდრე

31. წერეთელი მარი

32. ხარაიშვილი ეთერ

33. ხაჩიძე მანანა

34. ხუსკივაძე მამუკა

35. ხუციშვილი ქეთევან

პროექტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი (შემდგომში - „დეპარტამენტი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინიტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.
2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ამოცანები და ფუნქციებია:

ა) საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ბ) კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების პროცესისათვის ხელშეწყობა;

გ) სტუდენტის სასწავლო პროცესში, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწორად ორიენტირება;

დ) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია;

ე) ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა.

2. დეპარტამენტი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საგანმანათლებლო ერთეულების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობით.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი. დეპარტამენტის სტრუქტურაში შედიან დეპარტამენტის ცენტრები და განყოფილებები.
2. დეპარტამენტის უფროსს უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
3. დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, ცენტრებისა და განყოფილების უფროსებსა და თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით.

4. დეპარტამენტის უფროსის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), აგრეთვე დეპარტამენტის უფროსის დავალების შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

5. დეპარტამენტი შედგება შემდეგი ცენტრებისა და განყოფილებებისაგან:

ა) შშმ/სსსმ სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრი;

ბ) კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი;

გ) სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება;

დ) სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება.

6. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით დეპარტამენტისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის ცენტრის უფროსი, დეპარტამენტის განყოფილების უფროსი, დეპარტამენტის ცენტრის/განყოფილების მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია), დეპარტამენტის ცენტრის/განყოფილების მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია), ცენტრის/დეპარტამენტის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი და დეპარტამენტის ცენტრის/განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

7. საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების (ექსპერტი, კონსულტანტი, მთავარი სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი და უფროსი სპეციალისტის) მოწვევა.

მუხლი 4. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;

ბ) განსაზღვრავს დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

გ) ანაწილებს ფუნქციებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) ზედამხედველობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ე) ხელს აწერს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;

ვ) წარადგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;

ზ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით დეპარტამენტისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

თ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს დეპარტამენტის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, დეპარტამენტის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტის სახელით გასცემს დასკვნებს;

კ) პერიოდულად ისმენს დეპარტამენტის თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ლ) შუამდგომლობს დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;

მ) წარმოადგენს დეპარტამენტს მესამე პირებთან ურთიერთობაში თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;

ნ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა-კოორდინაციასა და ორგანიზაციაში;

ბ) მონაწილეობს დეპარტამენტში შემოსული მასალების განაწილებაში;

გ) ახორციელებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის სამსახურებრივი საკითხების შესახებ კონსულტაციის გაწევას;

დ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის სფეროში დეპარტამენტის ფუნქციების განხორციელებას;

ე) დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, რექტორის, დეპარტამენტის უფროსის დავალებებს.

3. ცენტრის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, დეპარტამენტის უფროსის მითითებების შესაბამისად, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს და აძლევს დავალებებს;

გ) ზედამხედველობს ცენტრის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;

დ) ხელს აწერს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;

ე) დეპარტამენტის უფროსს ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს ცენტრის მიერ განეული საქმიანობის შესახებ;
ვ) წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;
ზ) ორგანიზებას უწევს ცენტრისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც დეპარტამენტის უფროსს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
თ) პასუხისმგებელია ცენტრის საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე.

4. განყოფილების უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, დეპარტამენტის უფროსის მითითებების შესაბამისად, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს და აძლევს დავალებებს;
გ) ხელს აწერს განყოფილებაში მომზადებულ დოკუმენტებს;
დ) ამზადებს განყოფილების საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს დეპარტამენტის უფროსს;
ე) ორგანიზებას უწევს განყოფილებისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც დეპარტამენტის უფროსს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
ვ) პასუხისმგებელია განყოფილების საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე.

მუხლი 5. კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი
1. კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი:
ა) კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტებს;
ბ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის დამუშავებასა და საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე, წერილების მომზადებას;
გ) თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან;
დ) უზრუნველყოფს უმაღლესი, პროფესიული და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომებისა და სერტიფიკატების ფორმების შემუშავებას და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში წარდგენას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ე) ახორციელებს უმაღლესი, პროფესიული და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომებისა და სერტიფიკატების შევსებას, დიპლომის

დანართის გადამოწმებას, გაცემას და აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) ახორციელებს სერტიფიკატებისა და მოწმობების ფორმების (გარდა ამ მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში მითითებული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების) შემუშავებას, შევსებას, გაცემას და მათ აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ზ) ახორციელებს უმაღლესი, პროფესიული და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომებისა და სერტიფიკატების დასკანერებას;

თ) თანამშრომლობს უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებებთან, კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებთან, უცხოეთის სხვადასხვა კომპანიებთან უმაღლესი, პროფესიული და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომებისა და სერტიფიკატების, ასევე ცნობების ნამდვილობისა და სწავლის ფაქტის დადასტურების მიზნით;

ი) უზრუნველყოფს სატენდერო წინადადებების მომზადებას დიპლომების, სერტიფიკატებისა და დიპლომების ყდების შესყიდვის მიზნით;

კ) ახორციელებს უმაღლესი, პროფესიული და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომების, დიპლომების დანართების, სერტიფიკატებისა და ცნობების ასლების დამოწმებას;

ლ) ახორციელებს ექსპერტიზა-უტილიზაციისთვის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების მომზადებასა და წარდგენას უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებაში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

მ) ახორციელებს საუნივერსიტეტო მუდმივმოქმედი კომისიისათვის გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების გასანადგურებლად წარდგენას;

ნ) უზრუნველყოფს 2009-2010 სასწავლო წლის ჩათვლით სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებისთვის შუამდგომლობის მომზადებას;

ო) უზრუნველყოფს 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის/იმ პირებისათვის, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების წელს არ მიუღიათ საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიცვალა სახელი ან/და გვარი, შუამდგომლობის მომზადებას;

პ) უზრუნველყოფს თსუ-ს ყოფილი ფილიალების (ქვემო ქართლი, ოზურგეთი, ფოთი), შემოერთებული უნივერსიტეტების (თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეკონომიკისა და

სამართლის უნივერსიტეტი) და მათი ყოფილი ფილიალების კურსდამთავრებულთათვის საჭირო დოკუმენტების მომზადებასა და გაცემას;

ჟ) უზრუნველყოფს დაცული გაუცემელი დიპლომებისა და დიპლომების დანართების, სერტიფიკატებისა და მოწმობების თსუ არქივისთვის გადაცემას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

რ)საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთათვის სხვადასხვა სახის ცნობების დამზადებას.

მუხლი 6. შშმ/სსსმ სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრი

1. შშმ/სსსმ სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრი:

ა) შეიმუშავებს შშმ/სსსმ სტუდენტთა და მათი საჭიროებების იდენტიფიცირების ეფექტურ მექანიზმებს;

ბ) ხელს უწყობს შშმ/სსსმ სტუდენტთა და მათი საჭიროებების იდენტიფიცირების მექანიზმების დანერგვას;

გ) აფასებს უნივერსიტეტის მატერიალურ და ციფრულ ბაზას ხელმისაწვდომობის ბარიერების გამოვლენის მიზნით და შეიმუშავებს რეკომენდაციებს;

დ) მონაწილეობს სასწავლო და საგამოცდო (დამატებითი დრო, პირადი ტესტირების ოთახი, დამხმარე ტექნოლოგია და სხვ.) პროცესის ადაპტირებაში და ამ მიზნით გასატარებელ ღონისძიებებში;

ე) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების ადაპტაციის მხარდაჭერას, ასევე დამხმარე ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობას, რომელიც ეხმარება შშმ/სსსმ სტუდენტებს სწავლისა და კომუნიკაციის ბარიერების დაძლევაში;

ვ) გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად მართავს კონსულტაციებს სტუდენტებთან და პერსონალთან;

ზ) ცნობიერების ამაღლების მიზნით გეგმავს და აორგანიზებს ვორქშოფებს, სემინარებს და სხვა კამპანიებს;

თ) აანალიზებს შშმ/სსსმ სტუდენტების გამოცდილებას ინსტიტუციური პოლიტიკის შემდგომი დახვეწის მიზნით.

მუხლი 7. სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება

1. სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება:

ა) ახდენს სასწავლო პროცესის განხორციელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

ბ) კანონმდებლობის შესაბამისად ამზადებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტებს;

გ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს შესამუშავებელი სამართლებრივი აქტების შედგენასა და ექსპერტიზაში;

დ) კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან;

ე) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის დამუშავებასა და საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე, წერილების მომზადებას;
ვ) მონაწილეობს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებში;
ზ) ახორციელებს უნივერსიტეტის სასწავლო საქმიანობის ანალიზს;
თ) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
ი) უზრუნველყოფს „სტუდენტის გზამკვლევის" (საინფორმაციო ბროშურა) და სხვა საცნობარო მასალის შემუშავებას;
კ) უზრუნველყოფს სტუდენტების ხელშეკრულებების პროექტების მომზადებას.
ლ) ახორციელებს კონტროლს სტუდენტის პირადი საქმის წარმოებაზე;
მ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სხვადასხვა სახის ცნობების დამზადებას;
ნ) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტაციების გაწევას სტუდენტებისათვის;
ო) უზრუნველყოფს წარჩინებული სტუდენტებისათვის სტიპენდიების მოპოვების მიზნით უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულებების/იურიდიული პირების მოთხოვნის საფუძველზე დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა დამუშავებას.

მუხლი 8. სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება

1. სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება:
ა) ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირების წესით გათვალისწინებული ინფორმაციის სისტემატიზაციას (ინფორმაციის შეტანა და განახლება);
ბ) თანამშრომლობს უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებასთან უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირების მიზნით;
გ) ახორციელებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში ინფორმაციის შეტანას და მუდმივ განახლებას;
დ) ახორციელებს მონიტორინგს სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ელექტრონულ აღრიცხვაზე;
ე) კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით უზრუნველყოფს დიპლომებისა და პროფესიული დიპლომის, სერტიფიკატისა და მოწმობის უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში/უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ატვირთვას;

ვ) სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის დამუშავებას, საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე წერილების მომზადებას;

ზ) უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების მოცულობის ფარგლებში ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებიდან დასაფინანსებელი სტუდენტების შერჩევას;

თ) უზრუნველყოფს წვევამდელთა აღრიცხვასა და სტუდენტი ვაჟებისათვის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევაზე უფლებამოსილ ორგანოში წარსადგენი ცნობის მომზადებას;

ი) უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების მოცულობის ფარგლებში ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებიდან დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა დამუშავებას;

კ) თანამშრომლობს უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებებთან, ფიზიკურ/იურიდიულ პირებთან სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მიზნით.

ლ) ახორციელებს მსოფლიოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო რანჟირების სისტემაში უნივერსიტეტის მონაწილეობის უზრუნველყოფად სავალდებულო მონაცემების მომზადებას.

მუხლი 9. დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

დეპარტამენტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

N 8807/10 27.03.2024

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის (შემდგომში- ,,დეპარტამენტი“) დებულებას.

გთხოვთ, ძალადაკარგულად ცნოთ დეპარტამენტის ამჟამინდელი დებულება. ახალი დებულების დამტკიცება განპირობებულია არსებული დებულების ბევრ მუხლში შესულ მოცულობით ცვლილებებთან.

ვინაიდან დეპარტამენტს ემატება ახალი ერთეული, ხოლო ერთ ერთეულს ეცვლება სტატუსი, საკითხი საჭიროებს სტრუქტურულ და საშტატო ცვლილებებს.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის)

2023 წლის ანგარიში

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი)
ლაშა საღინაძე

2024

1. **უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი მომზადდა, პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით.**

2023 წელს, თსუ საფინანსო დეპარტამენტი, საქმიანობას წარმართავდა, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის'', ,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის'', უნივერსიტეტის წესდების, ,,უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესის'', დეპარტამენტის დებულების და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე, ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, საგეგმო-საფინანსო, აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიმართულებებით, დეპარტამენტის სამუშაოგეგმის შესაბამისად,რომელშიც გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტის 2023 წლის პრიორიტეტული მიმართულებების, სასწავლო სამეცნიერო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობისა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით, კულტურულ-სპორტულ აქტივობებში ჩართულობის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია რომ, გეგმით გათვალისწინებული ძირთადი ვალდებულებები შესრულებულია.

2023 წლის გადასახდელებში (97 224 257 ლარი), საკუთარი სახსრებითგაწეულმა გადასახდელებმა შედგინა 69 648 980 ლარი. მათ შორის:უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირებისათვის გაწეულმახარჯმა შეადგინა-21 926 195 ლარი;ფაკულტეტებისათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 37 192 101 ლარი: მათ შორის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის -8 192 513 ლარი; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის- 6 366 895 ლარი; იურიდიული ფაკულტეტის -4 467 399 ლარი; მედიცინის ფაკულტეტის 6 473 244 ლარი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის -2 897 495 ლარი; ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის-2 053 893 ლარი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 6 740 662 ლარი.

ენების ცენტრის მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 2 486 350 ლარი; მეცნიერებაზე გამოყოფილი დაფინანსებით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 25 239 575 ლარი. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის -13 484 057 ლარი; საერთაშორისო გრანტების2 048 809 ლარი, ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტების 7 490 958 ლარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში დაფინანსებული პროექტების- ,,მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონალური საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრის (ჰაბი) ხარჯმა შეადგინა -60 093 ლარი; ქართულ-ოსული ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტის მხარდაჭერის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური, კვლევითი საქმიანობის და სტუდენტური პროექტების მხარდაჭერი ხარჯმა შეადგიან-218 914 ლარი; სხვადასხავა პროექტების დაფინანსებაზე გაწეულმა ხარჯმა 727 891 ლარი.

აკადემიური პერსონალის და დოქტორანტების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 57 833 ლარი.პროფესიული განათლების განვითარების პროგრამით გაწეულმახარჯმა 993 461ლარი;კულტურისა და სპორტის ხელშეწყობის პროგრამით გაწეულმა ხარჯმა 1 561 865 ლარი: მათ შორის: კულტურის ხელშეწყობით 444 370 ლარი, სპორტის ხეშეწყობით 1 097 495.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1 864 717ლარი; ინფრასტრუქტურის განვითარებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა თსუ საკუთარი სახსრებით 2 449 140 ლარი; ხოლო სამინისტროს დაფინანსებით 621 570 ლარი. მათ შორის თსუ საკუთარი სახსრებით შენობა -ნაგებობების რეაბილიტაციაზე გაწეულია 1 164 886 ლარის ხარჯი, ხოლო სამინისტროს დაფინანსებით 621 570 ლარის ხარჯი.

განათლების ხარრისხის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით, პროგრამების აკრედიტაციაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 206 550 ლარი.

2023 წელს თსუ-მიერ შეძენილია 1 110 966 ლარის კომპიუტერული ტექნიკა, 234 630 ლარის სერევერი; 232 969- ლარის პრინტერი,სკანერი, ასლგადამღები, 17 690ლარის ფოტოაპარატები, 225000 ლარის წიგნები, 165 744 ლარის 2 ავტომობილი, 5800 ლარის ოპტიკური ხელსაწყო, 54 927 ლარის ვიდეო-აუდიო აპარატურა, 232 220 ლარის სამედიცინო აპარატურა და ხელსაწყოები,507 955 ავეჯიდა სხვა.

2. ინფრასტრუქტურის განვითარება

განხორციელდა მეორე სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია;

განხორციელდა უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის სივრცის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

განხორციელდა უნივერსიტეტის მეხუთე სასწავლო კორპუსის რიგი აუდიტორიების ჭერის შეკეთების სამუშაოები;

განხორციელდა უნივერსიტეტის მეექვსე სასწავლო კორპუსის ფასადის და კიბის უჯრედის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

თსუ-ს მაღლივ კორპუსში 12 სართულზე დამონტაჟდა ფანტანები (წყლის დასალევი ფანტანი)

განხორციელდა რიგი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები;

უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში მოეწყო სტუდენტური სივრცეები;

თსუ-ს ბიოლოგების და მაღლივ კორპუსში შეიცვალა სახურავი (ბრტყელი გადახურვა)

თსუ-ს და შემოერთებულ ინსტიტუტების კორპუსებში არსებულ ლიფტებს ჩაუტარდათ ტექნიკური დათვალიერება

შესყიდულ იქნა სამორიგეო დანიშნულების ავტომობილი და ასევე ახალი მიკროავტობუსი;

გაიწმინდა და შეკეთდა კორპუსებში არსებული 300 ცალი კონდენციონერი ,,ზამთარ-ზაფხული''.

თსუ-ს კორპუსებში დამონტაჟდა 80 ცალი კონდეიციონერი ,,ზამთარ-ზაფხული'' .

3. სტუდენტთა ხელშეწყობა

სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 2 702 703 ლარი: მათ შორის: სტუდენტური პროექტების ხელშეწყობის პროგრამით დაფინანსდა 139 პროექტი ბიუჯეტით 847 123,61 ლარი, სტუდენტური სტიპენდიების პროგრამით გაწულმა ხარჯმა - საკუთარი სახსრებიდან შეადგინა 67 169 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტით 1 976 400

ლარი. (დაფინანსდა საშუალოდ 750 სტუდენტი პირველი სემესტრის განმავლობაში 150 ლარიანი სტიპენდიით, ხოლო 1330 სტუდენტი 300 ლარიანი სტიპენდიით მეორე სემესტრის განმავლობაში). საუნივერსიტეტო დაფინანსებით სტუდენტებს სწავლა დაუფინანსდა 700 000 ლარით.

სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრის ფარგლებში განხორციელდა რიგი აქტიობები:

კარიერიერის მხარდამჭერი სერვისები.

დასაქმების ფორუმი - 2023 წლის ნოემბერში ჩატარდა დასაქმების ფორუმი, სადაც წარმოდგენილი იყო მხოლოდ 42 პროფილური დამსაქმებელი და დასაქმების საძიებო პლატფორმის წარმომადგენლები. ჩართული იყო 832 სტუდენტი და კურსდამთავრებული. სტაჟირების პროგრამა გაიარა ან დასაქმდა ფორუმში მონაწილეთა 60 %

მიმდინარე ვაკანსიების, სტაჟირების პროგრამების შესახებ ინფორმაციის სისტემატური მიწოდება - 2023 წელს გაიგზავნა 950-მდე აქტიური ვაკანსიისა და სტაჟირების შესახებ ინფორმაცია.

პროფილურ დამსაქმებლებთან სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეხვედრების ორგანიზება - 2023 წელს ყოველკვირეულად საშუალოდ უნივერსიტეტის მასშტაბით 3-4 შეხვედრა გაიმართა. 2023 წელს ჩატარდა 87 შეხვედრა, რომელსაც საშუალოდ 25000 სტუდენტი და კურსდამთავრებული დაესწრო.

ტრენინგ კურსს ,,კარიერის მართვა“, რომელიც არის 12 საათიანი ინტესნიური კურსი და შეეხება ისეთ საკითხებს როგორიცაა: კარიერის თანამედროვე კონცეფციები, შრომის ბაზრის შესწავლა, პირადი კარიერის დაგეგმვა. 2023 წელს ჩატარდა 14 ტრენინგი. მონაწილეობა მიიღო 232 სტუდენტმა.

ტრენინგკურსი ,,პროექტის წერა“ – 2023 წელს ჩატარდა 36 ტრენინგი, მონაწილეობა მიიღო 617 სტუდენტმა

კარიერის მხარდამჭერი ვებინარები - 2023 წელს ჩატარდა 8 ვებბინარი. მონაწილეობა მიიღო 300 - მდე სტუდენტმა

ინდივიდუალური კონსულტაცია - კარიერის მხარდამჭერ საკითხებზე 2023 წელს ინდივიდუალური კონსულტაცია გაიარა 950 სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა

სტუდენტთა დასაქმების და სტაჟირების მიზნით გაფორმებული მემორანდუმები - 2023 წელს ცენტრის კოორდინირებით გაფორმდა 32 მემორანდუმი;

საერთო საცხოვრებლის სერვისები

2023 წლის განმავლობაში სტუდქალაქის შესახლების მიზნით 4-ჯერ გამოცხადდა ონლაინ რეგისტრაცია. ჯამში წლის განმავლობაში სტუდქალაქში შესახლებული იქნა - 265-მდე სტუდენტი (მათ შორის შევასახლეთ ერთი შშმ პირი სტუდენტი). ლისის საერთო საცხოვრებელში შესახლდა - 140-მდე სტუდენტი. ბაგების საერთო საცხოვრებელში შესახლდა - 125-მდე სტუდენტი.

სტუდქალაქის ბაგების საერთო საცხოვრებელის პირველი და მეორე კორპუსების თითოეულ სართულზე მოეწყო ახალი (ექვსი) საერთო სარგებლობის სამზარეულოები, რისთვისაც შეძენილ იქნა სამზარეულოს ტექნიკა და ინვენტარი (მაცივრები, ქურები, ავეჯი და სხვა). მოეწყო შესაბამისი ელექტრო, წყლის და საკანალიზაციო სისტემა.

ბაგების საერთო საცხოვრებელში სრულიად განახლდა საერთო სარგებლობის 6 საპირფარეშო.

ბაგების საერთო საცოხვრებლის კორპუსებში და მის პერიმეტრზე დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები.

აღდგენილ იქნა ქარისგან დაზიანებული სახურავის საფარი და ჟოლუბები. საერთო საცხოვრებლის ტერიტორიდან გატანილ იქნა სარემონტო და საყოფაცხოვრებო ჩამოწერილი ავეჯის ნაგავი.

ბაგების საერთო საცხოვრებელში აღგენილ იქნა და შეკეთდა ელექტორგაყვანილობა და განათების სისტემები. აღდგენილ იქნა და შეკეთდა საკანალიზაციო, წყალგაყვანილობის სისტემები დაზიანების ადგილებში.

ლისის საერთო საცხოვრებელში რამდენიმე ლოკაციაზე შეკეთდა ცენტრალური გათბობის სისტემები, რადიატორები.

საბავშვო უნივერსიტეტი

2023 წელს თსუ საბავშვო უნივერსიტეტის პროექტებითა და პროგრამებით ისარგებლა/მონაწილეობა მიიღო 500-ზე მეტმა სკოლამ, 12500-ზე მეტმა მოსწავლემ.

საექსკურსიო ტიპის შეთავაზებით ისარგებლა 2000-ზე მეტმა მოსწავლემ ქვეყნის 100-მდე სკოლიდან. სეზონურ თემატურ სკოლებში მონაწილეობა მიიღო 200-მდე მოსწავლემ.

სხვადასხვა ნორჩთა სკოლების, კლუბებისა და კურსების შეთავაზებით ისარგებლა 2500-მდე მოსწავლემ.

პოექტებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტიობებში მონაწილეობდა 700-მდე მოსწავლე. სამეცნიერო ტიპის ესეების, სტატიების კონკურსებსა და კონფერენციებში ჩაერთო 500-მდე მოსწავლე.

პროფორიენტაციით ისარგებლა 600-მდე მოსწავლემ. რეგიონებში საბავშვო უნივერსიტეტის ჩართულობით განხორციელებულ აქტიობებში მონაწილეობდა 1200-მდე მოსწავლე.

პროექტ თსუ დესპანის ეგიდით შეხვედრა განხორცეილდა 250-მდე სკოლის 5000-ზე მეტ მოსწავლესთან.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტი აქტიურად იყო ჩართული საუნივერსიტეტო აქტივობებში, მასპინძლობდა პირველსემესტრელ სტუდენტთა საორინტაციო და საექსკურსიო შეხვედრებს. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან ერთად აქტიურად გეგმავდა 26 მაისის ღონისძიებას. თსუ საბავშვო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საბავშვო უნივერსიტეტების გაერთიანებასთან. EUCU.NET-ის მიერ ორგანიზებულ 2023 წლის ნოემბერში გამართულ საერთო შეკრებაზე აქტიურად ვიყავით ჩართული, სადაც გაერთიანების წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია თსუ საბავშვო უნივერსიტეტის განხორციელებული აქტიოვობების შესახებ, რომელმაც წევრების დიდი დაინტერესება გამოიწვია.

4. სამეცნიერო-კვლევების ხელშეწყობა

2023 წლის განმავლობაში თსუ-ში ხორციელდებოდა 300-ზე მეტი ადგილობრივი/საერთაშორისო პროექტი (დონორი ორგანიზაციებია: SRGNSF, EU HORIZON EUROPE/Erasmus+, NSF, BMBF, ISTC, NATO SPS, UNDP, OeAD და სხვა). თსუ დაფინანსებული პროექტების რაოდენობით ტრადიციულად ლიდერობდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRGNSF) გამოცხადებულ კონკურსებში. 2023 წელს ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსებიდან თსუ-მ 11 კონკურსში მიიღო მონაწილეობა და ჯამში 307 საპროექტო წინადადება წარადგენა. კონკურსების შედეგების მიხედვით თსუ-ს მონაწილეობით 111 ეროვნული პროექტი დაფინანსდა. შრსესფ 2023 წლის

კონკურსებში თსუ წარმატების ინდექსმა შეადგინა 36%. 2023 წლის განმავლობაში თსუ-ში ხორციელდებოდა 23 საერთაშორისო პროექტი.

ევროკომისიის დაფინანსებისა და ტენდერების პორტალის (Funding and Tenders Portal) მონაცემებით 2023 წელს თსუ-ის მონაწილეობით სხვადასხვა სტატუსით დაფიქსირდა 50 საპროექტო წინადადება, რომელთა შორის 22 განაცხადში თსუ კოორდინატორია. აქედან 7 პროექტმა მოიპოვა დაფინანსება (6 ERASMUS2027, 1 HORIZON-EUROPE). აღსანიშნავია, რომ 2022 წლიდან ევროკომისიის HorizonEurope ფარგლებში წარდგენილი/მიღებული საპროექტო წინადადებების/პროექტების ადმინისტრირება დაევალა Horizon Europe თსუ სამეცნიერო საგრანტო ოფისს.

თსუ-ის ავტორობით მაღალრეიტინგულ ჟურნალებში Scopus-ის მიხედვით გამოქვეყნდა 588 სტატია (2024 წლის 11 მარტის მონაცემებით).

თსუ სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის და ხილვადობის გაზრდის მიზნით თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების და იურიდიული დეპარტამენტების ინიცირებით თსუ-ში ამოქმედდა აკადემიური პერსონალის და დოქტორანტთა სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მექანიზმები (რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანებები 12/04 და 13/04, 19.05.2021). 2023 წლის განმავლობაში თსუ აფილირებით მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისთვის დაჯილდოვდა 25 აკადემიური პერსონალი და 7 დოქტორანტი; ამავდროულად საფაკულტეტო ჯილდო გადაეცა 25 აკადემურ პერსონალს.

დეპარტამენტის უშუალო ჩართულობით და ხელშეწყობით განხორციელდა: ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მიზნით სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსთან თანამშრომლობით კონკრეტული ღონისძიებების გატარება; „მეცნიერების საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით ღონისძების ორგანიზება და 16 დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელის დაჯილდოვება; განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტების ორგანიზება/განხორციელება თსუ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში; ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის თსუ-ში ვიზიტის ორგანიზება.

დეპარტამენტის თანამშრომლებს მიღებული აქვთ მონაწილეობა შემდეგ ვებინარებსა/სამუშაო შეხვედრებში/ტრენინგებში: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები სხვადასხვა კონკურსების ფარგლებში; Horizon Europe - ჰორიზონტი ევროპა - კვლევითი ინფრასტრუქტურების საინფორმაციო დღე; ევროპული ინოვაციების საბჭო (EIC) ჯანმრთელობისა და ბიოტექნოლოგიების შესახებ საინფორმაციო დღე; ჰორიზონტი ევროპის საინფორმაციო დღე თსუ-ში; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ინტელექტუალური საკუთრების მართვა მეცნიერებაში“; საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი (ISTC) ტრეინინგი პროექტების წარდგენის და შეფასების წესების, პროექტების შეფასების ვადებთან და ა.შ. დაკავშირებით; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით ჩატარებული ჰიბრიდული ღონისძიება “კვლევის მთლიანობის ხელშეწყობის გეგმის განვითარება“; ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის

„ინტერსექტორული თანამშრომლობის გაძლიერება კვლევასა და ინდუსტრიას შორის“ ოფიციალური დასკვნითი შემაჯამებელი ღონისძიება (ეროვნული სამეცნიერო ფონდი); თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მე-11 ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში "XXVIIIth International Seminar/Workshop on Direct and Inverse Problems of Electromagnetic and Acoustic Wave Theory (DIPED-2023); "მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომა"; ელსევიერის მიერ ორგანიზაბული ტრენინგი Freelancer's day (სიახლეები ელსევიერის ბაზებში - SD, Scopus, Research Intelligence, Reaxys); ექვსი ვებინარი ელსევიერის სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებაზე.

პერმანენტულად მიმდინარეობდა უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა/მონიტორინგი; ტარდებოდა კონსულტაციები მინიმალურ სავალდებულო სამეცნიერო-კვლევით დატვირთვასთან დაკავშირებით.

მომზადდა და თსუ-ის ვებზე განთავსდა 2 ანგარიში: თსუ წლიური სამეცნიერო ანგარიში და თსუ სამეცნიერო აქტივობა 2023 წლის მანძილზე.

5. საზოგადოებასთან ურთიერთობა

2023 წელს უნივერსიტეტში 300-ზე მეტი ღონისძიება გაიმართა, რომელიც აქტიურად გაშუქდა მედიასაშუალებებით. აგრეთვე მომზადდა საგაზეთო სტატიები, ტელე-რადიო სიუჟეტები და გადაცემები. მედიამონიტორინგის მონაცემებით, გასულ წელს თსუ-სთან დაკავშირებული მასალა მედიაში 4500-ჯერ გავრცელდა.

უნივერსიტეტის ვებგვერდი www.tsu.ge ყოველდღიურად ახლდება როგორც მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ინფორმაციით, ასევე, სამეცნიერო და სასწავლო სიახლეებით. თსუ Online-ზე 2023 წლის განმავლობაში გამოქვეყნდა 30-მდე სტატია, მომზადდა მასალები თსუ სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესორების წარმატების ისტორიებზე. მათ შორის, მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში მოღვაწე თსუ-ელების წარმატებული საქმიანობის შესახებ. აგრეთვე, სხვადასხვა კონკურსებსა და პროექტებში გამარჯვებული სტუდენტების, სტუდენტური საერთო საცხოვრებლის, სპორტული და კულტურული ცხოვრების შესახებ და სხვა. თსუ ვებგვერდს დაემატა რუბრიკა „კურსდამთავრებული“, რომელშიც სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია წარმატებული ახალგაზრდა უნივერსიტეტელების შესახებ, რომლებიც უნივერსიტეტთან აქტიურად იყვნენ და/ან კვლავაც არიან დაკავშირებულნი. google analytics-ის მონაცემებით ბოლო ერთი წლის განმავლობაში თსუ ვებგვერდს 149,851 მომხმარებელი ჰყავდა.

2023 წელს თსუ-ის ოფიციალურ სოციალურ ქსელ Facebook-ზე განთავსდა 1000-მდე საინფორმაციო-საიმიჯო ინფორმაცია. გასულ წელს, Facebook-ის საშუალებით 208 000 მომხმარებელი იღებდა ინფორმაციას, 8000-ით მეტი ვიდრე 2022 წელს. 2023 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის Facebook კამპანიების ფარგლებში მომზადდა კამპანიები: #თსუსტუდენტები. სტუდენტები ინტერვიუებში საკუთარი წარმატების შესახებ ისტორიებს აუდიტორიას უზიარებდნენ. კამპანიის ფარგლებში თსუ-ში საგანმანათლებლო და კულტურული ცხოვრების ამსახველი მასალები მზადდებოდა; კამპანიის ფარგლებში

მომზადდა 6 ფეისბუქპოსტი, რომელიც გაზიარდა თსუ Linkedin-ის ოფიციალურ გვერდზე. კამპანია #უნივერსიტეტელი - თსუ-ს სოციალური ქსელებისთვის წარმატებული სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების (ადგილობრივ, თუ საერთაშორისო კონკურსებზე, სასტიპენდიო-საგრანტო კვლევითი პროექტებში გამარჯვება; სტატიების გამოქვეყნება; წიგნების გამოცემა და ა.შ.) შესახებ მზადდებოდა სტატიები და ე.წ. Story-ები; მომზადდა თსუ საიმიჯო ვიდეორგოლები - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმების, ბიბლიოთეკების, ლაბორატორიების, პროგრამების, ფაკულტეტების შესახებ. მასალები ვრცელდებოდა სოციალურ ქსელებში (facebook, linkedin, instagram); კამპანიის ფარგლებში სოციალურ ქსელებში განთავსდა 16 პოსტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საკუთარი Youtube არხი, რომელზეც მუდმივად თავსდება თსუ-ში გამართული საჯარო ლექციები, სხვადასხვა შეხვედრების, საუნივერსიტეტო აქტივობების ამსახველი ვიდეომასალა. ასევე აქტიურად ფუნქციონირებს Instagram -ის ოფიციალური გვერდი, რომელსაც ამჟამად 8000 -ზე მეტი გამომწერი ჰყავს (2000 მეტი 2022 წელთან შედარებით), ამჟამად მიმდინარეობს Linkedin - ის ანგარიშის გააქტიურება, რომლის მომხმარებელთა რაოდენობა 2022 წელთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილია.

გამოიცა და გავრცელდა გაზეთის „თბილისის უნივერსიტეტის“ ბეჭდური ვერსიის 7 ნომერი; გაზეთის ვებგვერდისთვის ჟურნალისტებმა მოამზადეს 450 სტატია; შემუშავდა გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის“ ახალი დიზაინი; კონკურსის წესით შერჩეულმა 9 სტუდენტმა გაიარა რედაქციის სტაჟირების კურსი - ,,ჟურნალისტიკა და პრაქტიკა“.

ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 2023 წლის 3400-ზე მეტი კურსდამთავრებულისთვის გამოშვების საზეიმო ღონისძიება გაიმართა თსუ პირველი კორპუსის ეზოში. ღონისძიება გაშუქდა მედიაში.

თსუ 105 წლის იუბილესთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „დღის კოდი“ თსუ-ს მიეძღვნა გადაცემათა ციკლი (6 გადაცემა).

ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა თსუ საიმიჯო ბუკლეტები, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის აბიტურიენტთა მეგზურები, ფლაერები.

მე-15 სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი "შემოდგომის ლეგენდა" ახალ პარტნიორთან „გალფთან“ ერთად კახეთში გაიმართა. ფინალისტების ნაწარმოებები გამოიცა კრებულის სახით.

შემოქმედებითი პრაქტიკული კურსის "წერის არქიტექტურის" ფარგლებში მასტერ-კლასები ჩაატარეს თანამედროვე ქართველმა მწერლებმა და ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლებმა.

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის „ლიტჰაიკერის“, რომლის პარტნიორი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაა, მე-8 სეზონი გაიმართა. სტუდენტებმა კონკურსისთვის 10 ავტორის ბესტსელერები წაიკითხეს.

გამოიცა სამაგიდო კალენდარი საუნივერსიტეტო თემატიკაზე

26 მაისს, შესაბამისი კონცეფციითა და დიზაინით წარდგა თსუ დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე გორში.

თსუ-ის პოპულარიზაციისთვის, შესაბამისი დიზაინით დამზადდა საუნივერსიტეტო ატრიბუტიკა (მაისურები, ჩანთები, ფლეშმეხსიერების ბარათები, ჭიქები);

6. საბიბლიოთეკო საქმიანობა

- ისევე, როგორც წინა წლებში თსუ-ის ბიბლიოთეკა გასულ წელსაც მნიშვნელოვანი საქმიანობით გამოირჩეოდა.
- 2023 წელს თსუ-ის საბიბლიოთეკო ფონდის გასამდიდრებლად გამოყოფილი ოყო 225 000 ლარი, აქედან ათვისებულია 210 472,40 ლარი, შეძენილია 1090 დასახელების 2176 ერთეული წიგნი. ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოეცა 16 452 დასახელების 17 368 წიგნი.
- აღირიცხა და დამუშავდა 18 339 დასახელების 22 513 საბიბლიოთეკო ერთეული. ტექნიკურად დამუშავდა 17 583 ერთეული; დაიწერა 13 568 საკატალოგო ბარათი; კატალოგში ჩართულია 13 411 ბარათი.
- ელექტრონულ კატალოგში განთავსდა 13 646 საბიბლიოთეკო დოკუმენტი და შეიქმნა 7122 ახალი ჩანაწერი.
- ელექტრონული საგნობრივი კატალოგებისთვის დამუშავდა 6 ფაკულტეტის 568 სილაბუსის -2127 ერთეული ძირითადი ლიტერატურა. დამუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 6 მოდულის 224 ერთეული ლიტერატურა.
- დოკუმენტების დიგიტალიზაციის მიმართულებით 2023 წელს დასკანერდა 1 722 საბიბლიოთეკო დოკუმენტი სულ 172 479 გვერდი. ასევე დასკანერდა და დამუშავდა ფოტოფირების 8 500 კადრი.
- რესტავრაცია ჩაუტარდა 488 დოკუმენტს (8 266 ფურცელი). გაიწმინდა და დეზიფენქცია ჩაუტარდა 297 დოკუმენტს (30 235 გვ.). აიკინძა და ყდაში ჩაისვა 32 დასახელების 241 თვის პერიოდული გამოცემა. მომზადდა 9 მულაჟი.
- ჩატარდა კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორ ანდრეა პატაკთან და მის სტუდენტებთან ერთად ვორქშოფი რესტავრაციის განყოფილებაში
- ჩატარდა სკოლის ბიბლიოთეკარებისთვის ვორქშოფი „რეკომენდაციები სკოლის ბიბლიოთეკარებს - საბიბლიოთეკო დოკუმენტების დაცვა-შენარჩუნება და მათი მოვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები“;
- სამკითხველო დარბაზებში განხორციელდა 57000 ვიზიტი;
- აბონემენტის განყოფილებაში ჩაეწერა 566 ახალი მკითხველი, გაიცა 4200 წიგნი და დაბრუნდა 3201 წიგნი,; ხელზე გაიცა 312 ცნობა. ელ. ფოსტით გაიგზავნა 2955 ცნობა;
- 2023 წელს საცავებიდან (გარდა აბონემენტის განყოფილებისა) გაიცა 222 წიგნი. დაბრუნდა
- 256 ერთეული. დაკოპლექტება - დამუშავების განყოფილებიდან შემოსული 2 238 ერთეული წიგნი განლაგდა თაროებზე საცავებში. ელექტრონულ კატალოგში გაკეთდა 8356 ჩანაწერი;
- უზრუნველყოფილია საცავებში სანიტარული წესრიგი;
- 2023 წელს,Jstor, Science Direct, Econlit, TLG, Scopus, Web of scince ბაზებიდან გადმოწერილი
- ფაილების რაოდენობა არის - 50 952; საძიებო სისტემით მოიძებნა - 41 067 ფაილი.
- თსუ ციფრულ ბიბლიოთეკაში (eBooks) 2023 წელს ატვირთული დოკუმენტების რაო-ბაა

- 658 ერთ. სულ ატვირთულია 18 567 ერთეული; ანოტაციები ბაზების შესახებ განთავსებულია
- ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე.
- 2023 წელს მოეწყო თსუ 105 წლისთავთან დაკავშირებით საუნივერსიტეტის წიგნის გამოფენა;
- „საუნივერსიტეტის წიგნის ფესტივალში“ მონაწილეობა მიიღო 15 უნივერსიტეტმა, გამოიფინა 400-ზე მეტი წიგნი. ჩატარებულია სტუდენტური ვიქტორინა „აკაკი შანიძის ცხოვრების მნიშვნელოვანი თარიღები“და ამავე თამაზე სტუდენტური კონფერენცია. ჩატარდა რევაზ სირაძის ოთხტომეულის პრეზენტაცია.
- გამოცემულია „ივანე ჯავახიშვილისა და ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის ეპისტოლური
- მემკვიდრეობა“. პროექტ „ერთი დღე უნივერსიტეტში ჩაწერილია 15 რესპოდენტი, „ავტორი TETE“ ფარგლებში ჩაწერილია 12 რეპოდენტი. ჩაწერილია 8 ინტერვიუ. გაიმართა სტუდენტური კონფერენცია „წინააღმდეგობის მოძრაობა ბოლშევიკურ საქართველოში 1921-1922 წლებში“. ჩატარდა შეხვედარა საფრანგეთის ქართული ემიგრაციის წარმომადგენელთან ოთარ პატარიძესთან. გადმოგვეცა ელისე პატარიძის არქივი. მიმდინარეობს ოთარ ბაქანიძის არქივზე მუშაობა.
- 2023 წელს გადმოგვეცა რეზო კიკნაძისა და აკაკი სურგულაძის არქივები და პირადი კოლექციები (სამუშაო მიმდინარე).
- 2023 წელს განხორციელდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სტუდენტთა ხელშეწყობის/ დასაქმების პროგრამა „აუდიოსახელმძღვანელოები“. მონაწილეობა მიიღო 9 სტუდენტმა, გახმოვანდა 8 სახელმძღვანელო.
- 2023 წელს მოეწყო შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, აკადემიკოს ჯაბა სამუშიასთან და შედგა მისივე წიგნის პრეზენტაცია სახელწოდებით - „თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება“.

7. საინფორმაციო ტექნოლოგიები

- 2023 წლიდან ამოქმედდა ახალი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის (uni.tsu.ge), ხოლო 2024 წლის თებერვლიდან სისტემა ამოქმედდა ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვისაც. ამჟამად მიმდინარეობს ბაზის საბოლოო დახვეწის სამუშაოები.
- სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით შეძენილ და სასწავლო აუდიტორიებში განთავსებული იქნა შემდეგი ომპიუტერული ტექნიკა:
- 13 ერთეული პროექტორი
- 48 ერთეული ინტერაქტიული დაფა
- 99 ერთეული AiO ტიპის დესკტოპ კომპიუტერი
- 260 ერთეული სტანდარტული დესკტოპ კომპიუტერი
- 170 ერთეული სტანდარტული ლეპტოპი
- 41 ერთეული საოფისე მულტიფუნქციური პრინტერი
- 40 ერთეული თანამშრომელთა მოსვლა-წასვლის აღრიცხვის აპარატი პროგრამული უზრუნველყოფით.
- 6 ერთეული სარეკლამო ეკრანი
- 3 ერთეული K-ტიპის სადგამიანი სენსორული ეკრანი

8. საგარეოურთიერთობები

- უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო/კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება/განახლება:

უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან ინსტიტუციური პარტნიორობის განვითარების, არსებული პარტნიორთა ქსელის გაფართოებისა და თანამშრომლობის სფეროების გამრავალფეროვნების მიზნი, დეპარტამენტმა უზრუნველყო ახალი პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მოძიება. სხვადასხვა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აქტიური მიმოწერისა და მოლაპარაკებების საფუძველზე განისაზღვრა ორმხრივი დაინტერესების სფეროები და საბოლოო ჯამში გაფორმდა/განახლდა ინსტიტუციური თანამშრომლობის 44 ხელშეკრულება/მემორანდუმი,

ასევე, ერაზმუს + (ICM) პროგრამების ფარგლებში მომზადდა 117 საგრანტო განაცხადი, რომელთაგან დაფინანსდა 82 (ICM) პროექტი.

- საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელებში უნივერსიტეტის გაწევრიანება:

სხვადასხვა საგანმანათლებო საერთაშორისო ქსელებში უნივერსიტეტის გაწევრიანების მიზნით მომზადდა განაცხადის პაკეტი და 2023 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაწევრიანდა საერთაშორისო ორგანიზაციაში - EUF/ ევროპული უნივერსიტეტების ფონდი.

ასევე, უზრუნველყოფილი იქნა უმაღლესი განათლების საერთაშორისო ორგანიზაციებში (ევროპის დედაქალაქების უნივერსიტეტების ქსელი/UNICA, ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია /EUA, საერთაშორისო უნივერსიტეტების ასოციაცია/IAU, შავი ზღვის უნივერსიტეტთა ასოციაცია/BSUN, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო/AUF, კომპოსტელას უნივერსიტეტების ჯგუფი (GCU), ევრაზიის უნივერსიტეტების კავშირი (EURAS), თსუ-ს წევრობის ყოველწლიურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურების წარმართვა (კომუნიკაციის წარმოება, ფინანსური ანგარიშგება და ა.შ.).

- საერთაშორისო პროექტების მართვა და მის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება

წლის განმავლობაში დეპარტამენტმა ადმინისტრირება გაუწია ერაზმუს + საერთაშორისო კრედიტ მობილობის 189 (ICM) პროექტს.

- გაცვლითი პროგრამების ფარგლებში თსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი კონკურსების ორგანიზება:

დეპარტამენტმა უზრუნველყო თსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი 80-მდე კონკურსის ჩატარება, ერაზმუს პლიუსის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამებისა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიების მისანიჭებლად. კონკურსების შედეგად სტიპენდია მოიპოვა 193-მა სტუდენტმა და 104-მა პერსონალმა (აკადემიური/ადმინისტრაციული).

ასევე, დეპარტამენტის ორგანიზებით წლის განმავლობაში 2-ჯერ ჩატარდა ტესტირება 8 უცხო ენაში, რომელზეც დარეგისტრირებული იყო 664 სტუდენტი.

- უცხოელი სტუდენტების თსუ-ში მობილობის კოორდინირება

ერაზმუს + (ICM) პროგრამების ფარგლებში 2023 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრებში დეპარტამენტმა კოორდინირება გაუწია 73 უცხოელი სტუდენტის და 193 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის თსუ-ში მობილობას და უზრუნველყო მათი ინტეგრირება პროფილურ ფაკულტეტებზე, კერძოდ: სასწავლო ხელშეკრულებების მომზადება; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, რომლის ფარგლებშიც შეთავაზებული იქნა 245 ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი მათი აკადემიური სფეროს შესაბამისად არჩევის მიზნით; საორიენტაციო დღეების და ტრენინგების ორგანიზება; დაბინავების ხელშეწყობა.

❖ გრძელვადიანი უცხოელი [native speaker] ლექტორების ჩამოყვანა თსუ-ში

დეპარტამენტმა კოორდინირება გაუწია გრძელვადიანად 8 უცხოელი ლექტორის ჩამოყვანას თსუ-ში (პორტუგალიური, ესპანური, ბასკური, გერმანული, იტალიური, ჩეხური, უნგრული ენების ლექტორები ჰუმანიტარულ მეც. ფაკულტეტზე და ფრანგული ენის ლექტორი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე) აკადემიური საქმიანობის მიზნით და მათ ინტეგრირებას პროფილურ ფაკულტეტებზე.

❖ საზღვარგარეთ განსახორციელებელი საქმიანი ვიზიტების კოორდინირება

დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია თსუ-ის რექტორისა და ადმინისტრაციული პერსონალის 32 საქმიანი ვიზიტის განხორციელებას საზღვარგარეთ.

❖ საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება და უცხოელი სტუმრების მიღება თსუ-ში

წლის განმავლობაში დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია პარტნიორი უნივერსიტეტებიდან ათეულობით დელეგაციის მიღება-მასპინძლობას, ასევე ათეულობით უცხოელი სტუმრის, მათ შორის საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების საქმიან ვიზიტს თსუ-ში, რაც მიზნად ისახავდა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვას.

ასევე, ჩატარდა საერთშორისო ღონისძიებები, მათ შორის:

- მე-5 საერთაშორისო პერსონალის კვირეული რომელშიც მონაწილეობა მიიღო 19 ქვეყნის 21 უნივერსიტეტის 39 წარმომადგენელმა.
- მე-6 საერთაშორისო პერსონალის კვირეული, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 8 ქვეყნის 22 უნივერსიტეტის 24 წარმომადგენელმა.
- უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე უცხოელი პროფესორებისთვის თსუ საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების 5 ღონისძიება.

9. უწყვეტიგანათლება

თსუ უწყვეტი განათლების ცენტრში 2023 წელს დამტკიცდა 14 კურსი:

1. საბაზისო კურსი ზოგად და სპორტის ნუტრიციოლოგიაში
2. ზოგადი ინგლისური A1
3. ზოგადი ინგლისური A2
4. ზოგადი ინგლისური B1
5. ზოგადი ინგლისური B2

6. სწავლის პროცესზე მისაწვდომობის გაზრდა მხედველობის დარღვევის მქონე პირთათვის
7. მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანებთან კომუნიკაცია და ურთიერთობის ეთიკა
8. შრომის უსაფრთხოებოს სპეციალისტის მომზადების აკრედიტებული პროგრამა
9. ჩეხური ენა A1
10. ესპანური ენა A1
11. ლიდერობა 21-ე საუკუნეში
12. HACCP-ის დანერგვამდე აუცილებელი წინასწარი პროგრამების (PRPs)შემუშავება და მართვა
13. ქართული ენა დამწყებთათვის
14. გერმანული ენა A1

2023 წელს განხორციელდა 46 სასერტიფიკატო და ტრენინგკურსი ზრდასრულთათვის. შედგააბიტურიენტთა მოსამზადებელი და საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის მოსამზადებელი 29 ჯგუფი. ასევე მომზადება გაიარა 28 უცხოელმა აბიტურიენტმა.

ცენტრის შემოსავალმა 2023 წელს შეადგინა 355 668 ლარი. სახელფასო ფონდის გამოკლებით (მათ შორის ცენტრის საშტატო თანამშრომლების) **მოგებამ შეადგინა** - 55 398 ლარი.

უწყვეტიგანათლებისცენტრისფინანსურიანგარიში2023

კურსი	თარიღი	მონაწილეთარაოდენობა	კურსისღირებულება	შემოსავალი	ტრენერისანაზღაურება	კურსისმოგება	ჯამურიმოგება
სურსათისუვნებლობისმართვა- საფრთხისანალიზისადაკრიტიკული საკონტროლო წერტილების(HACCP)სისტემა	04/12/22-30/01/23	9	500	4,500.00	2,880.00	1,620.00	1,620.00
უვნებლობისმართვა-საფრთხისანალიზისადაკრიტიკულისაკონტროლოწერტილების(HACCP)სისტემა(2)	15.02- 10.03	15	500	7,500.00	2,880.00	4,620.00	6,240.00
სურსათისუვნებლობა	6.03- 18.04	7	500	3,500.00	3,240.00	260.00	6,500.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის	16- 18.01	7	120	840.00	375.00	465.00	6,965.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის2	06- 08.02	6	120	720.00	375.00	345.00	7,310.00
ტრენერთატრენინგი3	20-22.02	5	120	600.00	375.00	225.00	7,535.00
იდიშურიენადაკულტურა	22.11.2022-21.03.2023	9	უფასო			-	7,535.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის4	07-09.03	7	120	840.00	375.00	465.00	8,000.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის5	14-16.03	6	120	720.00	375.00	345.00	8,345.00
ლანდშაფტისდიზაინიდაინტერიერისგამწვანება	5,6,7.03	12	100	1,200.00	240.00	960.00	9,305.00
SPSSკომპ.პროგრა-მებისგამოყენებითმონაც.დამუშავებადასტატისტ.ანალიზიდაღრმავებულიკურსი	06.03-13.04	9(თსუ-ისთანამშრომლები)	200	1,800.00	900.00	900.00	10,205.00
სურსათისუვნებლობისმართვა-საფრთხისანალიზისადაკრიტიკულისაკონტროლოწერტილების(HACCP)სისტემა3	03.04-30.04	12	500	6,000.00	2,880.00	3,120.00	13,325.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის6	6-8.04	8	120	960.00	375.00	585.00	13,910.00
ემოციებისმართვა	10-11.04	7	60	420.00	210.00	210.00	14,120.00
ნუტრიციოლოგიისსაბაზისკურსი	11.04-11.05	11მსმენელი	3 თსუ-350ლ.,8 -450ლ.	4,650.00	2,730.00	1,920.00	16,040.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის7	2-4.05	7	120	840.00	375.00	465.00	16,505.00
შრომისსამართალიდაპერსონალისმართვისაქტუალურისაკითხები	29-30.04	5	70	350.00	240.00	110.00	16,615.00
სურსათისუვნებლობისმართვა-საფრთხისანალიზისადაკრიტიკულის	07.06- 05.07	10	500	5,000.00	2,880.00	2,120.00	18,735.00
სურსათისუვნებლობისმართვა-საფრთხისანალიზისადაკრიტიკულის	10.05-05.06	11	500	5,500.00	2,880.00	2,620.00	21,355.00
სურსათისეტიკეტირება	07.06-15.06	11	130	1,430.00	600.00	830.00	22,185.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის8	2-5.06	5	120	600.00	375.00	225.00	22,410.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის9	01-03.07	6	120	720.00	375.00	345.00	22,755.00
სასერტიფიკატოკურსინუტრიციოლოგიისსაბაზისოკურსი	17.07- 15.08	10	1თსუ-350ლ.9- 450	4,400.00	2,730.00	1,670.00	24,425.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის10	6-8.08	5	120	600.00	375.00	225.00	24,650.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის11	12-14.08	7	120	840.00	375.00	465.00	25,115.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის12	02-04.09	6	120	720.00	375.00	345.00	25,460.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის13	8-10.09	8	120	960.00	375.00	585.00	26,045.00
სურსათისუვნებლობისმართვა-საფრთხისანალიზისადაკრიტიკულის	04-27.09	8	500	4,000.00	2,880.00	1,120.00	27,165.00
ემოციებისმართვა2	14-15.09	6	60	360.00	210.00	150.00	27,315.00
ნუტრიციოლოგიისსაბაზისოკურსი2	25.09-23.10	9	450	4,050.00	2,730.00	1,320.00	28,635.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის14	29.09- 01.10	7	120	840.00	375.00	465.00	29,100.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის15	06.10- 08.10	9	120	1,080.00	375.00	705.00	29,805.00
ლანდშაფტისდიზაინიდაინტერიერისგამწვანება2	16-18.10	4	100	400.00	240.00	160.00	29,965.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის16	20-22.10	7	120	840.00	375.00	465.00	30,430.00
სურსათისუვნებლობისმართვა-საფრთხისანალიზისადაკრიტიკულის	30.10– 20.11	10	500	5,000.00	2,880.00	2,120.00	32,550.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის17	10- 12.11	9	120	1,080.00	375.00	705.00	33,255.00
სკოლამდელიაღზრდისადაგანათლებისდაწესებულებისმართვადაადმ	13.10- 09.11	20	240	4,800.00	1,670.00	3,130.00	36,385.00
ემოციებისმართვა3	24- 25.11	6	60	360.00	210.00	150.00	36,535.00

ტრენერებისტრენინგი,ინტენსიურიკურსი	24- 26.11	6	300	1,800.00	1,210.00	590.00	37,125.00
ტრენერთატრენინგიდამწყებთათვის18	08- 10.12	8	120	960.00	375.00	585.00	37,710.00
ნუტრიციოლოგიისსაბაზისკურსი3	02.12.2023-10.01.202	8	450	3,600.00	2,730.00	870.00	38,580.00
ლანდშაფტისდიზაინიდაინტერიერისგამწვანება3	01-03.12	4	100	400.00	240.00	160.00	38,740.00
სკოლამდელიაღზრდისადაგანათლებისდაწესებულებისმართვადაადმ	30.11-12.12	8	240	1,920.00	1,650.00	270.00	39,010.00
უნგრულიენისსაბაზისოკურსიA1.1.დაA1.2.	29.05-15.07	3	250	750.00		750.00	39,760.00
უნგრულიენისსაბაზისოკურსიA1.1.დაA1.2.(2)	06.11-16.03.2024	3	100+100+250	450.00		450.00	40,210.00
უნგრულიენისსაბაზისოკურსიA1.1.დაA1.2.(3)	21.11.2022-28.02.2023	3				-	40,210.00
აბიტურიენტები2022/2023	2023/მეორეგადახდა	73		40,680.00	31,200.00	9,480.00	49,690.00
აბიტურიენტთაკურსები	მე-3გადახდა			37,076.00	31,200.00	5,876.00	55,566.00
აბიტურიენტები2023/2024	პირველიგადახდა			46,417.00	30,000.00	16,417.00	71,983.00
იორდანელიაბიტურიენტები(ქართული/ინგლისური)	10/03-01/07	13		54,600.00	7,920.00	46,680.00	118,663.00
იორდანელიაბიტურიენტები2	ომბერი-თებერვალი,	17		71,400.00	10,560.00	60,840.00	179,503.00
საერთოსამაგისტროგამოცდისათვისმოსამზადებელი	გაზაფხული	30		14,645.00	4,200.00	10,445.00	189,948.00
საერთოსამაგისტროსათვისმოსამზ.ინგლისური	გაზაფხული	4 (1 -500 ლარი,3 -480 ლარი)		1,950.00	1,500.00	450.00	190,398.00
						-	-
თსუუწყვეტიგანათლებისცენტრისთანამშრომლებისხელფასები	წლიური				135,000.00	(135,000.00)	(135,000.00)
სულ				355,668.00	300,270.00		55,398.00

10. კულტურადასპორტი

2023 წელი კულტურისა და სპორტის მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლეებით დაიწყო, განახლდა სპორტული და კულტურული ღონისძიებები, სპორტული გუნდებისა და შემოქმედებითი ანსამბლების შემადგენლობა .

აქვე მოგახსენებთ, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს შემოქმედებითი ანსამბლები, როგორიცაა: ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,უნივერსიტეტი'', ვაჟთა ვოკალური ანსამბლი ,,უნივერსიტეტი'' , ტრადიციულ - ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი ,,უნივერსიტეტი'' , თეატრი ,,სხვენი'' , მომღერალთა გუნდი ,,კაპელა''.

2023 წელს ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,უნივერსიტეტი'' მიწვეული იყო საფრანგეთის საერთაშორისო ფესტივალზე, ქ. შალონ-სურ-შალონე. ბულგარეთი ქ.ველიკო ტერნოვო და ქ. ვარნა, ასევე, ანსამბლი ჩინეთის კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებულ ფესტივალზე, სადაც მათ მოიპოვეს საუკეთესო ანსამბლის წოდება.

თეატრალურმა დასმა ,,სხვენი'' 2023 წელს წარმოადგინა რამდენიმე სპექტაკლი მხიარული ნოველები, მთვარიან ღამის ჩრდილში, ლურჯი ფრინველი. თეატრალური დასი მიიწვეული იყო უნგრეთში ფესტივალზე, სადაც ,,სხვენმა'' წარადგინა სპექტაკლი ,,თეატრალური კლოუნადა'' .

2023 წელს თსუ - ის სტუდენტური კაპელა მონაწილეობდა მე -19 საერთაშორისო ფესტივალში ,, International Choir Festival Munduus Cantat sopot'' -ზე , სადაც მოიპოვა გაიმარჯვა და The Grand Prix '' - აიღო გარდა ამისა , კაპელას ხელმძღვანელი ლაშა მიროტაძე კონკურსის საუკეთესო დირიჟორად დასახელდა . ფესტივალში ევროპის სხვადასხვა ქვეყანასთან ერთად კონკურსში მონაწილეობას იღებდა აშშ-ის ჰარდინგის უნივერსიტეტის გუნდი .

2023 წელს ვაჟთა ვოკალური ანსამბლი ,,უნივერსიტეტი'' ქართული სათვისტომო მიწვევით იმყოფებოდა საფრანგეთში .

2023 წელს უნივერსიტეტმა სხვადასხვა მიმართულებით განაახლა სპორტული გუნდები. ამ ეტაპზე დეპარტამენტში ფუნქციონირებს - ვაჟთა და გოგონათა ფრენბურთის გუნდი, კალათბურთის პროფესიონალური და სტუდენტური გუნდი, ათლეტიზმი, მაგიდის ჩოგბურთი, რაგბის გუნდი, მშვილდოსნობა, ფუტსალის სტუდენტური და პროფესიონალური გუნდი.

2023 წელს უნივერსიტეტის ადმინისტრირებული კალათბურთის გუნდი საქართველოს სუპერლიგის ჩემპიონი და საქართველოს თასის მფლობელი გახდა. ამავე წელს, საკალათბურთო გუნდი სუპერთასის გამარჯვებული გახდა. ხოლო, მონაწილეობას იღებდა ფიბა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ასევე ფიბა ევროპის თასზე, სადაც წარმატებით იასპარეზა.

2023 წელს წარმატებული სეზონი ჰქონდა ფუტსალის გუნდს, რომელიც გახდა ლიგა 2 - ის გამარჯვებული. აღსანიშნავია, ფუტსალის სტუდენტური გუნდის გამარჯვება საქართველოს უნივერსიადაზე.

2023 წელს ფრენბურთის გოგონათა გუნდმა საქართველოს უნივერსიადაზე მოიპოვა პირველი ადგილი, ხოლო ვაჟთა გუნდმა დაიკავა მეორე ადგილი.

2023 წელს რაგბის სტუდენტური გუნდი გახდა ზამთრის თასის გამარჯვებული.

ასევე, აღსანიშნავია ვეტერანი და ჩვენი ათლეტიზმის მიმართულების ტრენერის წარმატება ამერიკაში გამართულ WNPF მსოფლიო ჩემპიონატზე. ზურაბ ჭავჭანიძე მსოფლიო ჩემპიონი გახდა სამ სახეობაში და დაამყარა სამი მსოფლიო რეკორდი. 2023 წლის 1 ივლისს შოთა ბეჟაშვილის სახელობის ტურნირ ათლეტიზმში, წარმოდგენილი იყო თსუ-ს სტუდენტები, რომლებმაც შეძლეს ოქროსა და ბრინჯაოს მედლების მოპოვება .

11. სამუზეუმოსაქმიანობა

განხორციელდა:

ახალი ექსპონატების მოძიება და ფონდების გამდიდრება (2023 წელს თსუ მუზეუმი 120 ერთეული ექსპონატით შეივსო);

ექსპონატთა სათანადო სამუზეუმო წესით აღრიცხვა და დაკომპლექტება ფონდების მიხედვით:

თსუ ისტორიის მუზეუმი: ხი-2971-3370. სულ 399 ერთეული.

გეოგრაფიის მუზეუმი: აგ-1851-1951; ნმგ-431-531; ხგ-711-811; ხმ-226-326. სულ 400 ერთეული.

პალეონტოლოგიის მუზეუმი:ცეპ-1726-1966. სულ 240 ერთეული.

არქეოლოგიის მუზეუმი: თიხის 1000 ექსპონატის ინვენტარიზაცია.

საგანმანათლებლო მუშაობა:

(მოიცავს გამოფენების მოწყობას, სხვადასხვა საკითხებზე ლექცია-საუბრების ჩატარებას, საინფორმაციო რგოლების მომზადებასა და პუბლიკაციებს).

2023 წლის გამოფენები:

თსუ-ის დაარსების დღისადმი მიძღვნილი გამოფენა;

,,რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია" (მინი გამოფენა);

14 აპრილს, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა;

ასირიოლოგიის კათედრის იუბილისადმი მიძღვნილი გამოფენა;

ქართველი ეთნოლოგი ქალების გამოფენა;

გურამ ლორთქიფანიძის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა;

26 მაისის გამოფენა - (საქართველოს დემოკრატიული მთავრობა);

აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი მინი გამოფენა;

მიხაკო წერეთლის მინი გამოფენა;

გამოფენა - „ფილოსოფია 105";

ფოტოგამოფენა „Take Me to Amazonas“;

მუზეუმმა მიიღო 245 საექსკურსიო ჯგუფი (დაახლოებით 7000 ვიზიტორი), რომელთაც გიდობას უწევდა მუზეუმის თანამშრომლები.

ასევე მუზეუმი კონსულტაციას უწევდა თსუ ერთ-ერთი დამფუძნებლის ფილიპე გოგიჩაიშვილის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადამღებ ჯგუფს, შედგა სატელევიზიო გადაცემა ქართველ ეთნოლოგ ქალებზე და მომზადდა 6 ვიდეორგოლი.

თსუ მუზეუმის ბაზაზე შექმნილია ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის გამოსაცემად მოსამზადებელი ჯგუფი, რომელიც იკვლევს მეცნიერის ხელნაწერებს, უდარებს სხვადასხვა დროის გამოცემებს და ადგენს ავთენტიკურ ტექსტს. საამისოდ უკვე დიგიტალიზებულია ხელნაწერების გარკვეული რაოდენობა და მიმდინარეობს მათი დამუშავება.

12. პროფესიულიგანათლება

2023 წელს ორივე ლოკაციაზე (ქუთაისი, თბილისი) რეგისტრირებული 1681 აპლიკანტიდან პროფესიული ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე შეირჩა და პროგრამებზე ჩაირიცხა 396 პროფესიული სტუდენტი.

2023 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 196 კურსდამთავრებულს, ხოლო მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამა „ლაბორატორიული ჯანმთელობა და უსაფრთხოება“ დაასრულა 13-მა მსმენელმა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- ქუთაისის ლოკაციაზე მიმდინარე ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემის ვერიფიკაცია;
- ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესში;
- ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში;
- ელექტრონული კითხვარის გამოყენებით პროფესიული სტუდენტის, მსმენელის, დამსაქმებლების, მასწავლებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვა, რომელთა შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ანგარიში და რეკომენდაციები;
- ერთი პროფესიული სტუდენტის მობილობა და 5 პროფესიული სტუდენტის კრედიტების აღიარება ასევე მათ შემუშავდათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- პროფესიული პროგრამების მასწავლებლებისა და ხელმძღვანელებისთვის (თბილისი, ქუთაისი) საკონსულტაციო შეხვედრები და საინფორმაციო ტრენინგები სწავლა-სწავლების მიმართულებით;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გეგმიური მონიტორინგი. ვიზიტის ფარგლებში, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით ეტაპობრივად მოხდა მათი შესრულება, კერძოდ: სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რედაქტირება განიცადა პერსონალის სამუშაო აღწერილობებმა და ა.შ;

- პროფესიული პროგრამების ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის გვერდის განახლება;
- პროფესიული უნარების სააგენტოსთან ერთად განხორციელდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რომელიც 2022 წელს დაიწყო.

ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად. 2023 წლის განმავლობაში თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ცენტრის ინიციატივით, Ida-Virumaakutsehariduskeskus (იდა-ვირუმაა) პროფესიული განათლების ცენტრთან (ესტონეთი) გაიმართა არაერთი შეხვედრა ურთიერთთანამშრომლობის საკითხების გაღრმავების მიზნით, ხოლო 2023 წლის მაისში განხორციელდა Ida-Virumaakutsehariduskeskus (იდა-ვირუმაა) პროფესიული განათლების ცენტრში თსუ პროფესიული განათლების ცენტრის დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერების კუთხით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ერთობლივი პროფესიული პროგრამების დაგეგმვა-განხორციელების შესახებ. მოლაპარაკების პროცესი, ასევე, ითვალისწინებდა ამ მიმართულებით მოსამზადებელი სამუშაობის დაწყებასა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას .

ცენტრი აქტიურად მუშაობს თბილისის და ქუთაისის ლოკაციაზე ახალი პროფესიული პროგრამების და მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების დამატების (უფლების მოპოვების გზით) მიმართულებით. თბილისის ლოკაციაზე დამატებითი ფართის აშენების მიზნით, ცენტრი აქტიურად არის ჩართული საპროექტო სამუშაოებში თსუ-ს შესაბამის დეპარტამენტთან და არქიტექტორთან ერთად. ასევე, მიმდინარეობს ქუთაისის ლოკაციაზე სასწავლო კორპუსში მესამე სართულის რეაბილიტაციისთვის დაფინანსების წყაროების მოძიება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 8797/10 27.03.2024

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს

წარმოგიდგენთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის ანგარიშს.

დანართი: ,,17'' გვერდი

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფაქსი: chancellery@tsu.ge; E-mail

წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 29 მარტის სხდომის ოქმი №4, დანართი 5

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2023 წლიური ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

შინაარსი

1. შესავალი ... 4
2. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა ... 7
2.1 ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ... 8
2.1.1 საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასება ... 8
2.1.2 აკადემიური მოსწრების ანალიზი ... 10
2.1.3 სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა ... 13
2.1.3.1 სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა ... 14
2.1.3.2 პერსონალის კმაყოფილების კვლევა ... 20
2.1.3.3. შრომის/დასაქმების ბაზრის კვლევა ... 27
2.1.3.4. შშმ/სსსმ სტუდენტთა საჭიროებების კვლევა ... 31
2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კომიტეტების მუშაობის განახლებული ფორმატის შესახებ. 32
2.1.5 ნორმატიული დოკუმენტების შესწავლის, კომენტირებისა და განხილვისათვის ... 35
2.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფა ... 36
2.2.1 გარე განმავითარებელ შეფასებათა ციკლი უნივერსიტეტში ... 37
2.2.2 უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის პროცესი ... 37
3. ინსტიტუციური განვითარების შესახებ ... 39
3.1 მზადება ავტორიზაციის პროცესისათვის ... 40
3.2 უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების შესახებ ... 41
3.3 თსუ საერთაშორისო რანჟირების სისტემაში ... 43
3.4 საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში უნივერსიტეტის მონაწილეობის მხარდაჭერა ... 47
3.5 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში ... 47
3.5.1 „კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში" (ETHICS) ... 47
3.5.2 ETHICS პროექტის კონსორციუმის პირველი საერთაშორისო შეხვედრა ... 48
3.5.3 ტრენერთა გადამზადება ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის ETHICS ფარგლებში ... 48
3.6 აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა ... 49
3.7 პერსონალის განვითარების მხარდაჭერა ... 49
3.7.1 16.11.2023 - EUA ვებინარების სერია – ახალი ევროპული კვლევის არეალი (ERA) უნივერსიტეტებისთვის „ევროპის კვლევის არეალი და უნივერსიტეტები: მოქმედება 13" ... 50
3.7.2 08.08.2023 - ICT Innovation ონლაინ სესია: „კერძო სექტორის როლი დამწყებ ეკოსისტემის გაძლიერებაში", პროგრამა EU4Digital: ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობაში (EU4Digital Facility https://eufordigital.eu/) ... 50
3.7.3 17.07.2023-21.07.2023 - საკონსულტაციო შეხვედრები პროგრამის „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის საკონსულტაციო მომსახურება" ფარგლებში ... 51
3.7.4 29.08.2023 – 30.08.2023, ტრენინგი - „საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა მიერ მიღებული განათლების აღიარება - საკანონმდებლო ბაზა და პროცედურები" ... 51
3.7.5 „ხარისხის კულტურის გაძლიერება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში" ... 52
3.8 სიახლეები პროფესიული განათლების ცენტრში ... 53
3.9 თანამშრომლობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ... 55
3.10 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი ... 56
4. კომუნიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის გარე აქტორებთან და ინსტიტუციებთან ... 58
4.1 ცვლილება ხარისხის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელ ჯგუფში ... 59
4.2 კომუნიკაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან ... 59
5. სამსახურის სხვა საქმიანობა ... 60
5.1 გარე და შიდა კორესპონდენციის მიმოქცევის შესწავლა და მომზადება ... 60

6. სამსახურის თვითშეფასება და შემდგომი განვითარების პერსპექტივები 61

1. შესავალი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთ ორგანოს. მისი საქმიანობის მიზანი უნივერსიტეტის სერვისების ხარისხის მუდმივი განვითარებაა. სამსახური მოქმედებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე და 31-ე მუხლების, უნივერსიტეტის წესდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად. თავის საქმიანობაში სამსახური ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის მიერ შემუშავებული დოკუმენტის "ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში" და ეროვნული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

სამსახურის საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

ა) უნივერსიტეტში სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის შემდგომი ხელშეწყობა;

ბ) ავტორიზაციისა და კლასტერული აკრედიტაციის პროცესებისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება. პროგრამების გარე შეფასებისთვის მომზადება, ეროვნული და საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების მიზნით;

გ) სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;

დ) საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების გაუმჯობესების, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და საგანმანათლებლო სივრცეში სიახლეების დანერგვის მიზნით;

ე) უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაძლიერება საუნივერსიტეტო შიდა აქტორების, განსაკუთრებით კი სტუდენტების მეტი ჩართულობითა და ცნობიერების ამაღლების გზით მათი თანამონაწილეობით ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ინსტიტუციის შემდგომი განვითარების მიზნით უნივერსიტეტის მრავალპროფილური საექსპერტო გამოცდილების საფუძველზე. განსაკუთრებით ნიშანდობლივია მისი თანამშრომლობა ფაკულტეტებზე არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, რომლებიც წარმოადგენენ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ნაწილს, თუმც მათი საქმიანობა გარკვეულწილად ეფუძნება ფაკულტეტის დარგებისა და სფეროების სპეციფიკას, რაც ხშირად დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების საფუძველია.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია სწავლა-სწავლებისა და კვლევის, საუნივერსიტეტო სერვისების ხარისხის განვითარების მდგომარეობა სანგარიშო პერიოდისათვის 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით, შედარებულია სამსახურის სამოქმედო გეგმასთან და შემუშავებულია მომავალი წლის განვითარების გეგმის კონტურები და პერსპექტივები სამსახურის წინაშე არსებული გამოწვევების ფონზე.

გასული საანგარიშო პერიოდის გამოწვევათა შორის უნდა დასახელდეს:

- ✓ ინსტიტუციის მზადება ავტორიზაციის პროცესისათვის;
- ✓ სამეცნიერო კვლევების შეფასება;
- ✓ შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისობა საკანონმდებლო ცვლილებებთან;
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასება და შესაბამისი ახალი დოკუმენტის მომზადება.

რომელთა შედეგები დეტალურად ასახულია ავტორიზაციის განაცხადის თვითშეფასების ანგარიშში.

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის დეკემბრისთვის ფუნქციონირებს 208 **საგანმანათლებლო პროგრამა** *(207 აკრედიტებული და 1 ავტორიზებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა)*, მათ შორის: 63 ბაკალავრიატის, 92

მაგისტრატურის, 4 ერთსაფეხურიანი (დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის), 2 ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, 45 დოქტორანტურის, თითო მასწავლებლის და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებია. ასევე 15 პროფესიული პროგრამა (7 თბილისის, ხოლო 8 ქუთაისის ლოკაციაზე). უნივერსიტეტი ქართველ და უცხოელ სტუდენტებს ასევე სთავაზობს ინგლისურენოვან და ბილინგვურ საგანმანათლებლო პროგრამებს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე (სულ 31 საგანმანათლებლო პროგრამა: 12 ბაკალავრიატის, 12 მაგისტრატურის, 5 დოქტორანტურის და 2 ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა). თსუ-ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებიდან 10 აკრედიტებულია საერთაშორისო სააგენტოების (FIBAA, ABET, ACS) მიერ.

უნივერსიტეტში მოქმედებს პარტნიორ უნივერსიტეტებთან სხვადასხვა ტიპის თანამშრომლობით ურთიერთობებზე დაფუძნებული 11 საგანმანათლებლო პროგრამა - საქართველოს (5 პროგრამა) და უცხოეთის (6 პროგრამა) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამებიდან 4 (ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები: *კომპიუტერული მეცნიერება* (სან-დიეგოს უნივერსიტეტი), *კომპიუტერული მეცნიერება* (ევრის უნივერსიტეტი (პარი-საკლეს ჯგუფი), ქართულ-ფრანგული); მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები: *ევროპისმცოდნეობა* (ვილნიუსისა და ვიდზემეს (გამოყენებითი მეცნიერებათა) უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით); *ფუნდამენტური ფიზიკა* (ლ'აკვილას (იტალია) უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროგრამა გასცემს ორმაგ ხარისხს, ხოლო ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში მოქმედებს 7 საგანმანათლებლო პროგრამა (მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები: *ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები* (პარტნიორი: ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი); *ციფრული მედია და ინოვაციები* (პარტნიორი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი); *ტურიზმი* (ქართულ-ფრანგული LL2 - ლუმიერ ლიონ 2); *მიგრაციის მართვა* (პარტნიორი: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი); *საჯარო მმართველობა* (პარტნიორი: ქ. შპაიერის (გერმანია) ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი); *ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში* (პარტნიორი: თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის თავდაცვისა და უსაფრთხოების სასწავლო-ანალიტიკური ცენტრი) და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა *განათლების მეცნიერებები* - პარტნიორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად ფუნქციონირებს ასევე მოკლე და გრძელვადიანი სასერტიფიკატო პროგრამები (97 უწყვეტი განათლების პროგრამა/კურსი (მათ შორის საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული - 45 კურსი).

სამსახურის 2023 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული (რე)აკრედიტაციის (კლასტერული - 5 (28 საგანმანათლებლო პროგრამა და 1 სპეციალური მასწავლებლის მომზადების) და ინდივიდუალური - 7 საგანმანათლებლო პროგრამა) პროცესის შედეგად უნივერსიტეტში (რე)აკრედიტებულია 34 საგანმანათლებლო პროგრამა (მათ შორის: 16 ბაკალავრიატის, 11 მაგისტრატურის, 6 დოქტორანტურის; 1 სპეციალური მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამა). უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს შეემატა 4 ახალი საგანმანათლებლო პროგრამა (3 დოქტორანტურის, 1 სპეციალური მასწავლებლის მომზადების). (რე)აკრედიტაციის პროცესი თითქმის უწყვეტი პროცესია უნივერსიტეტში, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების ფოკუსირებას სწავლებისა და კვლევის საერთაშორისო მოთხოვნებზე. წინამდებარე პროცესები ასევე გრძელდებოდა საანგარიშო პერიოდში, თუმცა არც თუ აქტიურად, როგორც გასულ საანგარიშო პერიოდში, როდესაც განხორციელდა საუნივერსიტეტო პროგრამების ფაქტობრივად 80% (რე)აკრედიტაცია. 2023 წელს თითქმის დასრულდა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების რეაკრედიტაციის პროცესი,

რასაც თან სდევდა როგორც არაგეგმიური, ასევე გეგმიური მონიტორინგის პროცესები (საკვალიფიკაციო ჩარჩოს თავსებადობაზე წარდგენილი იყო 3 საგანმანათლებლო პროგრამა, სამწლიანი განმავითარებელი (სამწლიანი) ანგარიში - 4 საგანმანათლებლო პროგრამისათვის, აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების ანგარიშების შესრულების მიზნით მომზადებული ანგარიშები - 8 საგანმანათლებლო პროგრამაზე) ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ასევე გაგრძელდება 2024 წელს, დეტალები წარმოდგენილი იქნება წინამდებარე ანგარიშში.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე დასმული ამოცანების ძირითადი სამუშაო ასპექტები და მიმართულებები არ შეცვლილა, თუმცა საავტორიზაციო საანგარიშო პერიოდის მიჯნაზე გამოიკვეთა ცალკეული საყურადღებო მიმართულებები:

- დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის განახლების ხელშეწყობა;
- სტუდენტთა ახალი ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა;
- დაწესებულებაში კვლევის ხარისხისა და სამეცნიერო პოტენციალის შეფასება;
- ინტერნაციონალიზაცია „შინ“ - მხარდაჭერა, შესაბამისად კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა;
- ბიუროკრატიისა და ცენტრალური კონტროლის მექანიზმების ტრანსფორმირება თვითპასუხისმგებლობის ამაღლების ფარგლებში.

წინამდებარე ამოცანების განხორციელების პროცესში მაღალი იყო დაწესებულების როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თითოეული საკითხის დაგეგმვისა თუ განხორციელების პროცესში დიდი იყო საკუთრივ საუნივერსიტეტოს საზოგადოების წვლილი, რაც მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში უკანასკნელ ხანებში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა ხარისხის კულტურის ინსტიტუციური განვითარების არაერთმა საკითხმა. ყოველივე ეს ემყარება დაწესებულებისაგან ერთიან გუნდურ პრინციპზე დაფუძნებულ, დიალოგის ფორმატში დაგეგმილ აქტივობებს.

არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დაწესებულების ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა მიმართულებისა და სპეციფიკის მქონე კვლევებს, რაც მნიშვნელოვანია დაწესებულების ფარგლებში იდენტიფიცირებული ძლიერი მხარეების გამოსავლენად და სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და განხორციელდა კვლევები შემდეგი მიმართულებები:

- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
- აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
- დამსაქმებელთა კვლევა;
- კურსდამთავრებულთა კვლევა.

2023 წლის საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ასევე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა სხვადასხვა ტიპის პროექტებში, რომელთაც მხარს უჭერდა უცხოური ფონდები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად აფართოებს და მხარს უჭერს სამსახურის პერსონალის პროფესიულ განვითარებას. 2023 წელს ამ მიმართულებით გაზიარდა და დაიგეგმა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები, კერძოდ, 4 საერთაშორისო ტრენინგი ქართველი და უცხოელი საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, რომელთა ფარგლებში განხილულ იქნა უმაღლესი განათლების ახალი გამოწვევები და ქართული საგანმანათლებლო სივრცის ჩართვის პერსპექტივები.

საანგარიშო პერიოდში გარდა დაგეგმილი საქმიანობისა, როგორიცაა უნივერსიტეტში სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა, გარე შეფასება (მათ შორის ინდივიდუალური და კლასტერული აკრედიტაციის პროცესების ორგანიზება და წარმართვა, მზადება

უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცესისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობა, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა, უნივერსიტეტის პოზიციის განსაზღვრისათვის საერთაშორისო რანჟირების სხვადასხვა სისტემაში ჩართულობა), ინსტიტუციამ დაგეგმა და განახორციელა არაერთი აქტივობა და საკუთარი საქმიანობის მხარდამჭერი ღონისძიება, კერძოდ, თანამშრომლობა ხარისხის შიდა და გარე აქტორებთან საკანონდებლო ინიციატივების შესწავლის, განხილვის, რეკომენდებისა და მხარდაჭერის მიზნით, რაც დეტალურად იქნება მიმოხილული წინამდებარე ანგარიშში.

2. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ 7 ფაკულტეტზე 2023 ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე 25514 სტუდენტი, რომელთაგან 19293 ბაკალავრიატის სტუდენტია, 1766 - მაგისტრანტი, 2300 - ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტი, 1021 - დოქტორანტი, 82 მასწავლებლის, 518 ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და 534 ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტი. თსუ-ში სწავლობს 1187 უცხოელი სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობით (6289) ყველაზე დიდი ფაკულტეტია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, რომელსაც მოსდევს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (5105), იურიდიული (3745) და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (3439) ფაკულტეტები (სხვა ფაკულტეტები: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა 2638, მედიცინა 2477, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა 1821). გასულ საანგარიშო წელთან შედარებით სტუდენტთა მზარდი რაოდენობა დაფიქსირდა იურიდიულ, ეკონომიკისა და ბიზნესის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა რაოდენობა შეუმცირდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს.

უნივერსიტეტში სამ ფაკულტეტზე: *ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ფსიქოლოგიისა და განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე* ფუნქციონირებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა (400)/ფილოლოგია, ისტორია, არქეოლოგია, ფილოსოფია (400)/განათლების მეცნიერება (25)/ეკონომიკა (400)), მათ შორის დაფინანსებული სასწავლო ადგილების მაღალი ათვისების მაჩვენებელი აქვს ეკონომიკის ფაკულტეტს, ხოლო მაღალი დაფინანსების სტუდენტების ყველაზე დიდი რაოდენობა კი დასტურდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

გლობალური გამოწვევებიდან და სოციალური ვითარებიდან გამომდინარე სტუდენტთა სტატუსი შეჩერებული ჰქონდა უნივერსიტეტის სტუდენტთა 42%-ს (10.746), რაც გასული საანგარიშო წლის მონაცემებთან შედარებით 14%/ითაა გაზრდილი.

აღსანიშნავია, რომ გაფართოვდა უნივერსიტეტის ინტერნაციონალური ქსელი, სახელდობრ, 2023 წელს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები ემსახურებოდა 1187 უცხოელ სტუდენტს, მათ შორის ყველაზე მაღალი დატვირთვა მოდიოდა მედიცინის უცხოურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე (974).

საუნივერსიტეტო 7 ფაკულტეტზე 2023 წლის დასასრულს მუშაობდა 208 საგანმანათლებლო პროგრამა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, ხოლო 31 უცხოენოვანი და ბილინგვური საგანმანათლებლო პროგრამა. ფაკულტეტების შესაბამისად სრული სტატისტიკა წარმოდგენილია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამის ვებგვერდზე.

საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა უნივერსიტეტში ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება:

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფა;

- ხარისხის გარე უზრუნველყოფა;

2.1 ხარისხის შიდა უზრუნველყოფა

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტივობათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის საკითხებს, რომელთა ამოცანაა ჰოლისტურად მოახდინოს ინსტიტუციის შეფასება რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ,

- საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასება;
- აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა;
- საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტების მუშაობის განახლებული ფორმატი კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში;
- სტუდენტთა ჩართულობა პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში;
- საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და ნორმატიული დოკუმენტების ადაპტირება;

2.1.1 საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასება

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასების მექანიზმი, რომელსაც 2023 წელს ასევე მიმართავდა სამსახური მეტწილად (რე)აკრედიტაციის პროცესში, განსხვავებული მიზნებითა და ფორმით კონკრეტული ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელთა შედეგების განხილვა თავდაპირველად საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერ კომიტეტში ხორციელდება, ხოლო მომდევნო ეტაპზე ის ხდება ფაკულტეტის საბჭოს მსჯელობის საგანი. კლასტერული აკრედიტაციის პროცესში წინამდებარე მექანიზმი ასევე გამოყენებულ იქნა კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო პორტფოლიოს მოსამზადებლად, სადაც სასურველი იყო წარმოჩენილიყო საგანმანათლებლო პროგრამების როგორც კლასტერულად კლასიფიცირების საერთო საბაზისო კონცეფცია, ისე საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა და თვითმყოფადობა ერთი კლასტერის ფარგლებში.

კოლეგიალური შეფასების პროცედურა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კლასტერული აკრედიტაციის პროცესში, რომლის დროსაც შინაარსითა და კვალიფიკაციის მიხედვით მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური პერსონალი კონკრეტული მეთოდოლოგიის ფარგლებში აფასებს და წარმოადგენს ერთიან ხედვას კლასტერული ჯგუფის პროგრამების ერთიანი შეფასებისა და მათი შემდგომი განვითარების მიზნით საერთო და განმასხვავებელი არგუმენტების საფუძველზე.

კოლეგიური შეფასების პრინციპი ასევე პროდუქტიული აღმოჩნდა შრომის ბაზრის კვლევის პროცესში, რაც განახლებული მეთოდოლოგიით განხორციელდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი 8 კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. ზემოხსენებულმა პროცესმა მიიღო ინსტიტუციური ხასიათი, კერძოდ, ბაზრის კვლევის პროცედურა, მეთოდოლოგია და შემდგომ უკვე ანალიზი მომზადდა სოციალ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტებისა და აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობით, რასაც მოსამზადებელ პერიოდში წინ უსწრებდა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ დეტალურად დამუშავებული და რედაქტირებული კითხვარების წარდგენა. წინამდებარე სიახლე გარე შეფასების პროცესში ექსპერტთა მიერ დასახელებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის ფართოდ დამკვიდრების თვალსაზრისით.

საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასება, თავის მხრივ აძლიერებს ხარისხის კულტურას, ამაღლებს ხარისხის ცნობიერებასა და საუნივერსიტეტო საზოგადოების თვითპასუხისმგებლობას აკადემიურ პროცესებში ჩართვისას. ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში კოლეგიალური შეფასების უკვე გამოცდილი მეთოდოლოგიის გამოყენებით განხორციელდა ბაკალავრიატის ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, შეფასება და აკრედიტაცია, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ახლებური მიდგომა განხორციელდა ევროპული კვლევების ინსტიტუტის მიერ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ***ევროპისმცოდნეობა*** მომზადებისას, რომელიც დაიგეგმა ჟან-მონეს პროექტის ფარგლებში (დეტალური ინფორმაცია და ანგარიში ხელმისაწვდომია ევროპული კვლევების ინსტიტუტის ვებგვერდზე). საგანმანათლებლო პროგრამის საინიციატივო ჯგუფის მიერ გაიწერა 8 საფეხურიანი შეხვედრების ციკლი, რომელშიც ეტაპობრივად ჩართული იყო იმ 4 ფაკულტეტის შესაბამისი აკადემიური პერსონალი, რომელთა მონაწილეობით შემდგომში უნდა განხორციელებულიყო საგანმანათლებლო პროგრამა. შემდგომში პროგრამის მონაწილე ფაკულტეტების მიერ შეფასდა არამხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამა, არამედ მისი სასწავლო კომპონენტები. პროგრამის საინიციატივო ჯგუფის მიერ დაგეგმილ შეხვედრებზე კი განიხილებოდა საგანმანათლებლო პროგრამის წინაშე წაყენებული რეკომენდაციები და რჩევები. საგანმანათლებლო პროგრამისადმი შემუშავებული რეკომენდაციების განხილვას ესწრებოდა, როგორც პროგრამის მონაწილე ქართველი აკადემიური პერსონალი, ისე უცხოელი კოლეგები (სულ 200-მდე დაინტერესებული პირი). საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავების ბოლო ფაზაში გადაეცა უცხოელ ექსპერტებს კოლეგიური შეფასების მიზნით, რომელთა დასკვნები ხელმისაწვდომია ევროპული კვლევების ვებგვერდზე განთავსებული ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ელექტრონულ მისამართზე.

შიდა შეფასების სისტემაში განახლებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო:

- საუნივერსიტეტო სივრცეში ხარისხის ცნობიერებისა და კულტურის ამაღლებას;
- ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების, ერთი მხრივ, თანამშრომლობითი პროცესის გაღრმავებას, ხოლო მეორე მხრივ, მათი ქმედების არეალის გაფართოებას, ბიუროკრატიის შემცირებას და საუნივერსიტეტო საზოგადოების თვითპასუხისმგებლობის ამაღლებას;
- უცხოელ პარტნიორთა მხრიდან ქართულ კანონმდებლობაში მოქმედი რეგულაციების სრულად გაზიარებას;
- სტუდენტთა ჩართულობას პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში, ისევე როგორც დამსაქმებელთა და პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელთა აქტიურ მონაწილეობას საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში;
- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ფართო ინტერესს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილ პროცესებში ჩართვისადმი;
- პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის ფუნქციების ახლებურად გააზრებას.

შიდა კოლეგიური შეფასების პროცედურა სამუშაო პროცესში ზუსტდება და კიდევ უფრო მკვიდრად იკიდებს ფეხს ინსტიტუციაში. რამდენიმე წლის გამოცდილებამ კიდევ უფრო ნათლად აჩვენა ამ პროცედურების აუცილებლობა, რაც გაზიარებულია საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ და პროგრამით დაინტერესებულ პირთა მიერ. გაწერილმა და აპრობირებულმა პროცედურამ კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მოითხოვა დაზუსტება და შევსება. მომზადდა და დეტალურად გაიწერა პროგრამული კომიტეტის სამუშაო პროცედურა.

საანგარიშო პერიოდში შეფასებები დაიგეგმა იმ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლებიც:

- იმყოფებოდა (რე)აკრედიტაციის პროცესში;

- წარადგენდა (რე)აკრედიტაციის შემდგომ ანგარიშს აკრედიტაციის საბჭოსა და ექსპერტთა მიერ გაცემული და შეჯერებული რეკომენდაციების თაობაზე;
- საჭიროებდა მოდიფიცირებას ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებით;
- წარადგენდა სამწლიან შუალედურ თვითშეფასების ანგარიშს;

შესაბამისად შიდა შეფასება განხორციელდა:

- *აკრედიტაციის მიზნით*: **5** საგანმანათლებლო პროგრამაზე (მათ შორის: 4 - დოქტორანტურის, 1 - სპეციალური მასწავლებლის მომზადების);
- *რეაკრედიტაციის მიზნით*: საგანმანათლებლო პროგრამების **5** კლასტერზე (მათ შორის: 16 - ბაკალავრიატის; 11 - მაგისტრატურის, 2 - დოქტორანტურის, სულ **29** საგანმანათლებლო პროგრამა);
- *კვალიფიკაციის ჩარჩოსთან თავსებადობის მიზნით*: **3** საგანმანათლებლო პროგრამაზე (მათ შორის: 1 - ბაკალავრიატის; 2 - დოქტორანტურის);
- *სამწლიანი შუალედური ანგარიში*: **4** საგანმანათლებლო პროგრამაზე (მათ შორის: 1 - ბაკალავრიატის; 1- მაგისტრატურის, 2 - დოქტორანტურის);
- *ანგარიში აკრედიტაციის საბჭოსა და ექსპერტთა რეკომენდაციებზე*: **9** საგანმანათლებლო პროგრამაზე (მათ შორის: 1 - ბაკალავრიატის, 8 - მაგისტრატურის);

2023 წელს შიდა შეფასებას წინამდებარე პროგრამებიდან დაექვემდებარა 40 საგანმანათლებლო პროგრამა. შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო 400-მდე პირმა. განხილვები გაიმართა ელექტრონული პლატფორმის zoom მეშვეობით. მასში მონაწილეობა მიიღო ფაკულტეტის ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლებმა, პროგრამის ხელმძღვანელებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა, დამსაქმებლებმა და სტაჟირება/პრაქტიკის განმახორციელებლებმა.

2.1.2 აკადემიური მოსწრების ანალიზი

აკრედიტაციის განახლებულმა სტანდარტებმა და შესაბამისად, თვისობრივად ახალმა სააკრედიტაციო პროცედურებმა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები დააყენა ახალი გამოწვევების წინაშე. თუ მოცემულ მომენტამდე აკადემიური მოსწრების ანალიზი მხოლოდ სტატისტიკური მონაცემი იყო და რჩებოდა მხოლოდ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტისა და საუნივერსიტეტო საგამოცდო ცენტრის ნაწილად, აკრედიტაციის პროცესის განახლებულმა პროცედურებმა მეთოდოლოგიურად წარმოადგინა აკადემიური მოსწრების ანალიზის პროცესი, რომელიც ყალიბდება რამდენიმე მნიშვნელოვანი სეგმენტის ურთიერთშეჯერების საფუძველზე:

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების რუკა;

სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მნიშვნელოვანი ციკლური პროცესია, რომელიც იწყება პროგრამის ჩამოყალიბებისთანავე და მოქმედ პროგრამებზე მუდმივად მიმდინარეობს. მისი მეშვეობით ხორციელდება მონაცემთა ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესება. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ზემოხსენებული ვიზუალიზებული დოკუმენტების მართებული მომზადება საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებს უადვილებს სწავლის შედეგების ანალიზის პროცესს.

უკანასკნელ პერიოდში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არის კომპლექსურად დანახული კურიკულუმის მიზნები, რომლის მიღწევა შესაძლებელია კონკრეტული სწავლის შედეგების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო

ბაზრის მოთხოვნებს; არის დაკვირვებადი და შეფასებადი, რაც ნიშნავს, რომ კონკრეტული ტიპის დავალებით დგინდება კონკრეტული შედეგის მიღწევადობა. ის არ აერთიანებს რამდენიმე შედეგს, არის რეალისტური და მიღწევადი, ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსს. ის არ წარმოადგენს პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების შედეგების მექანიკურ ჯამს, რაც შემდგომში აადვილებს სწავლის შედეგების ანალიზის პროცესს.

სწავლის შედეგების დახვეწას საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებში ხელი შეუწყო საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით მომზადებულმა დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებამ, რომელიც მუდმივად წინ უსწრებს მიმდინარე კლასტერულ აკრედიტაციებს. ზემოხსენებული ჩარჩო-დოკუმენტების შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართული თსუ-ის დარგობრივი ექსპერტები. მათი ხელშეწყობით მომზადდა უმაღლესი განათლების 7 დარგობრივი მახასიათებელი, რომელთანაც შესაბამისობაში მოვიდა თსუ-ში ჰუმანიტარული, ზუსტ და საბუნებისმეტყველო და განათლების მეცნიერებების ცალკეულ სფეროებში მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამები (სულ 59 საგანმანათლებლო პროგრამა).

ამას გარდა სწავლის შედეგების ყოველსემესტრული ანალიზი რეგულარულად მზადდება და მუშავდება საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტის მიერ, რასაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტის მხრიდან. მონაცემთა პირველად ანალიზს იძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სისტემა, რომლის საშუალებით შესაძლებელია გაანალიზდეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრება ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით (დიდი სასემინარო და სალექციო კურსებისათვის ანალიზდება გაუსის გადახრის მრუდი). რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამის საკვანძო და კომპეტენციის მიმცემი სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, მათი ანალიზი შესაძლებელია სწავლის შედეგების შეფასების რუკის მიხედვით მომზადებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

2023 წელს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ განხორციელდა ყველა იმ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების პერმანენტული დაკვირვება და შეჯერება, რომელთაც შუალედური შეფასების ფარგლებში უნდა მოამზადონ შესაბამისი ანგარიში გარე შეფასებაზე წარდგენის მიზნით. მოცემულ ეტაპზე დასრულებულია პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების პირველი ფაზა, რომლის მიხედვით სტუდენტებს სამიზნე ნიშნულზე დაბალი შეფასება დაუფიქსირდა ცალკეულ სასწავლო კურსებში (საგანმანათლებლო პროგრამამ ***ფიზიკა:*** *მოლეკულური ფიზიკა, დიფერენციალური განტოლებები*, ფიზიკის მათემატიკური მეთოდები). საანგარიშო პერიოდში მოგროვდა 2022-2023 სასწავლო წლის მონაცემები და განხორციელდა განმეორებითი დაკვირვება კონკრეტულ სასწავლო კურსებზე.

სწავლის შედეგების მცირედ განსხვავებული შეფასების მეთოდოლოგიაა წარმოდგენილი ამავე ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ***კომპიუტერული მეცნიერება*** (ქართულ-ფრანგული), სადაც პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა სან-დიეგოს უნივერსიტეტში შემუშავებული მეთოდოლოგია შეაჯერა საუნივერსიტეტო რეგულაციებში შემუშავებულ მეთოდოლოგიასთან (პროგრამა რეაკრედიტებულია 2022 წელს). მონაცემები დამუშავებულია და მოცემულ ეტაპზე პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტი მუშაობს მონაცემების შეჯერებაზე და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაზე.

საანგარიშო პერიოდში სწავლის შედეგების ანალიზის მეთოდოლოგია შეიმუშავდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთაც 2022-2023 სასწავლო წელს გაიარეს კლასტერული აკრედიტაცია. მოცემულ ეტაპზე შეგროვებულია მხოლოდ ერთი სემესტრის აკადემიური შეფასების მონაცემები, რომლის დამუშავება მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტის მიერ.

ფაკულტეტები სწავლის შედეგების ანალიზის პროცესში მიმართავენ განსხვავებულ მეთოდოლოგიას და მექანიზმებს, მათ შორის უნდა დასახელდეს: სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ

პორტალში ინტეგრირებული გაუსის მრუდის განაწილება, დაკვირვება საფაკულტეტო შესავალ კურსებზე, ან ცალკეული სასწავლო კურსების მონაცემებზე, რა დროსაც მხედველობაში იქნება მიღებული შესაბამისი სტატისტიკური მეთოდები და ჯგუფში შესაფასებელ სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში სრულყოფილად მომზადდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნეს ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ბოლო 5 წლის მონაცემები, გამომდინარე იქიდან, რომ ზემოხსენებული საგანმანათლებლო პროგრამები ექვემდებარება კლასტერული რეაკრედიტაციის პროცესს.

მონაცემების შეგროვება საგანმანთლებლო პროგრამაზე ***ეკონომიკა*** (ინგლისურენოვანი) განხორციელდა 2019-2020, 2020-2021, 2021-2022 და 2022-2023 სასწავლო წლებში, I–IV სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან. ანალიზის მეთოდოლოგიად განისაზღვრა თითოეული სწავლის შედეგისა და მასთან ბმული სასწავლო კურსების ნიშნულებისა და რეალური შედეგების დადარება. ცალკეული სასწავლო კურსის მონაცემებმა ასახა პროგრამის მოცემულ სასწავლო კურსზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა და შესაბამისი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები. შესრულებული სამიზნე ნიშნულების მონაცემები: შესრულება-სტუდენტთა 60%-ზე მეტი იღებს 61 ქულას და მეტს; მეტწილად შესრულება - სტუდენტთა 50-59% იღებს 61 ქულას და მეტს; ნაწილობრივ შესრულება- სტუდენტთა 50%-ზე ნაკლები იღებს 61 ქულას და მეტს. მთლიანობაში სამაგისტრო ნაშრომების დაცვაზე მიღებული წლიური მონაცემებით სამიზნე ნიშნულები მიღწეულია, კერძოდ, სტუდენტთა 60%-ზე მეტი იღებს 61 ქულას და მეტს; ჯამურად სამიზნე ნიშნული მიღწეულია.

ანალოგიური მონაცემებია დამუშავებული ბიზნეს ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერისთვისაც, რომელში საერთო შეჯერებულმა სურათმა აჩვენა:

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება: საანგარიშო პერიოდში 8 მოდულიდან სამიზნე ნიშნულები სრულად შესრულებულია 7 მოდულში, მეტწილად - 4 მოდულში, ხოლო ნაწილობრივ - 6 მოდულში;
  მთლიანად სასწავლო კურსების 43% სრულიად შესრულებულია სამიზნე ნიშნული; მეტწილად - 15 %, ხოლო ნაწილობრივ 42%.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ეკონომიკა: საანგარიშო პერიოდში 7 მოდულიდან სამიზნე ნიშნულები სრულად შესრულებულია 4 მოდულში, მეტწილად - 1 მოდულში, ხოლო ნაწილობრივ - 2 მოდულში;
  მთლიანად სასწავლო კურსების 70 % სრულად შესრულებულია სამიზნე ნიშნული; მეტწილად - 10 %, ხოლო ნაწილობრივ 20 %.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ტურიზმი: საანგარიშო პერიოდში 2 მოდულიდან სამიზნე ნიშნულები სრულად შესრულებულია 1 მოდულში, მეტწილად - 2 მოდულში, ხოლო ნაწილობრივ - 2 მოდულში;
  მთლიანად სასწავლო კურსების 28 % სრულად შესრულებულია სამიზნე ნიშნული; მეტწილად - 22 %, ხოლო ნაწილობრივ 50 %.
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება: საანგარიშო პერიოდში 8 კონცენტრაციიდან სამიზნე ნიშნულები სრულად შესრულებულია (100%) 3 კონცენტრაციაში, მეტწილად (50% და მეტით) - 4 კონცენტრაციაში, ხოლო ნაწილობრივ (49% და ნაკლებით) - 1 კონცენტრაციაში;
  მთლიანად სასწავლო კურსების 79 % სრულად შესრულებულია სამიზნე ნიშნული;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ეკონომიკა: საანგარიშო პერიოდში 10 კონცენტრაციიდან სამიზნე ნიშნულები სრულად შესრულებულია 8 კონცენტრაციაში, მეტწილად - 1 კონცენტრაციაში, ხოლო ნაწილობრივ - 1 კონცენტრაციაში;
  მთლიანად სასწავლო კურსების 88 % სრულად შესრულებულია სამიზნე ნიშნული;

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ტურიზმი: სასწავლო კურსებში სამიზნე ნიშნულები სრულად შესრულებულია 45%/ით 9 სასწავლო კურსიდან 4-ში;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება: საანგარიშო პერიოდში სრულად შესრულება სტუდენტთა 70%-ზე მეტი იღებს 81 ქულაზე მეტს, მეტწილად - 50-69% იღებს 81 ქულაზე მეტს, ნაწილობრივ 50%-ზე ნაკლები იღებს 81 ქულაზე მეტს;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ეკონომიკა: საანგარიშო პერიოდში სრულად შესრულება სტუდენტთა 70%-ზე მეტი იღებს 81 ქულაზე მეტს, მეტწილად - 50-69% იღებს 81 ქულაზე მეტს, ნაწილობრივ 50%-ზე ნაკლები იღებს 81 ქულაზე მეტს;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი: საანგარიშო პერიოდში სრულად შესრულება სტუდენტთა 70%-ზე მეტი იღებს 81 ქულაზე მეტს, მეტწილად - 50-69% იღებს 81 ქულაზე მეტს, ნაწილობრივ 50%-ზე ნაკლები იღებს 81 ქულაზე მეტს.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონაცემების ანალიზი მნიშვნელოვანია აკადემიური პროცესების გამართულად წარმართვისათვის. მათ ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებასა და განვითარებაში.

2.1.3 სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები მნიშვნელოვანი მექანიზმია დაკვირვებისა და აკადემიური პროცესების განვითარების შემდგომი აქტივობის დაგეგმვისათვის.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს უნივერსიტეტში ამოქმედდა ახალი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა uni.tsu.ge, რომელზეც უკვე სრულად გადავიდა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტების მონაცემები, ისევე როგორც ინტეგრირდა გამოკითხვის კითხვარები.

საანგარიშო პერიოდში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მონაწილეობდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის გამართვისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების საჭიროებებზე მორგების პროცესში. ამავე მიზნით, სამსახური ესწრებოდა IT დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამსახურის როლი ხსენებულ პლატფორმაზე საუნივერსიტეტო გამოკითხვების ფორმატის გამართვისა და სრულყოფის პროცესში. IT დეპარტამენტთან თანამშრომლობით მოდიფიცირდა გამოკითხვის კითხვარების ატვირთვის, გამოკითხვის პერიოდის დასრულების შემდგომ მონაცემების ჩამოტვირთვისა და გამოკითხვის შედეგებზე ონლაინ ხედვის ფორმატები. პორტალს დაემატა რამდენიმე ფუნქცია/ღილაკი (მაგ., სწავლების საფეხურის ფილტრი, საგანმანათლებლო პროგრამაზე/სასწავლო კურსზე დარეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა, დარეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა პროცენტულად და ა.შ.), რომლებიც ხელს უწყობენ და აადვილებენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის საჭირო რაოდენობრივი თუ თვისებრივი მონაცემების მოპოვებას, გაფილტვრასა და დამუშავებას.

2023 წლის შემოდგომის სემესტრში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განახლებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით უკვე ჩატარდა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების სემესტრული გამოკითხვა, ხოლო ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების გამოკითხვა lms.tsu.ge-ზე განხორციელდა. გამოკითხვის შედეგების ჩამოტვირთვისა და ანალიზის მიზნით, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს გაუაქტიურდათ რეგლამენტირებული წვდომა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაზე. სტუდენტთა

სემესტრული გამოკითხვის შედეგები სასწავლო კურსითა და ლექტორით კმაყოფილების შესახებ ცალკეულად გაანალიზდა თითოეული ფაკულტეტის მიერ. 2024 წლიდან ეტაპობრივად გაგრძელდება და განხორციელდება სხვადასხვა საუნივერსიტეტო სისტემური და საჭიროებაზე მორგებული კითხვარების ინტეგრირება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.
საერთო თემატური და მიზნობრივი კვლევების გარდა, ცალკეული კვლევები და მით უფრო თუ ეს ეხება საგანმანათლებლო პროგრამების შიდა და გარე ხარისხის შეფასების საკითხებს, მზადდება უშუალოდ პროგრამული კომიტეტისა და საფაკულტეტოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საუნივერსიტეტოს სივრცეში აკადემიურ და ადმინისტრაციულ თავისუფლებას, ეს უკანასკნელი კი გულისხმობს კვლევის პროცესში ფაკულტეტის, დარგისა თუ მიმართულების სპეციფიკაზე დაფუძნებულ კვლევებს.
საანგარიშო პერიოდში კვლევები აქტიურად განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების ფარგლებში. ამას გარდა კვლევების ახალი ციკლი დაიგეგმა და განხორციელდა ავტორიზაციის პროცესის მოსამზადებელ ფაზაში. კონკრეტულად კი,

- ✓ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
- ✓ აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის კვლევა;
- ✓ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში.

2.1.3.1 სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც სტუდენტსა და შედეგზე ორიენტირებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რეგულარულად აწარმოებს სასწავლოს პროცესში ჩართული მხარეების, წინამდებარე დოკუმენტის შემთხვევაში, მიმდინარე, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების, გამოკითხვას, მათი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, რაც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზანს ემსახურება.
წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, ერთსაფეხურიანი, ინტეგრირებული და მასწავლებლის მომზადების პროგრამების სტუდენტთა დამოკიდებულებების, მოლოდინებისა და კმაყოფილების შესწავლა, კერძოდ, კვლევა მიზნად ისახავს როგორც (ა) თსუ-ში ჩარიცხულ სტუდენტთა მოტივაციისა და მოლოდინების, ისე (ბ) აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა მიერ მიღებული სერვისებით კმაყოფილების შესწავლას.
კვლევაში მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შვიდივე ფაკულტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო, ერთსაფეხურიანი და ინტეგრირებული პროგრამების პირველკურსელებმა და აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებმა:



დიაგრამა N1.



დიაგრამა N2.

კვლევაში განსაკუთრებით მაღალი იყო პირველკურსელთა აქტივობა. 2023-2024 სასწავლო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შვიდივე ფაკულტეტზე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის, ერთსაფეხურიანი და ინტეგრირებულ პროგრამებზე ჩარიცხული 7000 პირველკურსელიდან თვითშერჩევით შერჩეულმა 3279-მა პირველკურსელმა სტუდენტმა (გამოპასუხების მაჩვენებელი 46%) მიიღო კვლევაში მონაწილეობა.

გამოკითხულ პირველკურსელთა უდიდესმა ნაწილმა (85.7%) სწავლების წინა საფეხური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაასრულა. ასევე, გამოკითხულთა უმრავლესობამ (90%) აღნიშნა, რომ თსუ მათი პირველი არჩევანი იყო. პირველკურსელთა მხოლოდ 7%-ისთვის იყო თსუ მეორე არჩევანი, ხოლო დანარჩენმა 3%-მა აღნიშნა, რომ თსუ მათთვის მესამე, მეოთხე და მეხუთე არჩევანს წარმოადგენდა.

თსუ-ისთვის უპირატესობის მინიჭებისა და მასზე არჩევანის შეჩერების მთავარ მიზეზად პირველკურსელები მრავალ ფაქტორს ასახელებენ, თუმცა, განსაკუთრებულად აღნიშნავენ სწავლების მაღალ ხარისხს, პროფესიონალ ლექტორებს, გაცვლითი პროგრამების სიმრავლესა და დასაქმების პერსპექტივას.



დიაგრამა N3.

სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული გამოცდილებით კვლევის მონაწილეთა ზოგადი კმაყოფილების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა პირდაპირი და არაპირდაპირი ინდიკატორები.

კითხვა	მაჩვენებელი (%)
Q9. საერთო ჯამში უნივერსიტეტში მიღებული განათლების შედეგები შეესაბამება ჩემს მოლოდინებს	
დიახ	38.1
მეტ-ნაკლებად	46.1
არა	12
არ ვიცი, არ მიფიქრია ამაზე	3.8
Q15. აბიტურიენტებს ვურჩევდი თსუ-ში ჩაბარებას	
დიახ	67.1
არა	13.8
არ ვიცი, არ მიფიქრია ამაზე	19.2
Q16. ვგეგმავ სწავლის გაგრძელებას	
დიახ, ვგეგმავ თსუ-ში	49.8
დიახ, ვგეგმავ საქართველოს სხვა უნივერსიტეტში	3.4
დიახ, ვგეგმავ საზღვარგარეთ	20.5
არა, არ ვგეგმავ	3.4
ჯერ არ გადამიწყვეტია	19.5
არ ვიცი, არ მიფიქრია ამაზე	3.3

დიაგრამა N4.

კერძოდ, დასმულ იქნა შეკითხვა, თუ მთლიანობაში რამდენად გაამართლა უნივერსიტეტმა და აქ მიღებულმა ცოდნამ/განათლებამ მათი მოლოდინები. ისინი აღნიშნავენ, რომ მიღებულმა განათლების შედეგებმა მთლიანობაში გაამართლა კვლევის მონაწილეთა უდიდესი ნაწილის (84.2%) მოლოდინები.

რესპონდენტთა მხოლოდ მეათედი (12%) აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტმა ვერ გაამართლა მათი მოლოდინები, ხოლო 3.8% არ დაფიქრებულა ამ საკითხზე.
როგორც აჩვენებს, უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საინტერესო/სასურველი საკითხის შესახებ ინფორმაციას რესპონდენტები, უპირატესად, სხვა სტუდენტებისგან, უნივერსიტეტის ვებგვერდიდან და ელექტრონული ბაზიდან ან ელექტრონული ფოსტით და პროფესორ-მასწავლებლებისგან იღებენ. კერძოდ, გამოკითხულთა თითქმის 2/3 (60.9%) სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციისთვის სხვა სტუდენტებს მიმართავს, ნახევარი (49.1%) — უნივერსიტეტის ვებგვერდს, ხოლო მესამედი — ელექტრონულ ბაზას/ელექტრონულ ფოსტასა და პროფესორ-მასწავლებლებს (38% და 36.5%, შესაბამისად). უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდი უხვად იძლევა ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ, თუმცა ინფორმაციის ძირითად წყაროდ მაინც თანატოლები/სხვა სტუდენტები რჩებიან.



დიაგრამა N5.

რაც შეეხება ინფორმაციასა და სიახლეებს უნივერსიტეტში არსებული სტიპენდიებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ საინტერესო/სასურველი საკითხების შესახებ, იკლებს სხვა სტუდენტების როლი (37.5%), თუმცა, ფაქტობრივად, უცვლელი რჩება უნივერსიტეტის ვებგვერდის (48.3%) ფუნქცია. საინტერესოა, რომ გამოკითხულთა მეხუთედს (22.7%), მათი თქმით, საერთოდ არ მიუღიათ ინფორმაცია სტიპენდიებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ.



დიაგრამა N6.

გამოკითხულ რესპონდენტთა 2/3-ზე ოდნავ მეტი (74.3%) აღნიშნავს რომ სალექციო განრიგი (ცხრილი) მათთვის სემესტრის დაწყებამდე, წინასწარ არის ცნობილი. კვლევის მონაწილეთა დაახლოებით 2/3 (60.4%) თვლის, რომ მათი სპეციალობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სასწავლო კურსებს საათების ადეკვატური რაოდენობა ეთმობა და არის საჭირო თეორიული მეცადინეობებისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობის გაზრდა, თუმცა კვლევის მონაწილეთა ნახევარი (50.1%) ხედავს პრაქტიკული

მეცადინეობებისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობის გაზრდის საჭიროებას და მხოლოდ მესამედი (32.4%) ფიქრობს, რომ პრაქტიკული მეცადინეობები საკმარისი რაოდენობით შეეთავაზებათ.



დიაგრამა N7.

გამოკითხულ სტუდენტთა 2/3-ის (70.8%) თქმით ლექტორთა კომპეტენცია შეესაბამება სწავლების მაღალ ხარისხის და ისინი მზად არიან სტუდენტების კონსლუტირებისა და მხარდაჭერისთვის. რაც შეეხება სასწავლო მასალას, შერჩევის მესამედი (34.5%) თვლის, რომ სასწავლო მასალა არ ან საერთოდ არ შეესაბამება სწავლების მაღალ ხარისხს, თუმცა რესპოდენტთა თითქმის ნახევარი (47.1%) კმაყოფილია მიწოდებული საკითხავი მასალით.



დიაგრამა N8.

სტუდენტთა თვალით დანახული მოსაგვარებელი საკითხები

კვლევის მონაწილეებს ეთხოვათ, რომ თვალი რომ გადაევლოთ უნივერსიტეტში მათ მიერ გატარებული დროისთვის და ეთქვათ, მათი აზრით, პირველ რიგში, რა არის მოსაგვარებელი უნივერსიტეტში. რესპონდენტებს შეეძლოთ სამი პასუხის დასახელება.

ასობით პასუხის გაანალიზებისა და დაჯგუფების შემდეგ, გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება, რომელზეც საუბრობენ სტუდენტები. ეს არის (ა) სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული საკითხები და (ბ) ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო. აქვე უნდა ითქვას, რომ მრავლად არიან ისეთი რესპონდენტებიც, რომლებიც ვერ ხედავენ გამოსასწორებელ და გასაუმჯობესებელ მხარეებს.

სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული საკითხები

მოსალოდნელი იყო, რომ სტუდენტები, პირველ რიგში, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რესპონდენტის თქმით, ბევრი არაფერია შესაცვლელი სისტემაში, მათი ნაწილი ყველაზე ხშირად გამოკვეთდა სწავლა-სწავლების მეტი თანამედროვე მეთოდის დანერგვის საჭიროებას, შემდგომი დასაქმებისთვის გამოსადეგი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მეტ ყურადღებას, საგამოცდო ცენტრის ფუნქციონირებისა და მიღებული შეფასების გასაჩივრების პროცედურის გამარტივებას. სტუდენტები, ასევე, საუბრობდნენ სწავლის პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა (LMS) და საგნებზე რეგისტრაციის პროცესის დახვეწის საჭიროებაზე.

ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არაერთ კორპუსშია განლაგებული და ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა კორპუსში ერთმანეთისგან განსხვავებული სასწავლო გარემო და ინფრასტრუქტურა შეიძლება დაგვხვდეს, მთლიანობაში თუ შევხედავთ, სტუდენტების პასუხები მიუთითებს ზოგადად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროებაზე. უფრო კონკრეტულად ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ ზოგიერთ კორპუსში ინტერიერის განახლების/რემონტის აუცილებლობას, საპირფარეშოების მოწესრიგებისა და სისუფთავის საჭიროებას და გამოთქვამენ კვების აპარატების/კაფეტერიისა და რეკრეაციული ზონების გაჩენის სურვილს. ასევე, მაღლივ კორპუსში ლოკალიზებული სტუდენტებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს შენობაში ლიფტის გამართულ მუშაობას

გარდა ამისა, რესპონდენტები საუბრობენ კვლევისთვის უკეთესი პირობების შექმნის სურვილზე, რაც ზოგიერთ კორპუსში სამეცნიერო ლაბორატორიების უკეთ აღჭურვას, მეტი ტექნოლოგიების (კომპიუტერები, ინტერნეტი, პროექტორები, მიკროფონები საჭიროების შემთხვევაში) დანერგვასა და სასწავლო პროცესში მაქსიმალურად გამოყენებას გულისხმობს.

კვლევა მიმოიხილავს სტუდენტური პრობლემების საკითხსაც, თუ ვის მიმართეს, ან რატომ არ მიმართეს სტუდენტებმა კონკრეტული პრობლემის მოგვარების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობის (85.1%) თქმით, სრულად ან ნაწილობრივ მოუგვარდა ის საკითხი, რის გამოც მიმართა შესაბამის სამსახურსა თუ პირს და მხოლოდ 14/9%-მა ვერ შეძლო პრობლემის მოგვარება.

დოქტორანტთა ზოგადი კმაყოფილება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული გამოცდილებით დოქტორანტთა ზოგადი კმაყოფილების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა პირდაპირი და არაპირდაპირი ინდიკატორები.

კერძოდ, კითხვა შეეხებოდა, თუ მთლიანობაში რამდენად გაამართლა უნივერსიტეტმა და აქ მიღებულმა ცოდნამ/განათლებამ მათი მოლოდინები. ისინი აღნიშნავენ, რომ მიღებულმა განათლების შედეგებმა მთლიანობაში გაამართლა კვლევის მონაწილეთა უდიდესი ნაწილის (93.6%) მოლოდინები. რესპონდენტთა 6.5% არ დაფიქრებულა ამ საკითხზე. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე არც ერთ დოქტორანტს არ გაცრუებია იმედები და მოლოდინები თსუ-ში სწავლის პროცესში.

არაპირდაპირ ინდიკატორი შეეხებოდა სხვა აბიტურიენტებისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარების რეკომენდება და სწავლის გაგრძელების თსუ-სთან დაკავშირებული გეგმების არსებობა. როგორც გვიჩვენებს, კვლევაში მონაწილე თითქმის ყველა დოქტორანტი (83.9%) ურჩევდა აბიტურიენტებს თსუ-ში სწავლის გაგრძელებას, ხოლო გამოკითხულთა მესამედი თავადვე გეგმავს თსუ-ში სწავლის გაგრძელებას და არ აპირებს სხვა უსდ-ში გადასვლას. აღსანიშნავია, რომ არც ერთი რესპონდენტი არ გეგმავს სწავლის გაგრძელებას საქართველოში მდებარე სხვა უმაღლეს სასწავლებელში.

კითხვა	მაჩვენებელი (%)
Q9. საერთო ჯამში უნივერსიტეტში მიღებული განათლების შედეგები შეესაბამება ჩემს მოლოდინებს	
დიახ	58.1
მეტ-ნაკლებად	35.5
არა	--
არ ვიცი, არ მიფიქრია ამაზე	6.5
Q15. აბიტურიენტებს ვურჩევდი თსუ-ში ჩაბარებას	
დიახ	83.9
არა	6.5
არ ვიცი, არ მიფიქრია ამაზე	9.7

დიაგრამა N9.

2.1.3.2 პერსონალის კმაყოფილების კვლევა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს სასწავლოს პროცესში ჩართული მხარეების, წინამდებარე დოკუმენტის შემთხვევაში, უნივერსიტეტში დასაქმებულთა გამოკითხვას, მათი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, რაც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზანს ემსახურება.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზანია უნივერსიტეტის (ა) აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო და (ბ) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოცდილებისა და მოსაზრებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი.

აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალი

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შვიდივე ფაკულტეტის აკადემიურმა, მოწვეულმა და სამეცნიერო პერსონალმა,



დიაგრამა N10.

სულ კვლევაში მონაწილეობდა ყველა ფაკულტეტის 859 აკადემიურ, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალი

გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი თვლის რომ უნივერსიტეტი აძლევს როგორც პროფესიული რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობას.



დიაგრამა N11.

რაც შეეხება სამუშაო გარემოს, რესპონდენტთა 2/3 თვლის (75.1%), რომ უნივერსიტეტში შექმნილია კომფორტული, თანამშრომლობაზე ორიენტირებული სოციალური გარემო და უნივერსიტეტში მუშაობით პროფესიონალთა გუნდის წევრად გრძნობს თავს (82.4%).



დიაგრამა N12.

დავინტერესდით, აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალი როგორ ხედავს უნივერსიტეტის მხრიდან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის მხარდამჭერ ღონისძიებებს. შედეგები წარმოდგენილია **Error! Reference source not found.**



დიაგრამა N13.

კიდევ ერთი შეკითხვა, რომელზეც უპასუხეს კვლევის მონაწილეებმა, შეეხებოდა იმას, თუ, სურვილის შემთხვევაში, რამდენად ეძლევათ საშუალება, ჩართულნი იყვნენ უნივერსიტეტის მართვის პროცესში, იქნება ეს სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვა, საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება და ა. შ.

კვლევის მონაწილეთა ნახევარზე მეტის აზრით, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა (აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები და სხვ.) და ტექნიკური აღჭურვილობა ადეკვატურია სწავლა-სწავლების პროცესისა და სამეცნიერო კვლევების სათანადოდ წარმართვისთვის (56.8% და 56.4%, შესაბამისად).

რაც შეეხება უნივერსიტეტში უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის, სამეცნიერო-პერიოდული გამოცემების, სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო-ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობას, მონაცემების მიხედვით, რესპონდენტთა 2/3-სთვის (71.6%) ხელმისაწვდომია აღნიშნული რესურსები, 20.9%-სთვის — არა, ხოლო 6.5% არ არის ინფორმირებული დასახელებული რესურსების ხელმისაწვდომობის თაობაზე.

ფაქტობრივად, თანაბრად გაიყო ხმები, იმ შემთხვევაში, როდესაც დაისვა კითხვა, ზრუნავს (42.9%) თუ არა (45.1%) უნივერსიტეტის სახელფასო პოლიტიკის გაუმჯობესებაზე, თუმცა კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილი თვლის, რომ უნივერსიტეტში ამჟამად არსებული სახელფასო პოლიტიკა გასაუმჯობესებელია.



დიაგრამა N14.

ზოგადი კმაყოფილება და გასაუმჯობესებელი მიმართულებები

კვლევაში მონაწილე აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის უდიდესი ნაწილი, საერთო ჯამში, კმაყოფილია უნივერსიტეტში მუშაობის გამოცდილებით (67.8% სრულიად და 27.3% მეტ-ნაკლებად, შესაბამისად). თანამშრომელთა მხოლოდ 4%-ია უკმაყოფილო, ხოლო 6 ადამიანს საერთოდ არ უფიქრია ამ საკითხთან დაკავშირებით.



დიაგრამა N15.

მიუხედავად უდიდესი ნაწილის ზოგადი კმაყოფილებისა, კვლევის მონაწილეები საუბრობდნენ გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ. როგორც დიაგრამა N14 გვიჩვენებს, შერჩევის უდიდესი ნაწილი (77.8%) თვლის, რომ უნივერსიტეტს გადასახედი და გასაუმჯობესებელი აქვს სახელფასო პოლიტიკა. ამასთან, რესპონდენტთა მესამედზე მეტის აზრით, საზრუნავია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სასწავლო პროცესისთვის (45.2%) და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები როგორც სტუდენტებისთვის სტაჟირების სახით (42.7%), ისე აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალისთვის (40.8%).

დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალი

კვლევის ამ ნაწილში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის და შვიდივე ფაკულტეტის ადმინისტრაციულმა და დამხმარე პერსონალმა, სულ 416-მა პირმა.

კვლევაში მონაწილე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის უდიდესი ნაწილი, საერთო ჯამში, კმაყოფილია უნივერსიტეტში მუშაობის გამოცდილებით (65.8% სრულიად და 29.4% მეტ-ნაკლებად,

შესაბამისად). თანამშრომელთა მხოლოდ 2.9%-ია უკმაყოფილო, ხოლო 8 ადამიანს საერთოდ არ უფიქრია ამ საკითხთან დაკავშირებით.



დიაგრამა N16.

პირველ რიგში, დავინტერესდით, რამდენად იცნობს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. როგორც **Error! Reference source not found.** გვიჩვენებს, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის უდიდესი ნაწილი იცნობს უნივერსიტეტის მისიას, ხედვასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელთაგან ნაწილი თავადაც იყო ჩართული მის შემუშავებაში. გამოკითხულთა მხოლოდ 10% არ იცნობს აღნიშნულ დოკუმენტებს.



დიაგრამა N17.

რაც შეეხება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, რესპონდენტთა 2/3-ზე მეტის აზრით, ადმინისტრაცია დროულად იღებს ორგანიზაციულ და აკადემიურ/სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს (72.3% და 74.9%, შესაბამისად).

პროფესიული განვითარება და რეალიზება

გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი თვლის, რომ უნივერსიტეტი აძლევს როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობას (75.2%), თუმცა გაცილებით ნაკლებია მათი რიცხვი (40.3%), ვისაც უნივერსიტეტში პროფესიული რეალიზების საშუალება ეძლევა. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (48.2%) აღნიშნავს, რომ მათ არ აქვს ამის შესაძლებლობა, ხოლო 9.4% არ დაფიქრებულა ამ საკითხზე.



დიაგრამა N18.



დიაგრამა N19.

რაც შეეხება სამუშაო გარემოს რესპონდენტთა 2/3 თვლის (77.6%), რომ უნივერსიტეტში შექმნილია კომფორტული, თანამშრომლობაზე ორიენტირებული სოციალური გარემო და უნივერსიტეტში მუშაობით პროფესიონალთა გუნდის წევრად.

რაც შეეხება სწავლებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებისთვის პრიორიტეტულ ღონისძიებებს, გამოკითხულთა მესამედმა (33.7%) დაასახელა უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ შეთავაზებული ღონისძიებები. უფრო მეტი რესპონდენტი უპირატესობას უნივერსიტეტის მიერ მოწვეულ უცხოელ ექსპერტებთან სასემინარო და სამუშაო შეხვედრებსა და კოლეგებთან გამოცდილების გაზიარებას ანიჭებს.

თუ აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის ხმები, ფაქტობრივად, თანაბრად გაიყო (იხ. ზემოთ), განსხვავებული სურათი მივიღეთ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შემთხვევაში, როდესაც რესპონდენტებს ვკითხეთ, ზრუნავს (51.3%) თუ არა (36.1%) უნივერსიტეტის სახელფასო პოლიტიკის გაუმჯობესებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ასეთი სურათისა, კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილი მაინც თვლის, რომ უნივერსიტეტში ამჟამად არსებული სახელფასო პოლიტიკა გასაუმჯობესებელია. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს:

განსხვავებული სურათი გვაქვს, როდესაც საქმე უნივერსიტეტის მხრიდან თანამშრომელთა სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვას, მაგალითად, ჯანმრთელობის დაზღვევას, შეეხებოდა საქმე.

რესპონდენტთა დიდი წილი (74.7%) თვლის, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს თანამშრომელთა სოციალურ კეთილდღეობაზე და შედარებით მცირე ნაწილი (21.5%) არ ფიქრობს ასე.
შერჩევის დიდი ნაწილი (77.1%) უზრუნველყოფილია პირადი სამუშაო სივრცით, ხოლო რაც შეეხება სტუდენტებთან ინდივიდუალური კონსულტაციების წარმართვისთვის საჭირო პირობებს, რესპონდენტთა უმრავლესობის (72.2%) აზრით, უნივერსიტეტში შექმნილია ეს პირობები, მხოლოდ 10.8% არ თვლის ასე, 16.4% კი არ არის ინფორმირებული აღნიშნული პირობების არსებობა/არარსებობის შესახებ.



დიაგრამა N20.

კვლევაში მონაწილე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის უდიდესი ნაწილი, საერთო ჯამში, კმაყოფილია უნივერსიტეტში მუშაობის გამოცდილებით (65.8% სრულიად და 29.4% მეტ-ნაკლებად, შესაბამისად). თანამშრომელთა მხოლოდ 2.9%-ია უკმაყოფილო, ხოლო 8 ადამიანს საერთოდ არ უფიქრია ამ საკითხთან დაკავშირებით.
გამოკითხულთა აზრით გასაუმჯობესებელი საკითხები გამოიყურება შემდეგნაირად:



დიაგრამა N21.

2.1.3.3. შრომის/დასაქმების ბაზრის კვლევა

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ყველაზე დიდი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნისა და შრომის ბაზრის ანალიზი.

ამ მიზნის მისაღწევად, კვლევა ორ ეტაპად ჩატარდა. პირველ ეტაპზე შეგროვდა და გაანალიზდა 2019-2023 წლებში თსუ-ის ყველა ფაკულტეტისა და სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში ჩატარებული შრომის ბაზრის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითვების შედეგები. ამისათვის მეორეულ მონაცემთა ანალიზი და კონტენტ-ანალიზი იქნა გამოყენებული. კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა მასობრივი ონლაინ გამოკითხვა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 36-მა დამსაქმებელმა და 1517-მა კურსდამთავრებულმა.

თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების აგრეგირებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე დიფერენცირდა ქვეყნის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სამი მნიშვნელოვანი კომპეტენცია: დარგის თეორიული ცოდნა, კვლევითი უნარები და ტრანსფერული უნარები.

მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ მოქმედი დამსაქმებლების ხედვით, თსუ-ის კურსდამთავრებულთა ძლიერი მხარე დარგის თეორიული ცოდნაა. ამ ცნებაში იგულისხმება შესაბამისი დისციპლინის ძირითადი მიმართულებების შესწავლის საგნის, ცნებების, მოდელების, ტენდენციების, ფუნდამენტური თეორიებისა და მიდგომების ცოდნა. მოცემული შედეგი მსგავსი იყო ფაკულტეტების, სპეციალობებისა და სწავლების საფეხურის მიხედვით. რაც შეეხება, კვლევით უნარებს, მოქმედი და პოტენციური დამსაქმებლები ძირითადად კმაყოფილნი არიან თსუ-ის კურსდამთავრებულთა კვლევითი კომპეტენციებით. მეტიც, კურსდამთავრებულთა ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებისას, მათი მხრიდან კომპლექსური მონაცემების შეგროვება, ანალიზი და ინტერპრეტაცია ყველა შემთხვევაში იყო აღნიშნული. მიუხედედავად კვლევით კომპონენტში თსუ-ის კურსდამთავრებულთა კონკურენტული უპირატესობისა, აგრეგირებული მონაცემების ანალიზი გვაჩვენებს, რომ ყოველი მესამე დამსაქმებელი ამ კომპონენტის სწავლების გაძლიერების ინიციატივას მხარს უჭერს. ამ თვალსაზრისით, ფაკულტეტებისა და სპეციალობების მიუხედავად, ძირითადად სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის კურსდამთავრებულებში, იდენტიფიცირდა შემდეგი საკითხების ფლობის გაძლიერების აუცილებლობა. ესენია: მონაცემთა შეგროვებასთან და ანალიზთან დაკავშირებული პროცედურებისა და მათი მიმდევრობის ფლობა; სხვადასხვა მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძვლების, მეთოდთა განსხვავების, მათი გამოყენების ლოგიკის გააზრება; კვლევით/კვლევასთან დაკავშირებულ პროცესში გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარები.

გარდა ამისა, კვლევის მეორე ეტაპზე მოპოვებულმა მონაცემებმა რამდენიმე ძირითად მიგნებას დაუდო საფუძველი. პირველ ყოვლისა, მოქმედი დამსაქმებლები კმაყოფილნი არიან თსუ-ის კურსდამთავრებულთა დარგობრივი ცოდნითა და ზოგადი მომზადების დონით. მათი ორ-მესამედზე მეტი აღნიშნავს, რომ თსუ-ის კურსდამთავრებულები სამუშაო ამოცანების შესრულებისთვის საჭირო კომპეტენციას სრულად ან მეტწილად ფლობენ. იმასაც აღნიშნავენ, რომ თსუ-ის კურსდამთავრებულებს თავის კოლეგასთან რეკომენდაციას გაუწევს.



დიაგრამა N22.

რაც შეეხება კვლევის შედეგებს, კვლევაში მონაწილეობა მიიღო თვითშერჩევის საფუძველზე შექმნილმა შერჩევამ (სულ 1517 რესპონდენტი) თსუ-ის შვიდივე ფაკულტეტიდან სწავლების ყველა საფეხურიდან: კვლევაში მონაწილე დამსაქმებლებიდან 42% მიეკუთვნება კერძო სექტორს, 28% – საჯარო სექტორს, 23% – არასამთავრობო სექტორს, ხოლო გამოკითხულთა 7% საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელია.



დიაგრამა N23.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოქმედი დამსაქმებლები კმაყოფილები არიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა პროფესიული/დარგობრივი ცოდნით, გამოკითხულთა 88% დადებითად აფასებს კურსდამთავრებულთა ცოდნას. რაც შეეხება ადაპტირებასა და მოქნილობას სამუშაო ამოცანების შესრულებისას, გამოკითხულთა 51% აღნიშნავს რომ მეტწილად კმაყოფილია კურსდამთავრებულების აღნიშნული უნარით, ხოლო 21% სრულად ადასტურებს კურსდამთავრებულებში აღნიშნული უნარის არსებობას.

გამოკითხული დამსაქმებლები თსუ-ის კურსდამთავრებულის ზოგადი მომზადების დონეს ანალოგიური/კონკურენტი/იმავე პროფილის სხვა უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა მომზადების ზოგად დონესთან მიმართებაში დადებითად აფასებენ. მართალია, რომ გამოკითხულთა 31%-ის მიხედვით კურსდამთავრებულთა ზოგადი მომზადების დონე უნივერსიტეტების მიხედვით არ განსხვავდება, თუმცა გამოკითხულთა 24%-ის თქმით თსუ-ის კურსდამთავრებულთა მომზადების

დონე აღემატება სხვა უსდ-ების კურსდამთავრებულების მომზადების დონეს, ხოლო 26%-ის მიხედვით მეტ-ნაკლებად აღემატება. აქვე საგულისხმოა, რომ არცერთმა გამოკითხულმა არ დააფიქსირა უარყოფითი პასუხი.
კითხვაზე, თუ რამდენად აქვს თსუ-ს კურსდამთავრებულს სხვადასხვა უნარები, შედეგები განაწილდა შემდეგნაირად:



დიაგრამა N24.

რაც შეეხება ნაკლოვანებებს, დამსაქმებლების ნაწილმა აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა სუსტ მხარედ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების არასაკმარისად განვითარებული უნარი შეიძლება დასახელდეს.
კვლევის ეტაპზე გამოიკვეთა, რომ გამოკითხული კურსდამთავრებულების 88% დასაქმებულია, ხოლო 73%-ის თქმით, ის კვალიფიკაციის შესაბამისად მუშაობს, რაც მოიცავს რესპონდენტის ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში, დოქტორანტურაში, ერთსაფეხურიან, ინტეგრირებულ ან მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე სწავლისას მიღებული კვალიფიკაციებიდან ერთ-ერთით.



დიაგრამა N25.

აქვე აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის ფაქტორებად თითქმის არ დასახელებულია ცოდნის ნაკლებობა ან პროფესიის არამოთხოვნადობა შრომის ბაზარზე.



დიაგრამა N26.

კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა, რა მოლოდინები ჰქონდათ კურსდამთავრებულებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებამდე და შემდეგ რამდენად გაუმართლდათ აღნიშნული მოლოდინები. გამოკითხულ კურსდამთავრებულთა თითქმის 60%-ის მოლოდინი მაღალი დონის პროფესიული ცოდნის მიღება იყო. ასევე, უმეტესობა ფიქრობდა, რომ კარგ საფუძვლებს შეიქმნიდა მომავალი პროფესიული განვითარებისთვის. გარდა ამისა, აღინიშნა მოლოდინი იმისა, რომ სწავლა/სწავლების პროცესი საინტერესოდ წარიმართებოდა. რაც შეეხება მოლოდინების გამართლებას, რესპონდენტთა თითქმის ნახევარს სრულად ან მეტწილად (33% და 22%, შესაბამისად) გაუმართლდა, და გამოკითხულთა მხოლოდ 5% აღნიშნავს, რომ მოლოდინი არ გაუმართლდა.



დიაგრამა N27.

ზოგადი რეკომენდაციები

ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგები რამდენიმე ძირითადი რეკომენდაციის შეთავაზების საფუძველს ქმნის. მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინება და ეფექტური შესრულება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დამსაქმებელთა გამოწვევებსა და კურსდამთავრებულთა წუხილებზე ადეკვატური და ეფექტიანი რეაგირება იქნება.

მოცემული რეკომენდაციები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა:

- თსუ-ის მხარდამჭერი სერვისების პოლიტიკის ტრანსფორმაცია;
- ტრანსფერული კომპეტენციების სწავლების გაუმჯობესება;
- კვლევითი კომპეტენციის გაძლიერება.

2.1.3.4. შშმ/სსსმ სტუდენტთა საჭიროებების კვლევა

სასწავლო მასალებზე წვდომის, ინკლუზიური სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისა და უკეთ ადაპტირების მიზნით, 2022 წლის 17 ნოემბერს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური კომისია (ბრძანება N346/01-01, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინკლუზიური სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისა და ამ მიმართულებით საჭირო დამატებითი პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით კომისიის დამტკიცების შესახებ“), რომელიც შეისწავლის შშმ და სსსმ სტუდენტების საჭიროებებს, გამოწვევებსა და უნივერსიტეტის ინფრაქტრუქტურას, პოლიტიკასა თუ შიდასაუნივერსიტეტო მარეგლირებელ დოკუმენტებს მათთან მიმართებით. საანგარიშო პერიოდში ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა შშმ და სსსმ პირების საჭიროებების დადგენა და შეფასება. კომისიამ 2023 წელს გამართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც შესწავლილი და განხილული იქნა ინსტიტუციის გამოწვევები როგორც მატერიალური და ციფრული ინფრასტრუქტურის გამართვის, ისე სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიმართულებით. კომისიამ ჩაატარა შშმ/სსსმ სტუდენტების მიზნობრივი მოკვლევა, რათა დაედგინა არსებული გამოწვევები. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციების მოდიფიცირებისა და შშმ სტუდენტთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან თსუ-ში ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრი, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საგრანტო და კვლევით პროექტებს შშმ პირთა საჭიროებების შესწავლის მიზნით. ამავე ცენტრის ინიციატივით, CISI პროექტის ფარგლებში, თსუ-ში ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე განხორციელდა ერაზმუს + პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტი - „ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად“

(Curriculum Innovation for Social Inclusion (CISI)) 609736 – EPP – 1-2019-GE-EPPKA2-CBHE-JP (2019-1938/ 001-001, გრანტი N1937). პროექტის ფარგლებში 2021-2023 წლებში თსუ-ს ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგები ვარშავის უნივერსიტეტისა (პოლონეთი) და ოლომოუცში პალაცკის უნივერსიტეტის (ჩეხეთი) წარმომადგენლებთან ერთად სხვადასხვა დარღვევის მქონე სტუდენტებთან მუშაობის საკითხებზე. ტრენინგტებს აქტიურად ესწრებოდნენ ხარისხის როგორც ცენტრალური, ისე საფაკულტეტო სამსახურების წარმომადგენლები. ტრენინგები მოიცავდა შემდეგ თემატიკას:

- სწავლის პროცესზე მისაწვდომობის გაზრდა მხედველობის დარღვევის მქონე პირთათვის;
- მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანებთან კომუნიკაცია და ურთიერთობის ეთიკა;
- ინკლუზიის გამოწვევები საზოგადოებაში;
- კურიკულუმის აკომოდაცია და მოდიფიკაცია ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის;
- ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების შეფასება ინტერვენციისათვის.

ამავე პროექტის ფარგლებში 2023 წელს შემუშავდა 10 სასწავლო კურსი, რომლებიც ინტეგრირდა ფსიქოლოგიის საბაკალავრო, სოციოლოგიის საბაკალავრო და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. ასევე, შემუშავდა სასწავლო ლიტერატურა და სახელმძღვანელოები, რომელიც დაიბეჭდა თსუ-ს სტამბის მიერ.

2023 წლის 29-30 ივნისს პროექტის ფარგლებში ჩატარდა პირველი ეროვნული კონფერენცია „ინკულზიური განათლება საქართველოში - მიღწევები, გამოწვევები და პერსპერქტივები“. უხცოელი პარტნიორების მხარდაჭერითა და თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ეგიდით კონფერენცია გაიმართება ყოველწიურად, ივნისის ბოლო კვირას.

2023 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით, უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით, ააიპ-საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაციის (EPRA) მიერ განხორციელებულ კვლევაში. კვლევა ჩატარდა „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს 10 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ სირთულეებისა და ბარიერების დადგენა, რომლებსაც საგანმანათლებლო საჭიროებისა (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ახალგაზრდები აწყდებიან უმაღლესი განათლების მიღების გზაზე. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა სტუდენტები, სსსმ/შშმ სტუდენტები, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი.

2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კომიტეტების მუშაობის განახლებული ფორმატის შესახებ

კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში გარკვეულწილად შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესი და შესაბამისად პროცედურები. საგანმანათლებლო პროგრამებზე დაკვირვება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ნებისმიერ ეტაპზე. კლასტერული ჯგუფის შემთხვევაში კლასიფიცირების სქემა იერარქიულად შემდეგი პრინციპით ლაგდება:

- კონკრეტული დარგის სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები;
- კონკრეტული დარგის საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფი.

საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებების ასახვა შედეგები კურიკულუმში უნდა მოხდეს დროულად და ყოველი ცვლილება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი საფეხურის პროგრამის შესაბამისი კომპონენტთან უნდა იყოს ბმაში, ისე რომ ხილული უნდა გახდეს შემდგომი საფეხურის

საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი კომპონენტების კომპეტენციების გაღრმავება შემდგომ ეტაპზე და არა დუბლირება. ამ პირობიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამების მხარდამჭერი კომიტეტების სამუშაო პროცესში კლასტერული აკრედიტაციის პირობებიდან გამომდინარე მეტი ყურადღება დაეთმო ანალიზურ პროცესებს და შესაბამისად, ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებულ ფაქტობრივ მასალას. საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტები გამსხვილდა და მათი აქტივობამ მოიცვა დარგში/მიმართულებაში არსებული ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის ხარისხების ჩართულობით გაეცნო კლასტერული აკრედიტაციის შედეგებს, გაანალიზა პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტების მუშაობა, რაც უკანასკნელ პერიოდში აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების საექსპერტო დასკვნებში მოხსენიებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის ამაღლებისა და მაქსიმალურად გაზიარებისათვის, მოცემულ ეტაპზე ამზადებს კომიტეტების პროცედურის განახლებულ ვერსიას.

თსუ-ში თავდაპირველად ყოველ საგანმანათლებლო პროგრამას დამოუკიდებლად ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამების მხარდამჭერი კომიტეტი, საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივი ვითარებიდან და საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტის ჩამოყალიბების კონკრეტული მეთოდოლოგია, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ფაკულტეტისა და დარგების სპეციფიკას. აქედან გამომდინარე დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბების რამდენიმე პრინციპი მოქმედებს მოცემულ ეტაპზე:

- ინდივიდუალურად კონკრეტული პროგრამისათვის;
- სწავლის სფეროების კლასტერის შესაბამისად;
- ინსტიტუციური პრინციპის დაცვით.

წინამდებარე ცვლილებამ და დარგების მრავალფეროვნებამ პროგრამული კომიტეტების ფორმირების პროცესში წარმოაჩინა სწავლის სფეროების კლასტერის და/ან ინსტიტუციური პრინციპით ჩამოყალიბებული კომიტეტების უპირატესობა, რაც საშუალებას აძლევდა პროგრამის განმახორციელებელ პირებს დაენახათ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში კომიტეტის ფარგლებში დაჯგუფებული კურიკულუმების სუსტი და ძლიერი მხარეები, ნათლად აღექვათ ბმები ერთი დარგის სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს შორის ან მართებულად განესაზღვრათ დარგთაშორისი (ინტერდისციპლინური) სასწავლო და კვლევითი პროცესების აქცენტები. რაც შეეხება ინდივიდუალურად ფორმირებულ საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერ კომიტეტს, მათი რაოდენობა არ არის დიდი და იქმნება იმ შემთხვევაში, თუ პირველად ხდება პროგრამის ინიცირება ან საგანმანათლებლო პროგრამა თავისი სპეციფიკით ინსტიტუციის ფარგლებში ვერ ხედავს კონკრეტულ ბმას სხვა საგანმანათლებლო პროგრამებთან, ვერც დარგობრივად და ვერც საკანონმდებლო საფუძველზე, არ წარმოადგენს ერთობლივი ან ორმაგი ხარისხის პროგრამას კონკრეტული დათქმითა და პირობებით. შესაბამისად, მოცემულ ეტაპზე თსუ-ში არსებობს 57 პროგრამული კომიტეტი 7 ფაკულტეტზე (ზუსტი და საბუნებისმეტყველო - 11, ჰუმანიტარული მეცნიერებები - 25, ეკონომიკა და ბიზნესი - 4, მედიცინა - 3, იურიდიული - 6, ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები - 2, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები - 6), მათ შორის 9 ინდივიდუალური (ზუსტი და საბუნებისმეტყველო - 2, ჰუმანიტარული მეცნიერებები - 3, იურიდიული - 4.), 47 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის (ზუსტი და საბუნებისმეტყველო - 9, ჰუმანიტარული მეცნიერებები - 22, ეკონომიკა და ბიზნესი - 3, მედიცინა - 3, იურიდიული - 2,

ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები - 2, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები - 6), ხოლო 1 (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა - ISET) ინსტიტუციური პრინციპის შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტი ფაქტობრივად არის ორგანო, რომელიც მუდმივად ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განვითარებაზე, შესაბამისად, ქმნის პროგრამის პორტფოლიოს დინამიკაში, საიდანაც პროგრამის მენეჯმენტს საშუალება ეძლევა ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს ცალკეული მონაცემების შესწავლა და ანალიზი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის თვითშეფასების პროცესის დაწყება. კომიტეტის შემადგენლობა მულტიპროფილურია, რაც გულისხმობს, რომ მისი საქმიანობით ის ფარავს აკრედიტაციის ყველა სტანდარტს და წარმართავს ციკლს: პროგრამული კომიტეტი - საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლიო - თვითშეფასების ჯგუფი - თვითშეფასების პორტფოლიო.



დიაგრამა N28.

საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის, განახლებისა და განვითარების პროცესს უშუალოდ წარმართავს შესაბამისი მიმართულების / დარგის / ქვედარგის აკადემიური პერსონალი, პროცესს კოორდინირებას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის (პოტენციური) ხელმძღვანელ(ებ)ი / კოორდინატორი. პროგრამის სამუშაო ვერსია განსახილველად გადაეცემა კომიტეტს პროგრამის ხელმძღვანელის / კოორდინატორის წარდგინებით. კომიტეტის წევრების დასაბუთებული შენიშვნები და პოზიცია აისახება პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსების სამუშაო ვერსიაში. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტი იკრიბება მინიმუმ ორჯერ. კომიტეტის თითოეული სხდომის ოქმი ინახება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლიოში). პროგრამული კომიტეტის ფარგლებში აკადემიურ პერსონალთან შეჯერებული პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ადგენს პროგრამის შესაბამისობას უმაღლესი საგანმანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის

აღწერილობასა და სილაბუსებში არსებული ხარვეზების დადგენის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისი დანართებით უბრუნდება პროგრამის მხარდამჭერ კომიტეტს გადასამუშავებლად. გადამუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების საბოლოო ვერსია უნივერსიტეტში საჭიროებისამებრ ექვემდებარება საჯარო განხილვას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და უნივერსიტეტში დასაქმებული განათლებისა და დარგის ექსპერტები. განხილვის პროცესზე გამოთქმული მოსაზრებები, რომელიც ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებას, შემდგომში აისახება პროგრამებში. საგანმანათლებლო პროგრამებში შესული ცვლილებები განიხილება პროგრამულ კომიტეტზე და პროგრამის საბოლოო პაკეტს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარადგენს ფაკულტეტის საბჭოზე დასამტკიცებლად, ხოლო ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული პროგრამა გადაეცემა თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამას შუამდგომლობს აკადემიური საბჭოს წინაშე განსახილველად და დასამტკიცებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედების მანძილზე განსაზღვრულ თითოეულ ფაზაში პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტი ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს უწინარესად შრომის ბაზრის მოთხოვნებს და კვლევების შედეგებს. შრომის ბაზრის კვლევის კონცეფცია, რომელიც განახლებადია საჭიროებიდან გამომდინარე, მოიცავს როგორც კლასტერული აკრედიტაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე კონკრეტულ პირობებს, ასევე კვლევის სხვა მნიშვნელოვანს საკითხებს. კვლევის პროცესში განსაზღვრულია: კვლევის მეთოდოლოგია; კვლევის მიზნები და ამოცანები (როგორც დამსაქმებელი ორგანიზაციების, ისე კურსდამთავრებულთა გამოკითხვისთვის); კვლევის ინსტრუმენტები; შერჩევის დიზაინი (როგორც დამსაქმებელი ორგანიზაციების, ისე კურსდამთავრებულთა გამოკითხვისთვის); მონაცემთა დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფა. ცალკეული კლასტერების შემთხვევაში კვლევის ჯგუფი წინასწარ აყალიბებს ფოკუს-ჯგუფის სადისკუსიო გეგმას. კონცეფციას თან ერთვის შესაბამისი კითხვარები. საანგარიშო პერიოდში წინამდებარე კონცეფციის შესაბამისად მომზადდა 9 კლასტერის (სულ 54 საგანმანათლებლო პროგრამა) ბაზრის შეჯერებული კვლევა. თუმცა ინსტიტუციის მკვლევართა ჯგუფს ხანგრძლივი გამოცდილება აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის ინდივიდუალურად კვლევის მიმართულებით.

შესაბამისად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გადამუშავდა საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სამოქმედო პროცედურები, მოცემულ ეტაპზე შემუშავებული დოკუმენტი განხილვამდე მუშავდება საფაკულტეტო დონეზე. შემდგომში განახლებული რეგულაცია ჩაანაცვლებს დანართს 3 საუნივერსიტეტო რეგულაციაში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (დადგენილება N: 100/2019, განახლებულია 2020 წლის 24 თებერვალს, იხ. აკადემიური საბჭოს დადგენილება N16)[1].

2.1.5 ნორმატიული დოკუმენტების შესწავლის, კომენტირებისა და განხილვისათვის

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეები უშუალოდ აისახება საუნივერსიტეტო რეგულაციებში. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიური ჩართულობით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების განხილვასა და დამკვიდრებაში, მუდმივად იღებს მონაწილეობას საუნივერსიტეტო დარგობრივი ექსპერტების მხარდაჭერით დაანონსებული სიახლეების განხილვასა და საპილოტე პროექტების განხორციელების პროცესში, აზიარებს და საუნივერსიტეტოს სივრცესა და აკადემიურ სივრცეში ნერგავს ახალ მიმართულებებს, კვლევებსა და ინოვაციურ მეთოდებს ქვეყნის და ევროპული საგანმანათლებლო სივრციდან, რასაც ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის აქტიური თანამშრომლობა საქართველოს

[1] ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://tsu.ge/ka/legalakad/15843

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.
2023 წელს ხარისხის სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა გარე აქტორების მიერ შემოთავაზებულ განახლებული ნორმატიული დოკუმენტების შესწავლის პროცესში. წინამდებარე მასალები შესწავლილ და განხილულ იქნა სამსახურის ფარგლებში და შესაბამისად მომზადდა ცალკეული რეკომენდაციები, რომელთა მეტი წილი გათვალისწინებულ იქნა პარტნიორი დაწესებულების მიერ.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლა და კომენტარები დაურთო, ისევე როგორც მონაწილეობა მიიღო განხილვებში:

- 2023 წელს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დარგობრივი საბჭოების მიერ შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლები;
- სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ჩარჩო დოკუმენტის რედაქტირებულ პროექტი;
- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული მახასიათებლთან შესაბამისობის მოყვანის მიზნის მომზადებული სამოქმედო გეგმა;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის 2021=2025 წლების სტრატეგია და 2024 წლის სამოქმედო გეგმა.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მაღალი აქტივობით, ჩართულობითა და ხელმძღვანელობით მომზადდა და მოცემულ ეტაპზე გრძელდება მუშაობა უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი შემდეგი სფეროებისთვის:

- ლიტერატურათმცოდნეობა;
- ლექსიკოგრაფია;
- თარგმანმცოდნეობა;
- კონფლიქტოლოგია;
- ლაბორატორიული მედიცინა;
- საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა;
- ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა;
- მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
- მარკეტინგი და რეკლამა;
- საჯარო მმართველობა;
- საექთნო საქმე;
- ბიომედიცინა;
- მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემები;
- ბიზნეს-ანალიტიკა;
- სტომატოლოგია;
- სკოლამდელი განათლება;
- გარემოსმცოდნეობა.

უნივერსიტეტის დარგის ექსპერტთა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ცალკეული რეკომენდაციები და რჩევები წერილობით იქნა მიწოდებული გარე აქტორების შესაბამის სამსახურებთან. მაღალი იყო ასევე მათი ჩართულობა დოკუმენტების საჯარო განხილვის პროცესში.

2.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფა

ხარისხის გარე უზრუნველყოფა გულისხმობს, ერთი მხრივ, მიმდინარე სწავლა-სწავლების, კვლევის, უნივერსიტეტის მესამე მისიის და ინსტიტუციური ეფექტიანობის პერიოდულ შეფასებას, ხოლო მეორე მხრივ, მისი გაუმჯობესების ხელშეწყობას. მის ეფექტურ მართვას მეტწილად განაპირობებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სრულყოფილი მექანიზმის შექმნა უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებაში. მოცემულ პროცესებში უნივერსიტეტის საქმიანობა დიდწილად დამოკიდებულია გამჭვირვალეობასა და ანგარიშვალდებულებაზე შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების მიმართ. ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი მიმართულებით ვითარდება:

- გარე განმავითარებელ შეფასებათა ციკლი უნივერსიტეტში;
- მზადება საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის პროცესისათვის.

2.2.1 გარე განმავითარებელ შეფასებათა ციკლი უნივერსიტეტში

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციის მიზნით დაიგეგმა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების გადამუშავება, ისევე როგორც აკრედიტაციის დამასრულებელ ფაზაში საგანმანათლებლო პროგრამებში აკრედიტაციის საბჭოსა და ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების ასახვის შემდგომი ეტაპები და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის დადგენის მიზნით შუალედური ანგარიშების მომზადება.

წინამდებარე პროცესს ინსტიტუციაში წინ უსწრებს გარე კოლეგიალური შეფასების პროცესი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებული პირები. პირველი კლასტერული აკრედიტაციის პროცესში, რომელიც მომზადდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, აქტიურად იყვნენ ჩართული სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და დოქტორანტები, რამაც განაპირობა განხილვისა და ექსპერტირების პროცესში დიდი რაოდენობით პირების ჩართულობა. დაწესებულება მეტწილად ეყრდნობოდა ინსტიტუციაში დასაქმებული პერსონალის საექსპერტო გამოცდილებას განათლების სფეროში.

2023 წელს ინსტიტუციამ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების (ბიზნესის ადმინისტრირება) კლასტერის ახალი ეტაპისათვის. წინამდებარე წელს შეფასდა 9 საგანმანათლებლო პროგრამა (რე)აკრედიტაციის მიზნით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 71-მა პირმა. თუმცა შიდა კოლეგიური ექსპერტიზა მომზადდა იმ საგანმანათლებლო პროგრამებისთვისაც, რომელთა წარდგენა ხდებოდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გარე ექსპერტიზის მიზნით. შესაბამისად, ჯამურად შიდა კოლეგიური შეფასების ფარგლებში მომზადდა 40 საგანმანათლებლო პროგრამა. კოლეგიური შეფასების დასასრულს ექსპერტთა მიერ გაცემული დასკვნები გადამუშავდა პროგრამულ კომიტეტებში და ასევე თვითშეფასების ჯგუფებში და შესაბამისად, დაიგეგმა საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების შემდგომი ეტაპი.

2.2.2 უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის პროცესი

საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციამდე, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტებთან თანამშრომლობით გეგმავს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესს, რომელსაც კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, შეფასებისა და ანალიზის განყოფილება და მონაწილეობენ საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პროგრამული აკრედიტაციის ექსპერტები, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დიდი უმრავლესობა, რომელთაც საანგარიშო პერიოდში გაიარეს რეაკრედიტაცია, დაექვემდებარა ცვლილებებს. შესაბამისად, 2023 წლის

ცვლილებების მაჩვენებელი ფაკულტეტების მიხედვით შემდეგია: ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი: 32 ერთეული; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: 5 ერთეული; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 44 ერთეული; ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი - 24 ერთეული; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - 28 ერთეული; მედიცინის ფაკულტეტი - ცვლილებები არ დაფიქსირებულა; იურიდიული ფაკულტეტი - 4 ერთეული.
2023 წლის საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 8 დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები (137 საკითხი) ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში. წარმოდგენილი სტატისტიკა აჩვენებს, რომ მინიმალურია ცვლილებები მედიცინისა და იურიდიული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში. ძირითადი ცვლილებები მოდის არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზებაზე წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამებში, რაც განპირობებულია მეტწილად მათი რეგულირებადი ხასიათით.
საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამებში მიმდინარე ცვლილებების განხორციელების საფუძველი გახდა:

- ✓ ცვლილებები კანონმდებლობაში ან საუნივერსიტეტო რეგულაციებში;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსა და აკრედიტაციის ექსპერტთა (გარე შემფასებელთა) რეკომენდაციები;
- ✓ შიდა და გარე კოლეგიალური შეფასების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები;
- ✓ დარგში განხორციელებული ცვლილებები სწავლებისა და კვლევის მიმართულებით, რომელიც ინიცირებული იყო პროგრამის განმახორციელებელი პირების მხრიდან და ემყარებოდა მათ ადგილობრივ, თუ საერთაშორისო გამოცდილებას;
- ✓ სტუდენტთა გამოკითხვების შედეგების ანალიზი;
- ✓ სწავლის შედეგების ანალიზი;
- ✓ შრომისა და განათლების ბაზრის მოთხოვნები;
- ✓ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის არეალის გაფართოება.

2023 წელს დასრულდა 2011 და 2012 წლებში აკრედიტებული თითქმის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაცია, რომლის დროს შესაძლებელი გახდა საგანმანათლებლო პროგრამების განახლება. საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების ბაზას 2018-2023 წწ. დაემატა 5 ახალი საგანმანათლებლო პროგრამა (მათ შორის: 1 დოქტორანტურის, 1 სპეციალური მასწავლებლის მომზადების); რეაკრედიტებულია: 29 საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის: 16 ბაკალავრიატის, 11 მაგისტრატურის, 3 დოქტორანტურის საფეხურის): ჩარჩოსთან თავსებადობის ფარგლებში არაგეგმიური მონიტორინგს დაექვემდებარა 3 საგანმანათლებლო პროგრამა (1 ბაკალავრიატის, 2 დოქტორანტურის), ხოლო გეგმიური მონიტორინგი გაიარა სამწლიანი შუალედური ანგარიშების წარდგენით 4 საგანმანათლებლო პროგრამამ (1 ბაკალავრიატის, 1 მაგისტრატურის, 2 დოქტორანტურის); რაც შეეხება 2022 წელს აკრედიტებულ პროგრამებს, მათგან 9 ერთეული წარდგენილი იყო ანგარიშებით აკრედიტაციის საბჭოს წინაშე (1 ბაკალავრიატის, 8 მაგისტრატურის).
საანგარიშო პერიოდში განახლებული სტანდარტებით მოთხოვნილი მოდიფიცირებული დოკუმენტებისა და ახალი საკომუნიკაციო პროცედურების დაცვით უნივერსიტეტმა მოამზადა და ეტაპობრივად შესაბამისი პროცედურების გასავლელად წარადგინა 50 საგანმანათლებლო პროგრამა:

- აკრედიტაციის მიზნით - 4 ახალი დოქტორანტურის და 1 სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დოქტორანტურა: *კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები; ფსიქოლოგია; კონფლიქტოლოგია; კულტურული პერსონი0ლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები* (ინგლისურენოვანი)*; სპეციალური მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამა*);

- რეაკრედიტაციის მიზნით - 29 საგანმანათლებლო პროგრამა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 4 კლასტერი (კლასიკური და რომანული ენები - 6 ბაკალავრიატი, 2 მაგისტრატურა; სლავური ფილოლოგია და თარგმანი - 2 ბაკალავრიატი, 3 მაგისტრატურა; კავკასიოლოგია და აღმოსავლური ენები - 5 ბაკალავრიატი, 3 მაგისტრატურა; ხელოვნება - 2 ბაკალავრიატი, 2 მაგისტრატურა, 1 დოქტორანტურა, სულ 26 საგანმანათლებლო პროგრამა); ეკონომიკისა და ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი - 1 კლასტერი (1 ბაკალავრიატი, 1 მაგისტრატურა და 1 დოქტორანტურა, სულ 3 საგანმანათლებლო პროგრამა);
- ჩარჩოსთან შესაბამისობის მიზნით - 3 საგანმანათლებლო პროგრამა (1 ბაკალავრიატი: ეკოლოგია; 2 დოქტორანტურა - საერთაშორისო ურთიერთობები; გამოყენებითი ეკოლოგია (ინტერდისციპლინური);
- გეგმიური სამწლიანი ანგარიში - 4 საგანმანათლებლო პროგრამა (1 ბაკალავრიატი - სამართალი; 1 მაგისტრატურა - სამართალი; 2 დოქტორანტურა - სამართალი; ბიზნეს ადმინისტრირება;
- აკრედიტაციის შემდგომი პროცესის ანგარიშები - 9 საგანმანათლებლო პროგრამა (2 ბაკალავრიატი - ევროპისმცოდნეობა; ფსიქოლოგია; 7 მაგისტრატურა: ევროპისმცოდნეობა; გავლენებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგია; ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება; შრომის ორგანიზაციის ფსიქოლოგია; განათლების ფსიქოლოგია; სოციოლოგია; გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია).

ყველა ზემოთ დასახელებული გარე შეფასების პროცესი იყო დაგეგმილი და წინასწარ განსაზღვრული, შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ყველა დაგეგმილი გარე შეფასება დასრულებულია.

ახალი საანგარიშო პერიოდში დაგეგმილია ახალი თემატური კლასტერი, კერძოდ კი ეკონომიკისა და ბიზნეს ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული შეფასება. ჩარჩოსთან შესაბამისობის ფარგლებში კი მოსამზადებელ საფეხურებს გადის განათლებისა და მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამები, ისევე როგორც ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთაც განესაზღვრა ახალი საკვალიფიკაციო კოდი.

3. ინსტიტუციური განვითარების შესახებ

უნივერსიტეტები როგორც სწავლა-სწავლების, კვლევის, საზოგადოების განვითარების ცენტრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის განვითარებაში და აქტიურად იღებენ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უნივერსიტეტის ინსტიტუციური პროფილი მკაფიოდ აისახება მისი სტრატეგიული განვითარების გეგმაში, თუმცა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემასა და გლობალურ სამყაროში მიმდინარე მოვლენები არცთუ იშვიათად მოითხოვს ინსტიტუციური განვითარების ამოსავალი დებულებების გადახედვასა და ეტაპობრივ ცვლილებას. უნივერსიტეტის მკვეთრი ინსტიტუციური პროფილი შექმნის მიზნით, იქმნება შიდა ინსტიტუტთაშორისო კლასტერული ხედვა და ქსელური ბმა როგორც სწავლა-სწავლების, ისე კვლევის, სერვისებისა და მართვის აქტივობათა ურთიერთმიმართებით; დაწესებულება ხელს უწყობს ხარისხის მაღალი კულტურის დამკვიდრებას ინსტიტუციურად, აფართოებს ინტერნაციონალიზაციისა და მობილობის ქსელს საერთაშორისო გამოცდილების მიღებისა და გაზიარების მიზნით; ცდილობს სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესების დაახლოებას თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ აკადემიურ პროცესებთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არსებული ევროპულ მეთოდებსა და სისტემურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტში მიმდინარე აკადემიურ პროცესებს, ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან თემებზე, აგროვებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას, აანალიზებს მათ. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს

თამაშობს რეგულარული ინსტიტუციური შეფასება, რაც შესაძლოა მიზნობრივად შეივსოს კონკრეტული აქტუალური თემებისა და პრობლემატიკის ზოგადი კვლევების შედეგებით.
საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ ინსტიტუციური განვითარების ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- მზადება ავტორიზაციის პროცესისათვის;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების შესახებ;
- თსუ საერთაშორისო რანჟირების სისტემებში;
- საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში უნივერსიტეტის მონაწილეობის მხარდაჭერა;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა;
- პერსონალის განვითარების მხარდაჭერა;
- სიახლეები პროფესიული განათლების ცენტრში;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ცვლილების შესახებ;
- თანამშრომლობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი;

3.1 მზადება ავტორიზაციის პროცესისათვის

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლებისა და კვლევის ხარისხის მაღალ დონეს, სწავლება - სწავლის, კვლევის და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვა) დანერგვისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებით.
აღნიშნულის და იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტისთვის მინიჭებული ავტორიზაციის ვადა (6 წლიანი) იწურება 2024 წლის 27 აგვისტოს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჯერ კიდევ 2023 წლის აპრილში დაიწყო მზადება, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ავტორიზაციის თვითშეფასების შემუშავების მიზნით.
პირველ ეტაპზე მომზადდა შესასრულებელი საქმიანობის გეგმა და დროში გაიწერა კონკრეტული აქტივობები, კერძოდ:

- ავტორიზაციის სტანდარტების განხილვა და პასუხისმგებლობების გადანაწილება;
- მონაცემების შეგროვება და ანალიზი;
- საჭირო კვლევებისა და გამოკითხვის უზრუნველყოფა;
- თვითშეფასების ანგარიშის სამუშაო ჯგუფის ფორმირება;
- თვითშეფასების ანგარიშის პროექტის მომზადება;
- თვითშეფასების ანგარიშის განხილვა და უკუკავშირის მიღება;
- თვითშეფასების ანგარიშის საბოლოო სახით წარდგენა.

ამის შემდგომ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსხურის ინიციატივით თვითშეფასების ანგარიშში მოცემულ თითოეულ სტანდარტზე განისაზღვრა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი. კერძოდ, თითოეული სტანდარტით განსაზღვრული საჭირო ინფორმაციის თუ დოკუმენტაციის შეკრებას, მათ შორის საჭირო შეხვედრების კოორდინირებას უწევდა შექმნილი ჯგუფი (გარდა პირველი სტანდარტისა). თითოეული ასეთი ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომელი და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი. ხსენებული ჯგუფების საქმიანობა გაგრძელდა საბოლოო თვითშეფასების ჯგუფის ფორმირებამდე.

სამუშაო ჯგუფმა გამართა არაერთი სამუშაო შეხვედრა, სადაც თითოეულ სტანდარტთან მიმართებით და ზოგადად განხილულ იქნა უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, განვითარების შესაძლებლობები და რისკები. პირველ რიგში მოხდა იმ გამოწვევებისა და რისკების კრიტიკული ანალიზი, რომლებზეც მუშაობა უნდა წარმართულიყო მომდევნო პერიოდებში. ანალიზი განხორციელდა როგორც ცენტრის ექსპერტების შეფასებებზე და რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ასევე დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტებისა და პარტნიორების დასკვნების საფუძველზე. საავტორიზაციო თვითშეფასების მომზადების პროცესში ნათლად გამოიკვეთა ის სუსტი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები, რაც აუცილებლად განსავითარებელია უნივერსიტეტის შემდგომი განვითარების მიზნით.

სამუშაო შეხვედრების პროცესში შეგროვდა თსუ-ს ახალი რაოდენობრივი მონაცემები, მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთდა ანალიზი და ანალიზის შედეგები აისახა შესაბამის ანგარიშებში. ამ პროცესში, საჯარო განხილვების შედეგად დამტკიცდა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმა. დამაზუსტებელი ცვლილებები განხორციელდა უნივერსიტეტის სტანდარტების შესაბამის პროცესებსა და სამართლებრივ ბაზაში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2023 წლის ზაფხულშივე დაიწყო ზრუნვა და შეიქმნა შესაბამისი ჯგუფები (სტრატეგიული განვითარების გეგმის და ინსტიტუციური კვლევების მიმართულებით), რომლებმაც შეასრულეს საჭირო ინსტიტუციური კვლევები და აქტიურად საქმიანობდნენ სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის შემუშავებაზე (კონკრეტულად მიმოხილულია პირველ სტანდარტში).

ზემოხსენებული პროცესების შემდგომ, რექტორის 2024 წლის 18 იანვრის N13-01-01 ბრძანებით ჩამოყალიბდა საბოლოო თვითშეფასების სამუშაო ჯგუფი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა ყოფილიყო მაქსიმალურად ფართო და ყოვლისმომცველი, რათა სრულყოფილად და ობიექტურად შეფასებულიყო თვითშეფასების ანგარიშში აღწერილი ინფორმაცია, დოკუმენტაცია და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობის დიდი ნაწილი მანამდეც სხვადასხვა ფორმატის უამრავ შეხვედრაში მონაწილეობდა და ჰქონდა ინფორმაცია თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესზე, თვითშეფასების ჯგუფის პირველივე შეხვედრაზე განხილულ იქნა თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგია, კვლევების პრეზენტაცია და თვითშეფასების ანგარიშის სამუშაო ვერსია. წარდგენილ იქნა სტანდარტებზე პასუხისმგებელი ჯგუფების შესაბამისი მონაცემები, რომელიც ასახულ იქნა თვითშეფასების ანგარიშის პროექტში. დეტალურად იქნა განხილული ავტორიზაციის მოსამზადებელ ეტაპზე ჩატარებული ინსტიტუციური კვლევების შედეგები. შეხვედრა წარიმართა ინტერაქტიულ რეჟიმში და მოხდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის/მოსაზრებების გაცვლა, გაზიარება და ა.შ. ჯგუფი ასევე დეტალურად გაეცნო სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებულ საბოლოო პროექტებს, რომელიც აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცდა 22 თებერვალს.

გარდა სტრატეგიული განვითარების გეგმისა აკადემიური საბჭოს მიერ 22 თებერვალს დამტკიცდა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისი მთელი რიგი დოკუმენტები. ამის შემდგომ სხვადასხვა ინფორმაციის გაზიარებისა და საბოლოო პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა 2024 წლის 27 თებერვალს, სადაც დეტალურად იქნა განხილული თვითშეფასების ანგარიშის პროექტი.

სწორედ ამ განხილვის საბოლოო შედეგების საფუძველზე მიღებული თვითშეფასების ანგარიში, შესაბამისი მტკიცებულებებისა და ინდიკატორების პორტფოლიოსთან ერთად, წარდგენილ იქნა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2024 წლის თებერვალში.

3.2 უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების შესახებ

თსუ-ს სტრატეგიული დაგეგმარება წარმოადგენს მმართველობის ქვაკუთხედს, რომელიც უზრუნველყოფს დასახული მიზნების და შედეგების მიღწევას შესაბამისი რესურსებითა და შესაძლებლობებით. ხსენებულის გათვალისწინებით, სამსახურის ინიცირებით, თსუ-მ სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავების მიზნით ჯერ კიდევ 2023 წლის ივლისში შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანიც იყო თსუ-ს 2024-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის ძირითადი კონტურების გამოკვეთა. სამუშაო ჯგუფმა რამდენიმე თვის განმავლობაში შეხვედრები გამართა უნივერსიტეტის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. ინტერვიუები დაიგეგმა და ჩატარდა უნივერსიტეტის მაღალ მმართველობით რგოლთან (რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორის მოადგილე, დეკანები და ა.შ.), ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებთან, ფაკულტეტებთან, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და სხვ.

ხსენებულმა ჯგუფმა, საქმიანობის პროცესში ასევე შეისწავლა და გაანალიზა 2018-2024 წლების სტრატეგიის შესრულების ანგარიშები და მიღწეული იმპლემენტაციის შედეგები.

სტრატეგიული შეფასების ეტაპზე მოხდა იმ კრიტიკული საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენენ უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე და სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებზე. SWOT ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა უნივერსიტეტის წინაშე არსებული შესაძლებლობები, საფრთხეები, ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც გაიწერა შესაბამისი მატრიცით. ამის შემდეგ სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნები. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ოთხი ფუნდამენტური პრიორიტეტული მიმართულება:

I. საგანმანათლებლო საქმიანობა;
II. სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა;
III. ორგანიზაციული ეფექტიანობა და ინსტიტუციური განვითარება;
IV. მესამე მისია.

ხსენებული ჯგუფის საქმიანობის თანადროულად, თსუ-მ წამოიწყო რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა. კვლევები მოიცავდა:

- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს (დანართი II.19)

მიზანი:

- საქართველოს მასშტაბით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებზე მოთხოვნის შეფასება;
- 2020-2023 წლებში თსუ-ის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამისთვის შვიდივე ფაკულტეტზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტების თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების გაანალიზება, რათა იდენტიფიცირებულიყო შრომის ბაზარზე არსებული ძირითადი მოთხოვნები;
- თსუ-ის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის, ერთსაფეხურიანი და ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების ბოლო ხუთი წლის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლებისა და ძირითადი ტენდენციების შესწავლა;

- სტუდენტთა კმაყოფილებას (დანართი II.19):

მიზანი:

თსუ-ს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის, ერთსაფეხურიანი, ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების პროგრამების სტუდენტთა დამოკიდებულებების, მოლოდინებისა და კმაყოფილების შესწავლა, კერძოდ:

- თსუ-ში მოსული სწავლების სტუდენტთა მოტივაციისა და მოლოდინების შესწავლა,
- აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა მიერ მიღებული სერვისებით კმაყოფილების ანალიზი.

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლების კმაყოფილებას (დანართი II.19):

მიზანი:

- უნივერსიტეტის (ა) აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო და (ბ) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოცდილებისა და მოსაზრებების შესახებ ინფორმაციის შეკრება, რაც უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პერსონალის მომსახურებისა და სწავლა-სწავლების/კვლევის პროცესების გაუმჯობესებას ემსახურება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტრატეგიული გეგმის პროექტზე მომუშავე ჯგუფმა, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან კოორდინირებით (ადმინისტრაცია, აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) და ხსენებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით შეიმუშავა სტრატეგიული მიზნების დიზაინი. ინდივიდუალური შეხვედრების შემდგომ, 2023 წლის 25 დეკემბერს შედგა გაფართოებული, გაერთიანებული შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური საბჭო, სენატი, აკადემიური პერსონალი, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სტუდენტები, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და ა.შ.), სადაც ფართო საზოგადოებას გაეცნო არსებული მიგნებები და შედგა განხილვა/დისკუსია. ამის შემდგომ, კიდევ ერთხელ გაზიარებულ იქნა შემუშავებული პროექტი, მისი გაცნობისა და მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით. მიგნებები/სტრატეგიული მიზნები აისახა სტრატეგიულ რუკაზე, რომელიც ასახავს მიზნებს შორის მიზეზშედეგობრივ კავშირებს და წარმოადგენს ორგანიზაციის სტრატეგიის მიმოხილვას. რუკაზე მოცემული კომპონენტები მოიცავს ფინანსურ პერსპექტივას, მომხმარებლის პერსპექტივას, შიდა პროცესის პერსპექტივას, სწავლებისა და ზრდის პერსპექტივას.

საბოლოოდ, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა და 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის N22/2024 დადგენილებით, მოიცავს უნივერსიტეტის მმართველობითი რგოლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ხედვას. სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიას 2022-2030 წლებში. სტრატეგიული განვითარების გეგმა ასახავს თსუ-ს პრიორიტეტებსა და მიზნებს, რომლებიც განხორციელდება დეტალური სამოქმედო გეგმის მეშვეობით.

3.3 თსუ საერთაშორისო რანჟირების სისტემაში

U.S. News & World Report 2022-2023 Rankings

2022-2023 წლის გლობალური უნივერსიტეტების რეიტინგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის #776 2000 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის.

რეიტინგები მიმართულებების მიხედვით ასე გამოიყურება:

- გლობალური კვლევის რეპუტაცია #1477
- რეგიონული კვლევის რეპუტაცია #290
- პუბლიკაციები #1480
- წიგნები #1129
- კონფერენციები #1433
- ნორმალიზებული ციტირების გავლენა #441
- სულ ციტირება #1262
- პუბლიკაციების რაოდენობა, რომლებიც შედის ყველაზე ციტირებულ 10% შორისაა #1058
- მთლიანი პუბლიკაციების პროცენტი, რომლებიც ყველაზე ციტირებულ 10%-ს შორისაა #115
- ციტირებული ნაშრომების რაოდენობა, რომლებიც ყველაზე ციტირებულ ტოპ 1%-ს შორისაა #953
- ფიზიკა #262

Times Higher Education

THE Rankings მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რანჟირების სისტემაა, რომელიც აფასებს უნივერსიტეტებს სიღრმისეულად, 13 ინდიკატორის და 5 მიმართულების საფუძველზე: სწავლება, კვლევა, ციტირება, ინდუსტრიული შემოსავალი, საერთაშორისო პერსპექტივები. გასული წლების მონაცემებზე დაყრდნობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თაიმსის მსოფლიოს უნივერსიტეტების რანჟირების ჩამონათვალში უკვე რამდენჯერმე მოხვდა.

THE Rankings უნივერსიტეტებს აფასებს შემდეგი შესრულების ინდიკატორების მიხედვით, რომლებიც დაჯგუფებულია ხუთ სფეროდ:

- **სწავლება:** სასწავლო გარემო
- **კვლევა:** მოცულობა, შემოსავალი და რეპუტაცია
- **ციტირება:** კვლევის გავლენა,
- **ინდუსტრიის შემოსავალი:** ცოდნის გადაცემა
- **საერთაშორისო პერსპექტივა:** საერთაშორისო პერსონალი, სტუდენტები და კვლევითი



) **თანამშრომლობა**

2023 წლის მონაცემებით, რომელიც ეყრდნობა 2022 წლის რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სიაში 1501+ ადგილზეა.

QS World University Rankings

2023 წლის მონაცემებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი QS World University Rankings-ის #801-850 ადგილზეა.



QS-ის ყველა უნივერსიტეტის რეიტინგის შემთხვევაში, გლობალური რეპუტაცია ფასდება ორი ძირითადი საერთაშორისო გამოკითხვით. პირველი მათგანია ყოველწლიური QS Global Academic Survey, რომელიც სთხოვს აკადემიურ პერსონალს მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაადგინონ ის ინსტიტუციები, რომლებიც, მათი აზრით, საუკეთესოდ მუშაობენ საკუთარ სფეროში. 2023 წლის რეიტინგი შედგენილია შემდეგი ექვსი ინდიკატორის შეფასების ბაზაზე:

- ✓ აკადემიური რეპუტაცია (40%)
- ✓ დამსაქმებლის რეპუტაცია (10%)
- ✓ აკადემიური პერსონალი/სტუდენტთა ფარდობა (20%)
- ✓ ციტირება აკადემიური პერსონალზე (20%)
- ✓ საერთაშორისო პერსონალის ფარდობა პერსონალის საერთო რაოდენობასთან (5%)
- ✓ საერთაშორისო სტუდენტების ფარდობა სტუდენტთ საერთო რაოდენობასთან (5%)

გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ დაწვრილებით იხილეთ აქ.

უნივერსიტეტს უფლება აქვს მოხვდეს მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში, თუ მოხვდება რეგიონული რეიტინგის ტოპ 50%-ში.

Ranking Web Of Universities

მსოფლიო უნივერსიტეტების ვებრანჟირება ევროპაში ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ესპანური ორგანიზაცია Consejo Superior de Investigaciones Cientificas (CSIS)-ის ლაბორატორიის Cybernetrics Lab ინიციატივით ხორციელდება. ორგანიზაცია ესპანეთის მასშტაბით 126 ცენტრს და ინსტიტუტს აერთიანებს. უნივერსიტეტების რაჟირებისას ორგანიზაცია ითვალისწინებს სხვა ვებგვერდებიდან მინიშნების მაჩვენებელს (Google, Yahoo, Live Search, Exalead), უნივერსიტეტის ვებგვერდის შიგა გვერდების რაოდენობას, მასზე სრულყოფილი ტექსტების რაოდენობას, ვებგვერდზე განთავსებული სამეცნიერო სტატიების და მათი ციტირების რაოდენობას.



www.webometrics.info-ს რანჟირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიო უნივერსიტეტების საუკეთესო 4%-ში შევიდა, კავკასიის რეგიონში კი პირველია. 2023 წლის მონაცემებით, მსოფლიოს 35038 უნივერსიტეტს შორის, თსუ 1467-ე ადგილზეა. ევროპის უნივერსიტეტების ჩამონათვალში (6036 უნივერსიტეტი) კი 560-ე ადგილზეა - საუკეთესო უნივერსიტეტების 9%-ში. კავკასიის რეგიონში და საქართველოში კი პირველ ადგილს იკავებს (წინ უსწრებს საქართველოში არსებულ 61 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლებიც მოხვდნენ რანჟირების სისტემაში).

3.4 საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში უნივერსიტეტის მონაწილეობის მხარდაჭერა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით, უნივერსიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან თანამშრომლობით, შემუშავდა და დამტკიცდა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით "ერაზმუს+" (Key Action 2; Key Action 3; Jean Monnet) ფარგლებში საერთაშორისო საგრანტო განაცხადის წარდგენის წესი (ბრძანება: 24.12.2019, 22/04). აღნიშნული წესის მიზანი იყო უნივერსიტეტის სახელითა და მისი ჩართულობით განხორციელებული პროექტების მაღალი ხარისხის, სანდოობის, ეფექტიანობის, უნივერსიტეტის პრიორიტეტებისა და საჭიროებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; უნივერსიტეტისთვის საგრანტო განაცხადების სისტემატიზებაში, კონტროლსა და არაპროდუქტიული ხარჯების თავიდან აცილებაში დახმარება. წესის მიხედვით განსაზღვრული იყო მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო საგრანტო განაცხადი იმისთვის, რომ წარდგენილ იქნას უნივერსიტეტის სახელით ან უნივერსიტეტი ჩაერთოს პროექტში როგორც ერთ-ერთი მონაწილე.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიცირებით 2022 წელს აღნიშნულ ბრძანებაში შევიდა ცვლილებები (ბრძანება 1/04, 12/01/2022). კერძოდ, შეივსო ერაზმუს+-ის პროგრამების ჩამონათვალი და დაემატა პროფესიული განათლების მიმართულებაც. ხელახლა დამტკიცდა სხვადასხვა ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისგან დაკომპლექტებული კომისიის შემადგენლობა (ბრძანება 4/01-01, 14/01/2022), რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში აფასებს პროექტს. შემდგომი ცვლილებები, კვლავ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიცირებით, განხორციელდა ბრძანებებით 8/01-01, 17/01/2023 და 7/01-01, 17/01/2024.

2023 წელს მიმდინარე კონკურსზე წარდგენილ იქნა ერაზმუს+-ის 21 და cif-ის 5 სააპლიკაციო განაცხადი, კომისიამ შეკრებები გამართა 2023 წლის იანვარ-თებერვალში. პარალელურად მიმდინარეობდა პირადი კონსულტაციები და აპლიკანტებისთვის დამატებითი მხარდაჭერის მექანიზმების შეთავაზება. შედარებისათვის, 2022 წელს მიმდინარე კონკურსზე წარსადგენად მთლიანობაში განხილულ იქნა 14 სააპლიკაციო განაცხადი.

3.5 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებებში და მართავს რიგ პროექტებს ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში მუშაობა მიმდინარეობდა პროექტის *კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა - კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში* (ETHICS), რომელიც დაიყო რამდენიმე აქტივობად:

3.5.1 *,,კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში" (ETHICS)*

პროექტის ,,კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში" (ETHICS) მიზანია, მაღალკვალიფიციურ კვლევებსა და მოწინავე აკადემიურ მიდგომებზე ორიენტირებული პრაქტიკის დანერგვით სისტემურად გააუმჯობესოს უნივერსიტეტებისა და კვლევითი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობა.

პროექტის კონკრეტულ ამოცანებში შედის კვლევის ეთიკის, კვლევის სანდოობისა და კვლევის კეთილსინდისიერების მექანიზმების დანერგვა, ასევე მკვლევრების საქმიანობაში, მაღალი დონის სასწავლო პროგრამებსა და სადოქტორო პროგრამების სააკრედიტაციო სტანდარტებში კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვის კონცეფციის გაძლიერება, რაც მიზნად ისახავს არაორიგინალური აკადემიური ნაშრომების პრევენციას და ავთენტური კვლევითი პრაქტიკის ხელშეწყობას ქართულ უნივერსიტეტებში.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ძირითადი აქტივობები მოიცავს:

- სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტის გადახედვას და ექსპერტების ცოდნის და უნარ-ჩვევების გაძლიერებას;
- კვლევის კეთილსინდისიერების მოდულის (ვრცელი ციფრული სასწავლო კურსის MOOC) შექმნას;
- მკვლევრების და კვლევის დამხმარე [კეთილსინდისიერებაზე პასუხისმგებელი] პერსონალის მომზადებას;
- საუნივერსიტეტო კვლევის კეთილსინდისიერების და ეთიკის მათ შორის საჭირო რესურსების პოლიტიკისა, დოკუმენტების გადახედვა-შემუშავებას;
- კვლევის კეთილსინდისიერებისა და ეთიკის საბჭოს ჩამოყალიბებას,
- კვლევითი საქმიანობისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის მიზნით აკადემიური მხარდაჭერის და კეთილსინდისიერი კვლევის სერვისების განვითარებას;
- ქართულ უნივერსიტეტებში პასუხისმგებლობიანი სამეცნიერო კომუნიკაციის ხელშეწყობას.

3.5.2 *ETHICS პროექტის კონსორციუმის პირველი საერთაშორისო შეხვედრა*

2023 წლის 2-5 მაისს შედგა კონსორციუმის პირველი საერთაშორისო შეხვედრა და სასწავლო ტური ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის „კვლევის პასუხისმგებლიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში (ETHICS)“ ფარგლებში. შეხვედრას ესწრებოდნენ პროექტის კონსორციუმის 10 ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, 3 ევროპული უნივერსიტეტისა და ევროპული არასაუნივერსიტეტო პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შოთა რუსთაველის ფონდისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები.

შეხვედრა მიზნად ისახავდა კონსორციუმის წევრი ქართველი და ევროპელი ინსტიტუციებისთვის დაფინანსებული პროექტის სამუშაო პაკეტების, თითოეული პარტნიორის როლისა და გეგმების დეტალურ განხილვას, ასევე ევროკომისიის მიერ დაწესებული გრანტის მართვის ადმინისტრაციული და ფინანსური რეგულაციების პრეზენტაციას. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმაც.
https://www.tsu.ge/ka/quality-assurance/page/ETHICS---პროექტის-შეხვედრები

3.5.3 *ტრენერთა გადამზადება ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის ETHICS ფარგლებში*

2023 წლის 11-13 ოქტომბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებითა და ETHICS პროექტის ევროპელ პარტნიორთა ხელმძღვანელობით ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის „კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ

უნივერსიტეტებში (ETHICS)“ ფარგლებში გაიმართა ტრენერთა გადამზადების 3-დღიანი სამუშაო შეხვედრა. მას მასპინძლობდა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
შეხვედრას უძღვებოდნენ ამსტერდამის თავისუფალი უნივერსიტეტის, მასარიკის უნივერსიტეტისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ევროპული ასოციაციის დარგის ექსპერტები. სესიებზე ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე: კვლევის ეთიკა და კეთილსინდისიერება, მონაცემების ფალსიფიკაცია და მისი დეტექცია, პლაგიატისა და სხვა სახის აკადემიური გადაცდომების პრევენცია კვლევის წარმართვისას, კვლევის ეთიკის დადასტურების აუცილებლობა და მისი მიღებისთვის საჭირო პროცედურები, საგამომცემლო ეთიკა და მასთან დაკავშირებული საკითხები. რამდენიმე სესია დაეთმო კვლევაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას და ამასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა თუ შესაძლებლობებს; განიმარტა კვლევის კეთილსინდისიერების ოფიცრის ფუნქცია-მოვალეობები და მისი საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის პრინციპები.
ტრენინგის დასრულებისას გამოითქვა აზრი კვლევის კეთილსინდისიერების ეროვნული ჩარჩოს შემუშავების შესახებ, რომელსაც უხელმძღვანელებს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი. შეხვედრაში მონაწილეობდა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.
https://www.tsu.ge/ka/quality-assurance/page/ETHICS---პროექტის-ტრენინგები

3.6 აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალზე დანერგილია მსგავსების/პლაგიატის აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმი პროგრამა Turnitin. Turnitin-ის პროგრამა პირველად ჩაშენდა Moodle-ის სისტემაში 2018 წლის 6 ივლისს. 2020 წლის დასაწყისისთვის Moodle-ის ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე ატვირთული და აქტიური იყო 1500-ზე მეტი სასწავლო კურსი, მათ შორის Turnitin-ი გააქტიურებული იყო 918 კურსში. ამ კურსებში ატვირთული ყველა დავალება მოწმდებოდა მსგავსებაზე. მომდევნო 2 წლის განმავლობაში Moodle-ზე დარეგისტრირდა 21,660 სტუდენტი; 2018-2020 წლებში პლაგიატზე სულ შემოწმდა 79047 დავალება/BA/MA/PhD ნაშრომი. 2020 წლის ბოლოსთვის Moodle-ზე ელექტრონული კურსების რაოდენობამ შეადგინა 3921, მათ შორის აქტიური იყო 2329, შერეული მეთოდით წარმართული კურსების რაოდენობა - 2329, ხოლო ჩატარებული გამოცდების რაოდენობა კურსების მიხედვით - 888 კურსი.

2023 წლის ბოლოსთვის Moodle-ის ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე უკვე გააქტიურებული იყო Turnitin-ის ყველა ლიცენზია, ხოლო ატვირთული და განთავსებული იყო 7106-ზე მეტი სასწავლო კურსი.

ნოემბრის თვეში განახლდა Turnitin-ის სამწლიანი ლიცენზია და მოხდა ახალი სამწლიანი ხელშეკრულების გაფორმება.

Turnitin-ის გამოყენება ხდება ელექტრონულ პორტალზე e-learning.tsu.ge, როგორც სხვადასხვა სასწავლო კურსის დავალების/საგამოცდო ნაშრომების, ისე საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების მსგავსებაზე შესამოწმებლად. მსგავსებაზე ნაშრომების შემოწმება გრძელდება უწყვეტ რეჟიმში.

3.7 პერსონალის განვითარების მხარდაჭერა

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობის ერთ-ერთი არსებითი და მნიშვნელოვანი აქტივობაა, რაც საშუალებას იძლევა

დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი თემები იქნა განხილული სამსახურის ჩართულობით, რომელიც შემოთავაზებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გარე აქტორების მხრიდან. საანგარიშო პერიოდში, ხარისხი უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ფორმატით გამართულ ტრენინგებში, ვებინარებში, სამუშაო შეხვედრებსა და კონფერენციებში. 2023 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობით გამართული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

3.7.1 *16.11.2023 - EUA ვებინარების სერია – ახალი ევროპული კვლევის არეალი (ERA) უნივერსიტეტებისთვის „ევროპის კვლევის არეალი და უნივერსიტეტები: მოქმედება 13“*

ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) მიერ 2023 წლის 16 ნოემბერს გაიმართა ონლაინ შეხვედრა EUA-ის წევრი უნივერსიტეტების წარმომადგენლებისთვის. შეხვედრა წარმოადგენდა ვებინარების სერიის ნაწილს - "ახალი ევროპული კვლევის არეალი უნივერსიტეტებისთვის, **ევროპული კვლევის არეალი და უნივერსიტეტები: მოქმედება 13**" და მასზე განხილულ იქნა კვლევისა და უნივერსიტეტების მიერ მიწოდებული კვლევაზე დაფუძნებული განათლების როლი კონკურენტუნარიანი ევროპის მომავლის ფორმირების პროცესში.

თავად **ევროპის კვლევის არეალი (ERA)** წარმოდგენს ამბიციურ განაცხადს შექმნას ევროკავშირის მასშტაბით ერთიანი, უსაზღვრო ბაზარი კვლევის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიებისთვის. ის ეხმარება ქვეყნებს ორმხრივი თანამშრომლობით, მათი კვლევის პოლიტიკისა და პროგრამების გათანაბრების გზით გახდნენ უფრო ეფექტურები და ამით გაზარდონ ევროპის კონტინგენტის კონკურენტუნარიანობა. ERA-ს პოლიტიკის დღის წესრიგი მოიცავს 20 სამოქმედო პუნქტს 4 პრიორიტეტული მიმართულებით. 2022-2024 წლებში მისაღწევი მე-13 სამოქმედო პუნქტის სპეციფიკურ მიზანს კი წარმოადგენს ***უმაღლესი სასწავლებლების გაძლიერება, რათა განვითარდნენ ERA-ს მოთხოვნების შესაბამისად და სინერგიით ინტეგრირდნენ ევროპის განათლების სივრცესთან.***

შეხვედრაზე ევროკომისიის, EUA-ს და Coimbra ჯგუფის მომხსენებლების მიერ ყურადღება გამახვილდა წინარე კვლევების მიხედვით გამოვლენილ ისეთ პრიორიტეტულ საკითხებზე, როგორიცაა: კვლევისა და ინოვაციის მიმართულებით უნივერსიტეტებისა და მათ პარტნიორი ორგანიზაციებისთვის (არასაუნივერსიტეტო კვლევითი ინსტიტუტები, კომპანიები და ა.შ.) მხარდაჭერის აღმოჩენა; კვლევებსა და ინოვაციაში ტრანსნაციონალური თანამშრომლობის ხელშეწყობა; საკმარისი ინვესტიციების უზრუნველყოფა ყველა დონეზე (ინსტიტუციური, წევრი სახელმწიფოები და კავშირი), ისევე როგორც კოორდინაციის გაუმჯობესება ამ დონეებს შორის.

3.7.2 *08.08.2023 - ICT INNOVATION ონლაინ სესია: „კერძო სექტორის როლი დამწყებ ეკოსისტემის გაძლიერებაში“, პროგრამა EU4DIGITAL: ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობაში (EU4DIGITAL FACILITY HTTPS://EUFORDIGITAL.EU/)*

შეხვედრა გაიმართა ევროკავშირის ეგიდით ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციაში (EUA) შემავალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის მიზნით. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა კერძო სექტორის როლის გაძლიერება დამწყები ეკოსისტემების გაძლიერებაში.

შეხვედრა გაიმართა პროგრამის **EU4Digital Initiative**-ის ფარგლებში. **EU4Digital Initiative** არის ევროკავშირის ფლაგმანი რეგიონალური პროგრამა ციფრული ტრანსფორმაციისა და ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის მხარდასაჭერად აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ერთობლივი პოლიტიკის ინიციატივაში შემავალი ქვეყნებისთვის. ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთის პარტნიორობის კონტექსტში, **EU4Digital** ინიციატივა მიზნად ისახავს ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის უპირატესობების გავრცელებას აღმოსავლეთის პარტნიორ ქვეყნებზე. უფრო ძლიერი ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებით, ის ხელს უწყობს როგორც ეკონომიკურ, ისე სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდას, ეხმარება ბიზნესს და აუმჯობესებს აღმოსავლეთ პარტნიორობის მოქალაქეების ცხოვრებას.

3.7.3 *17.07.2023-21.07.2023 - საკონსულტაციო შეხვედრები პროგრამის „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის საკონსულტაციო მომსახურება“ ფარგლებში*

მსოფლიო ბანკისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით „საქართველოს ინოვაციების, ინკლუზიისა და ხარისხის პროექტის“ ((I2Q) (P168481), N:GE-MESCS-212280-CS-QCBS) პროგრამის - ***„უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის საკონსულტაციო მომსახურება“*** - ფარგლებში, 2023 წლის 17-21 ივლისს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის გაიმართა 5 ონლაინ საკონსულტაციო შეხვედრა. საკონსულტაციო შეხვედრებზე განხილულ იქნა შემდეგი თემები:

1. 17.07.2023, საკონსულტაციო შეხვედრა 1:
   - ✓ საერთაშორისო ერთობლივი სადოქტორო პროგრამა განათლებისა და მეცნიერების მენეჯმენტი
   - ✓ ერთობლივი სადოქტორო პროგრამა
2. 18.07.2023, საკონსულტაციო შეხვედრა 2:
   - ✓ ინგლისური ენის შერჩეული მოდულების განხილვა (ამოცანა 2ა)
3. 19.07.2023, საკონსულტაციო შეხვედრა 3:
   - ✓ მეწარმეობის მოდულის სტრუქტურისა და შინაარსის განხილვა (ამოცანა 2ბ)
4. 20.07.2023, საკონსულტაციო შეხვედრა 4:
   - ✓ საერთაშორისო სკოლის სრულყოფილების კონცეფციის განხილვა (ამოცანა 3)
5. 21.07.2023, საკონსულტაციო შეხვედრა 5:

პროგრამებისა და IES-ის 3 სკოლის განრიგის განხილვა

3.7.4 *29.08.2023 – 30.08.2023, ტრენინგი - „საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა მიერ მიღებული განათლების აღიარება - საკანონმდებლო ბაზა და პროცედურები“*

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით 2023 წლის 29 და 30 აგვისტოს ჩატარდა ტრენინგი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებისთვის

პროექტის „საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცედურის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა“ ფარგლებში. პროექტი განხორციელდა ევროპის საბჭოს საგრანტო პროგრამის ფარგლებში, ლისაბონის კონვენციის იმპლემენტაციის ხელშეწყობის და ლტოლვილთა განათლების აღიარების მექანიზმის დახვეწის მიზნით.

ტრენინგზე „საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა მიერ მიღებული განათლების აღიარება - საკანონმდებლო ბაზა და პროცედურები“ განხილული იქნა შემდეგი თემები:

- ✓ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება;
- ✓ ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევა, ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები;
- ✓ ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევა, ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები;
- ✓ საკანონმდებლო ბაზა;
- ✓ პრაქტიკული დავალების განხილვა, ჯგუფური მუშაობა.

3.7.5 *„ხარისხის კულტურის გაძლიერება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“*

პროექტი „ხარისხის კულტურის გაძლიერება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, მომზადდა ფრანკოფონიის სააგენტოს თბილისის ოფისის (კოორდინატორი თამარ ღარიბაშვილი) შემოთავაზების საფუძველზე და წარმატებით ხორციელდება თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოსთან (AUF) ერთად. აღნიშნული პროექტი დაფინანსდა ერთობლივად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის სააგენტოს ბუქარესტის ოფისის მიერ (დირექტორი - მუჰამედ კეტატა, კოორდინატორი - კლაუდია ვიზანი) და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობით. ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში გასულ 2023 წელს ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- ➢ ტრენინგი: ***მდგრადი განვითარება, სტიქიური პროცესები და გეოეკოლოგიური პრობლემები***: 2023 წლის 19-20 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებითა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით გაიხსნა, ორდღიანი ტრენინგი თემაზე: „მდგრადი განვითარება, სტიქიური პროცესები და გეოეკოლოგიური პრობლემები“. ღონისძიებაზე დამსწრეთ საშუალება ჰქონდათ მოესმინათ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანიკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს რეგიონული დირექტორი მოჰამედ კეტატა. ტრენინგი ორდღიანი იყო და 20 ოქტომბერს დასრულდა.
  ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები: გიორგი გაფრინდაშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის კატასტროფების პროცესების, საინჟინრო-გეოლოგიისა და ჰიდროგეოლოგიის სამმართველოს უფროსი და ვაჟა ტრაპაიძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში. ტრენინგის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები.

ტრენინგზე განხილული იყო საკითხები ეკოლოგიის, გარემოს მდგრადი განვითარების, გეოეკოლოგიურ პრობლემებსა და სტიქიური პროცესების შესახებ. მონაწილეებზე გაიცა სერთიფიკატები.

- 2023 წლის 10 დეკემბერს აგრეთვე ჩატარდა ტრენინგი თსუ-ს სტუდენტებისთვის თემაზე: „*კომუნიკაცია*“, რომელსაც უძღვებოდა ფრანკფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს უმაღლესი განათლების ესპერტი, ტუნისის უნივერსიტეტის პროფესორი იმენ ხანჩალი.
- 2023 წლის 5-6 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით უმასპინძლა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური ოფისის პერსონალის ვიზიტს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური დირექტორის, ბატონ მოჰამედ კეტატას ხელმძღვანელობით. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში შედგა სამუშაო შეხვედრები პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან, თსუ-ს რექტორთან, აკადემიკოს ჯაბა სამუშიასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ბატონ შოთა ფოთოლაშვილთან და დაიგეგმა მომავალი ურთიერთთანამშრომლობის გეგემები.
- 2023 წლის 6-7 დეკემბერს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი გიული კალატოზიშვილი მონაწილეობდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის საუნივერსიტეტოს სააგენტოს და იუნესკოს მიერ ორგანიზებულ მეორე ფრანკოფონიურ ფორუმში „ხარისხის უზრუნველყოფა უმაღლესი განათლებაში“, რომელიც ჩატარდა ტირანას უნივერსიტეტში, ალბანეთში.

  ფრანკოფონიის სააგენტოს მიერ თსუ-ში განხორციელებული პროექტების შესახებ წარდგენილი იქნა მოხსენება: „*ინსტიტუციური განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლი ინსტიტუციური მართვის პროცესებში*“.

ზემოხსნებული აქტივობები, რომელიც განხორციელდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის დაგეგმილი პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისთვის და ცნობადობის ამაღლებისთვის საერთაშოროსო საგანმანათლებლო სივრცეში.

3.8 სიახლეები პროფესიული განათლების ცენტრში

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლიდან ფუნქციონირებს პროფესიული განათლების ცენტრი ორ ლოკაციაზე (თბილისსა და ქუთაისში).

მოცემულ ეტაპზე, ცენტრი ადმინისტრირებას უწევს **8** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ორივე ლოკაციაზე. ასევე, ცენტრი წარმატებით ახორციელებს **9** პროფესიული მომზადების პროგრამას და **1** პროფესიული გადამზადების პროგრამას (ყველა პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №42/ნ ბრძანების ((02/06/2021) „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“) საფუძველზე, უკვე 2 წელია, ცენტრის მიერ ახალი წესით ხორციელდება აპლიკანტების შერჩევა.

2023 წელს ორივე ლოკაციაზე რეგისტრირებული **1681** აპლიკანტიდან პროფესიული ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე შეირჩა და პროგრამებზე ჩაირიცხა **398** პროფესიული სტუდენტი.

2023 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **196** კურსდამთავრებულს, მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამა „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ დაასრულა **13**-მა მსმენელმა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- ✓ ქუთაისის ლოკაციაზე მიმდინარე ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემის ვერიფიკაცია;
- ✓ ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესში;
- ✓ ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში;
- ✓ ელექტრონული კითხვარის გამოყენებით პროფესიული სტუდენტის, მსმენელის, დამსაქმებლების, მასწავლებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვა, რომელთა შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ანგარიში და რეკომენდაციები;
- ✓ 5 პროფესიული სტუდენტის კრედიტების აღიარება და შემუშავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ✓ პროფესიული პროგრამების მასწავლებლებისთვის, ხელმძღვანელებისთვის (თბილისი, ქუთაისი) საკონსულტაციო შეხვედრები და საინფორმაციო ტრენინგები სწავლა სწავლების მიმართულებით;
- ✓ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გეგმიური მონიტორინგი. ვიზიტის ფარგლებში, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით ეტაპობრივად მოხდა მათი შესრულება, კერძოდ: სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რედაქტირება განიცადა პერსონალის სამუშაო აღწერილობებმა და ა.შ;
- ✓ პროფესიული პროგრამების ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის გვერდის განახლება;
- ✓ პროფესიული უნარების სააგენტოსთან ერთად განხორციელდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რომელიც 2022 წელს დაიწყო.

ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად. 2023 წლის განმავლობაში თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ცენტრის ინიციატივით, Ida-Virumaakutsehariduskeskus (**იდა-ვირუმაა**) პროფესიული განათლების ცენტრთან **(ესტონეთი)** გაიმართა არაერთი შეხვედრა ურთიერთთანამშრომლობის საკითხების გაღრმავების მიზნით, ხოლო 2023 წლის მაისში განხორციელდა Ida-Virumaakutsehariduskeskus (**იდა-ვირუმაა**) პროფესიული განათლების ცენტრში თსუ პროფესიული განათლების ცენტრის დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერების კუთხით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ერთობლივი პროფესიული პროგრამების დაგეგმვა-განხორციელების შესახებ. მოლაპარაკების პროცესი, ასევე, ითვალისწინებდა ამ მიმართულებით მოსამზადებელი სამუშაოების დაწყებასა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას .

ცენტრი აქტიურად მუშაობს თბილისის და ქუთაისის ლოკაციაზე ახალი პროფესიული პროგრამების და მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების დამატების მიმართულებით. თბილისის ლოკაციაზე დამატებითი ფართის აშენების მიზნით, ცენტრი აქტიურად არის ჩართული საპროექტო სამუშაოებში თსუ-ს შესაბამის დეპარტამენტთან და არქიტექტორთან ერთად. ასევე, მიმდინარეობს ქუთაისის ლოკაციაზე სასწავლო კორპუსში მესამე სართულის რეაბილიტაციისთვის დაფინანსების წყაროების მოძიება.

3.9 თანამშრომლობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან

ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო სისტემის მმართველი რგოლია, რომელიც იერარქიულად მოიცავს საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს. ფაკულტეტების შესაბამისი სამსახურები მართვას ახორციელებენ ხარისხის ცენტრალურ სამსახურთან კოორდინაციით, თუმც ცალკეულ მიმართულებათა სპეციფიკის გათვალისწინებითა და საუნივერსიტეტო სივრცეში მათი ჰარმონიზაციის პრინციპზე დაყრდნობით. ამრიგად, უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური როგორც პლურიცენტრული მართვის ორგანო თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით ახორციელებს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ცვლილებებსა და სიახლეებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოქმედების არეალი უნდა ფარავდეს არამარტო შიდა, არამედ გარე ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს, თუმცა სამუშაო პროცესში თავს იჩენს რიგი საკითხები, რომელიც საჭიროებს კონკრეტული საკითხებისა და ამოცანების დეცენტრალი-ზებულად დაგეგმვას, განხორციელებას და გადაჭრას, რაც აკადემიური თავისუფლების კიდევ ერთი გამოკვეთილი ფორმაა საუნივერსიტეტო სივრცეში. აქედან გამომდინარე, საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შესაძლებლობა ეძლევათ, ჩამოაყალიბონ საკუთარი საფაკულტეტო სპეციფიკა და მასზე დაყრდნობით კიდევ უფრო ხილვადი გახადონ ფაკულტეტის ძირითადი პროფილი, რითაც ისინი ამდიდრებენ საუნივერსიტეტო აკადემიურ სურათს, ვინაიდან აკადემიურ მრავალფეროვნებაში ძევს უმაღლესი სასწავლებლის სიძლიერე.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტულ თემებად იქნა განხილული ხარისხის უზრუნველყოფის საფაკულტეტო სამსახურებთან თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, (რე)აკრედიტაციისა და შიდა კოლეგიალური და გარე შეფასების რეჟიმში. წინამდებარე პროცესებში დაფიქსირდა ჩართულობის მაღალი ხარისხის საფაკულტეტო ადმინისტრაციული ერთეულების მხრიდან.

ტრანსფორმირება განიცადა აკრედიტაციის მოსამზადებელმა პროცესებმა, რომელთა გადაწყობა მოხდა კლასტერული აკრედიტაციის მოთხოვნების, ინსტიტუციური შეფასების ძირითადი თემებისა და ინტერდისციპლინურ რაკურსში თანამშრომლობის პერსპექტივაში. ფაკულტეტთა შორის თანამშრომლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად შეიძლება დასახელდეს კლასტერული აკრედიტაციის პროცესში კვლევების მიმართულებით სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ისევე როგორც ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტების აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების ქმედითი ჩართულობა კვლევებისა და შეფასების პროცესში.

თანამშრომლობის ახალი ფორმა იქნა შემუშავებული ევროპული კვლევების ცენტრის მიერ, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩასატარებელი სამუშაო დაგეგმა როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინაციაში, ისე ყველა იმ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობით, რომელთა ჩართულობა გათვალისწინებული იყო ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

სამსახურის მანდატის ფარგლებში 2023 წელს აქტიურად განიხილებოდა შემდეგი თემები:

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაციის საკითხი კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში;
- ✓ პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების საუნივერსიტეტო რეგულაციის რედაქტირება;
- ✓ სასწავლო მარეგულირებელი წესის რედაქტირება საკანონმდებლო ცვლილებებთან მიმართებით;
- ✓ კრედიტების აღიარების წესის განახლება-მოდიფიცირება;
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ბაზის მოდიფიცირების შესახებ;
- ✓ ავტორიზაციის პროცესში ავტორიზაციის სტანდარტების და შესაბამისი კომპონენტების განხილვა და მოსამზადებელი პროცესების დაგეგმა;
- ✓ ავტორიზაციის პროცესის მოსამზადებელი ნორმატიული დოკუმენტების შესწავლის, მონაცემთა მოძიება-მოგროვების, შესაბამისი დანართი-მტკიცებულებების დაზუსტებისა და მოწესრიგების, სავალდებულო დოკუმენტების რეგისტრის მომზადება და თარგმანის პროცესის დაგეგმვა;
- ✓ ავტორიზაციის პროცესის დაგეგმვა და მონაწილე პირთა შორის ფუნქციების გადანაწილება;
- ✓ საერთაშორისო რანჟირების სხვადასხვა სეგმენტების განხილვა, მონაცემების შესწავლა და გაზიარება;
- ✓ სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების მხარდაჭერის პროცესში.

წინამდებარე თემებზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამუშაოებს წარმართავდა გუნდურად, რაც გულისხმობს აქტიურ კომუნიკაციას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

3.10 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის შედეგები ყველა მიმართულებით ქვეყნდება და გაზიარებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განახლებულ ვებ-გვერდზე. ვებ-გვერდით შესაძლებელია არა მხოლოდ კომუნიკაცია საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან, არამედ ინფორმირება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეების შესახებ, კვლევის შედეგების გაზიარება სამიზნე ჯგუფებთან, აკადემიური პერსონალის პროფესიული მხარდაჭერა; სამსახურის ფარგლებში შემუშავებული სახელმძღვანელოებისა და დოკუმენტების ფართო საზოგადოებისათვის მიწოდება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ქართულ და ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი მოიცავს ინფორმაციას სამსახურის საქმიანობის ყველა მიმართულების შესახებ. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

აღსანიშნავია თსუ-ის მზარდი ცნობადობა ვებგვერდის მიხედვით. მაგალითად, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდზე 2021 წლის აპრილიდან დაყენებულია ვიზიტორების მთვლელი, რომლის მიხედვითაც ფიქსირდება ვებგვერდის ნახვა მსოფლიოს 102 ქვეყნის ვიზიტორების მიერ (2024 წლის მარტის მდგომარეობით):



2021 წლის აპრილიდან ვებგვერდის ვიზიტორების მთვლელი ნანახია 22 150-ჯერ 13 514 ვიზიტორის მიერ.

Page: 1 2 3 >

	Country	Visitors
1.	Georgia	7,753
2.	Singapore	3,412
3.	United States	1,112
4.	Russia	111
5.	United Arab Emirates	98
6.	Germany	94
7.	India	61
8.	Saudi Arabia	45
9.	Turkey	41
10.	Ukraine	33
11.	United Kingdom	32
12.	Spain	29
13.	Azerbaijan	27
14.	Qatar	27
15.	Portugal	26
16.	Italy	23
17.	France	23
18.	Poland	22



4. კომუნიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის გარე აქტორებთან და ინსტიტუციებთან

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის წარმატებული მართვა უკავშირდება არამარტო შიდა აქტორებთან კომუნიკაციას, არამედ მუდმივ და ინტენსიურ თანამშრომლობას ხარისხის გარე აქტორებთან, მათ შორის გარე შემფასებლებთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან, ასევე საერთაშორისო ინსტიტუციებთან.

202 წლის პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომუნიკაცია შედგა გარე აქტორებთან:

- ✓ კომუნიკაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან;
- ✓ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან;
- ✓ სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან;

- ✓ კომუნიკაცია ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციასთან (EUA

4.1 ცვლილება ხარისხის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელ ჯგუფში

2023 წლის ივლისში განხორციელდა ცვლილება რექტორთა საბჭოს მმართველ გუნდში, რომლის მართვა გადაეცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს. ამასთან შეიცვალა ხარისხის თემატური ჯგუფის ლიდერთა გუნდი, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს შ. ფოთოლაშვილს.

4.2 კომუნიკაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან

2023 წელს ინტენსიური იყო თანამშრომლობა გარე აქტორებთან. კომუნიკაციის გაფართოება გამოიწვია ზემოხსენებულ უწყებებში მიმდინარე პროცესების საჯაროობამ და გამჭვირვალობამ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მედიაციით 2023 წლის საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და განხორციელდა:

- ნებართვის გაცემა საგანმანათლებლო პროგრამების უცხოურ ენაზე (ინგლისური და რუსული) განხორციელების შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამებისთვის: ***კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები; კავკასიოლოგია, რუსული ფილოლოგია, სლავური ფილოლოგია***);
- მომზადდა კონკრეტული საპასუხო კორესპონდენციები აკადემიურ სივრცეში დანერგილ სიახლეებსა და საგანმანათლებლო პროგრამებში მოქმედი აქტუალური თემებთან დაკავშირებით;
- განხორციელდა გმსს-ის საგანმანათლებლო პროგრამების მოქმედი ბაზის 4 გეგმიური მონიტორინგი;
- მომზადდა და განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის კორექტირების მიზნით;

მუდმივი კონტაქტები და ინტენსიური თანამშრომლობა აქვს სამსახურს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარებს ეროვნულ ცენტრთან, გამომდინარე სამსახურებრივი დაქვემდებარებიდან და ეტაპობრივად დაგეგმილი სიახლეებიდან. 2023 წელს, სამსახურის მანდატის ფარგლებში, ცენტრთან მიმართებაში შემუშავდა არაერთი ანალიზური სამსახურებრივი კორესპონდენცია, განხორციელდა სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაციის ანალიზი და 80-მდე საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა რეჟიმში ცენტრის შესაბამის სამსახურებში წარდგენა, მათ შორის:

- საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის ფარგლებში;
- აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ანგარიშებისა და საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი;
- სააკრედიტაციო პროცესისა და წინამდებარე პროცესებში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობის ხარისხის შეფასება;
- აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაზე არგუმენტაციული პასუხის მომზადება;
- ახალი საკანონმდებლო ინიციატივებისა და პროექტების განხილვაში ჩართულობა;
- დარგობრივ მახასიათებელთა შემმუშავებელი საბჭოს შემადგენლობაში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარდგენის შესახებ;

- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, ავტორიზაციის, სააპელაციო საბჭოების და მედიცინის ექსპერტთა ჯგუფის კანდიდატების რეკომენდება და წარდგენა;
- კლასტერული აკრედიტაციის მზადების პროცესში შემუშავებული დოკუმენტების ანალიზი, რეკომენდაციებისა და მოსაზრებების გაცვლა.

ზემოხსენებული პროცესები და აქტივობები აქტორებს შორის მიმდინარეობს გეგმის მიხედვით, თანმიმდევრულად, შედეგზე ორიენტირებულად და შეუფერხებლად, აქტორთა მაღალი პასუხიმგებლობისა და პროფესიონალიზმის საფუძველზე.

5. სამსახურის სხვა საქმიანობა

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მკაცრად გაწერილ შიდა საუნივერსიტეტო პროცედურების დაყრდნობით წარმართავს თავის საქმიანობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო ადმინისტრაციულ ერთეულებთან. 2023 წლის საანგარიშო პერიოდში მუშაობა წარიმართა შემდეგი მიმართულებით:

- გარე და შიდა კორესპონდენციის მიმოქცევის შესწავლა და მომზადება;
- აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოებისთვის დადგენილებების ინიცირება და მომზადება.

5.1 გარე და შიდა კორესპონდენციის მიმოქცევის შესწავლა და მომზადება

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ოფიციალურად შემოვიდა 2500-მდე კორესპონდენცია და 2000 პასუხი დაუბრუნდა ადრესატს. კორესპონდენციათა ძირითად თემატიკას წარმოადგენდა:

- საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო პროცესებთან დაკავშირებული თემები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი თემები საფაკულტეტო და ცენტრალური ადმინისტრაციებიდან;
- სტუდენტთა მობილობა და კრედიტების აღიარება;
- საქართველოს უსდ-ში გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება;
- თსუ-ში სწავლის პერიოდში გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება;
- საზღვარგარეთ მობილობის ფარგლებში გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება;
- თანდართული სერტიფიკატის საფუძველზე უცხო ენის სავალდებულო მოდულიდან გათავისუფლება;
- სასწავლო კურსების სილაბუსების/სილაბუსების ანოტაციების ცნობის აპოსტილისთვის მომზადება;
- უნივერსიტეტთაშორისი თანამშრომლობის ამსახველი ხელშეკრულებების ექსპერტიზა;
- უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ექსპერტიზა/ექსპერტიზისათვის მომზადება;
- თსუ-ის ავტორიზაციის შესახებ ცნობის მომზადება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების საფუძველზე;
- საგრანტო და საპროექტო თემებთან დაკავშირებული საკითხები;
- მიმოწერა ხარისხის გარე და შიდა აქტორებთან;
- კორესპონდენცია უცხოელ კოლეგა-ექსპერტებთან და ინსტიტუციებთან;
- კომუნიკაცია მოქალაქეებთან;
- თსუ-ის კურსდამთავრებულების სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობის უფლების შესახებ

ცნობის მომზადება;

- სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების შესახებ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების საფუძველზე ცნობის აპოსტილისთვის მომზადება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმისწარმოება (შემოსული და გასული დოკუმენტების აღრიცხვა).

საანგარიშო პერიოდში შემოსული და გასული კორესპონდენციის (როგორც შიდა, ისე გარე მიმოქცევის) დიდი წილი მოდიოდა საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო პროცესებთან დაკავშირებულ თემებზე - დაახლოებით 1080 ერთეული, სააკრედიტაციო პროცესების შეფასების კითხვარი - 4 ერთეული. კონკრეტული მონაცემების სტატისტიკურმა აღრიცხვამ აჩვენა საანგარიშო პერიოდში წერილობითი კომუნიკაციის მაღალი რიცხოვნობა.

6. სამსახურის თვითშეფასება და შემდგომი განვითარების პერსპექტივები

საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოების, ისევე როგორც ავტორიზაციის საანგარიშო პერიოდში გაწეული აქტივობების საფუძველზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა ავტორიზაციის მაძიებლობის თვითშეფასების ანგარიში. საანგარიშო პერიოდში ასევე შეფასდა ინსტიტუციის სტრატეგიული განვითარების გეგმა და შემუშავდა ახალი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელთა შეჯერების საფუძველზე და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების 2024 წლის სამოქმედო გეგმის ძირითადი თემატიკის მიხედვით შემუშავებული იქნება სამსახურის 2024 წლის სამოქმედო გეგმა.

N 8774/10 27.03.2024

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2023 წლის ანგარიშს.

დანართი: 1 ერთეული (61 გვერდი)

პატივისცემით,

შოთა ფოთოლაშვილი

სამსახურის უფროსი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური